ვატო ლევაჯა: მე ვერ ვხედავ, რომ ეს ღირებულებები, რომელიც, როგორც ითქვა, მოდის ქვემოდან, არის კონფლიქტში არსებულ ღირებულებებთან. ვთქვით, რომ ჩვენ ვართ საზოგადოებრივი ურთიერთობების ქვეყანა. როგორ შეიძლება, რომ მევენახე იყოს არააუტენტური ანუ არა-ინიციანი, იმიტომ, რომ თუ მას ზუსტად საჭირო დღეს არ გახსალა, გადააწინააშრებს მანა ვაზს, ის ვერ მიადგენს ვერანაირ რეზულტატს. ამავე მიზეზით, ის არ შეიძლება იყოს უფროსი საკუთრების მიმართ, იმიტომ, რომ ენახა არის მისთვის ყველაზე დიდი სარჩი-სამართალი, ცველი მისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის სახეა. ეს უფრო არსებითი ფაქტია, ვიდრე იმაზე ლაპარაკი, თუ რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, როდესაც მისი ნება არ ხორციელდება არც ადგილობრივ, ან რეგიონულად, ანდაც ცენტრალურ

"24 საათი": რა არის კანონი? ჩვენთვის რა როლს თამაშობს იგი და როგორ უნდა იყოს ის იდეაში?

დათო მარაქია: ჩვენში კანონი არის ის, რითაც ხელისუფლება ემუქრება ხალხს, როდესაც მას უნდება პრეტენზია ხელისუფლების უკანონობის გამო.

მამუკა ხერხეულიძე: შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კანონი, უბრალოდ, არ არსებობს. ქვეყნის მთავარი კანონი - კონსტიტუცია, რომელიც საჩქაროდ დაწერილი სურფაგატია სხვა ქვეყნების უზენაესი კანონებისა, ძირითადად საკითხებში, როგორც წესი, არ სრულდება. ალბათ, ყველაფერი ამის აუცილებლობა თავიდან გვაქვს შესავაჭები და გასაზრებელი, რის შემდეგაც შესაძლო გახდება ისეთი კანონთა შემუშავება, რომელთა დაცვაც არათუ აუცილებელი გახდება, არამედ გარდაუვალიც, იმდენად, რამდენადც ისინი მიუახლოებულნი იქნებიან საზოგადოების არაფორმალურ წინაგმობთან, ანუ ისევე და ისევე ჩვენს ღირებულებებთან. კანონი ზოგადად ხომ იმ კონსტიტუციის საფუძვალზე უნდა დაწერდეს, რომელიც საზოგადოების მხრიდანაც. როდესაც ხალხი აცნობიერებს, რომ ხელი-სუფლებათა თვითონვე არღვევს საკუთარ კანონს, ხალხს აღარ რჩება არანაირი მოტივაცია ან იმის რწმენა, რომ მათთვის რაღაცეა მინც საჭიროა კანონის დაცვა. რეზულტატი არის ის, რომ კანონმდებლობა ხდება ფუჭი სიტყვა, ფუჭია. მაგალითად, სასამართლოში იყო რაღაც გადაწყვეტილება - გამამტყუნა ერთი მხარე, ვანაძეოლა მეორე. არ არსებობს აღსრულების არანაირი მექანიზმი, იმელება უტყუარობა ეს კანონი, და მოქალაქე მისდის იმ რეალურ ძალასთან, ვისაც აქვს აღსრულების ის ალტერნატიული მექანიზმები, რომელიც სახელმწიფოს არ გააჩნია.

გოკა ბოკორია: ამ პარალელურ მექანიზმებსაც ეს ძალაუფლება ხელი-სუფლებებისაგან აქვთ მნიშვნელოვანი და დამატებითი. ასე ხდება დასაბჭოება პერიოდულად და ასე ხდება დღესაც.

ლაშა ბუღაძე: იდეალურ ვითარებაში გვთავაზობს ვოლტერის "კანდიდი". იგი ჩანის იდეალური ქალაქი, სადაც აბსოლუტურად ყველაფერი არის კარგად - არანაირი კონსტიტუცია არ არსებობს, არანაირი კანონი არ არის, და ყველა მოქმედებს თავისი პირადი მორალური კონსტიტუციის ანაირ. ამ შემთხვევაში ჩვენში არსებობს აბსოლუტურად სპონორიზირებული მდგომარეობა "კანდიდიდან" შემდგომი. აქ არც საკუთარი მორალური კონსტიტუციის ანაირი არიან მოქალაქეები და არც სახელმწიფო სთავაზობს საკუთარ კანონებს. სრული ანტიკონსტიტუციური სიტუაცია.

დათო მარაქია: არსებობს ხალხი, ვისაც ჩვენ შეგვიძლია პირობითად "აპრობირული მხარდამტყუნი" ვუწოდოთ. სწორედ ეს ხალხი ცდილობს, რომ კანონმდებრივ ენობაზე მაღლა დააყენონ რომელიმე ერთი ადამიანი. სანამ ეს ერთი ადამიანი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს ხალხი წინდინივე შუადგება, არ არის მისთვის, არამედ წგრევა. დღეს ჩვენ ყველამ უნდა ჩამოვყალიბოთ რაღაცნაირი თანამართლობის პირობები. დღეს ელემენტარულად ხდება

ერთიან საზოგადოებად. ამ ფარგლებს, ჩემი აზრით, უნდა ქმნიდეს კანონი. ჩვენ ვართ იმ პოზიციამ, როდესაც არ არის საავადღებულო ყველა იმ ნაბიჯის გამოკრება, რომელიც ცივილიზებულმა ერებმა გადადგეს. ჩვენ დღეს სხვების შეცდომებზე შეგვიძლია ვისწავლოთ. რაღაცები, რასაც სხვაგან დასჭირდა ორასი, სამასი წელი განვითარებისა და დაწერვისათვის, ჩვენ შეგვიძლია, ერთბაშად დავიწახოთ. მითუმეტეს, გვაქვს იმის საშუალება, რომ იმ სიტუაციაშიც კი, სადაც ადამიანი არ მუშაობს, გავხადოთ იგი სწორი და გავხადოთ ცივილიზებული. არის სფეროები, სადაც უნდა გაითვალისწინოთ განვითარებული, კულტურა, ტრადიციები, ეთნოფსიქოლოგია, და ეს საზოგადოებაში შესათანხმებული. მაგრამ არის საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყვეტილი იქნეს, როგორც ამას აკეთებს ცივილიზებული საზოგადოება.

"24 საათი": რა არის წესისმიერი ჩვენგანისთვის სტაბილურობა?

გოკა გაბაშვილი: სტაბილურობი გარეშე არ ყალიბდება სახელმწიფო, მაგრამ სტაბილურობა ჯერ იმას არ ნიშნავს, რომ ყალიბდება სახელმწიფო. ეს არის წინაპირობა განვითარებისა, მაგრამ არ არის საკმარისი პირობა ამისთვის. დალია ლამას სიტყვებით, "განვითარებისთვის აუცილებელია თავისუფლება. ნესერი, რომელიც არ არის თავისუფლება, არის სამარცხენო". რეალური სტაბილურობა უნდა ემყარებოდეს კმაყოფილ ადამიანებს და არა პირობა წყალჩაუბებულ და დაჭრავებულ ხალხს. თუ სტაბილურობა ამას სახეობს, სტაბილურობა თავად ხდება სასიფთაო. ჩემთვის სტაბილურობა დღევანდელ სახელმწიფოში უნდა ნიშნავდეს იმას, რომ არსებობდეს სტაბილური ყოფილი პიროვნები. ღიოდნ მარტო ამის იმედად ყოფნა არ შეიძლება. საკმაოდ დიდი სტაბილურობა ტოტალურად სახელმწიფოებში უნდა ნიშნავდეს იმას, რომ არსებობდეს სტაბილური ყოფილი პიროვნები. ღიოდნ მარტო ამის იმედად ყოფნა არ შეიძლება. საკმაოდ დიდი სტაბილურობა ტოტალურად სახელმწიფოებში უნდა ნიშნავდეს იმას, რომ არსებობდეს სტაბილური ყოფილი პიროვნები. ღიოდნ მარტო ამის იმედად ყოფნა არ შეიძლება.

დათო მარაქია: ჩემთვის მთავარია, რომ ქვეყანაში სტაბილურად იარსებოს თავისუფლებამ. დღევანდელ საზოგადოებაში სტაბილურობა კორუფცია, მუდმივფეთქება ვითარდება, სტაბილური (სოციალურსა და ეთნიკურ) შრილობა, და კიდევ სტაბილური შემდგომი ღირებულებების უპატივცემლობა. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ასეთი სტაბილურობა და ვეცდები, რომ დისონანსი შევიტანო სტაბილურ გარემოებაში.

გიორგი მარგველაშვილი: სტაბილურობა შეიძლება იყოს ისეთი, რომ შექმნას რეგულიცია, და ისეთი, რომ მოიტანოს ევოლუცია. რა თქმა უნდა, ჩემთვის ამ სტაბილურობაში, არც დღეს, არ არის შენება, არამედ წგრევა. დღეს ჩვენ ყველამ უნდა ჩამოვყალიბოთ რაღაცნაირი თანამართლობის პირობები. დღეს ელემენტარულად ხდება

ლევია იგივე გათავხელებული პოლიციისაგან; აღტარაფერი დაუცველი ხელშეუხებელი აღარ არის. რაში გამოიხატება ეს სტაბილურობა? სტაბილური საზღვრები, თუ სტაბილური ჩვენი უფლებები?! სტაბილური არის ეთნოლოგიური რამ ჩვენს ქვეყანაში - მონობა. ეს ჩვენი შეჩვეული, გენეტიკური კონფორმისშია, რითიც ხელს ვუწყობთ ამგვარ სტაბილურობას. საზოგადოება საკუთარი სინეჩაისა და შიმის გასამართლებლად ექებს რაღაც ფორმებს და მათ უფორებს ფიზიკური გადაარჩენისთვის აუცილებელ ფორმისთვის. აი ეს არის სტაბილურობა.

გოკა ბოკორია: ხელისუფლება ვაჭრობს იმ მინიმალური სტაბილურობით, თუ მას ეს შეიძლება ეწოდოს, და ხალხს ეუბნება, თუ თვენი მხრიდან რაღაც მოთხოვნები იქნება, ჩვენ წავაღოთ იმაზე, რომ მოხდეს უარესი, ვიდრე ეს საზოგადოებისთვის შეუძლებელია, სახელმწიფოებში ინსტიტუტების მთლიანი მომზადების ნდობა მოხდა. ვერც ერთი ნორმალური ხელისუფლება საკუთარ ხალხთან ამ ენაზე არ საუბრობს.

დათო მარაქია: მიცვალებულის მაკაიფის კეთება, რასაც ჩვენი ხელი-სუფლებათა მთელი სიგრძე-სიგანით ემსახურება, ჩვენში ნამდვილად სტაბილური და ეს მიცვალებული არის დღევანდელი ქართული პოლიტიკური სახელისუფლებო კურსი.

ნიკოლოზ რურუა: ჩემი აზრითაც ასეა. ცივილიზაცია, ანუ წინსვლა და განვითარება, იწყება ნესერიდან, შემდეგ ელემენტარული თავისუფლებით (ჩვენ უნდა გრძელდეს თავისუფლებით (ჩვენ უნდა გრძელდეს თავისუფლებით) და თუ ეს თავისუფლება არ მოდის, ინტერესისათვის არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი.

გოკა გაბაშვილი: რა სტაბილურობაა ის სტაბილურობა, რომელიც ვერ უძლებს ქუჩის ორდინს აქციას?! ხდება მრავალრიცხოვანი გამოსვლები ბუღაიაში, ჩეხეთში, აშერაკაში. ზოგი სტაბილურობა, ანუ შექმნარტი სტაბილურობა უფლებს ანას, ყალბი კი ვერ უძლებს. სტაბილურობა, რომელიც ვერ უძლებს ჩვეულდებრივ დემოკრატიულ მოვლენებსა და პროცესებს, არის ძალიან მძიმე.

ნიკოლოზ რურუა: საჭიროა ინსტიტუტების, ანუ ინსტიტუციონალური სტაბილურობა, რომელიც ასდელიან დემონსტრაციას და ათასდღიან მიმძღობებას გაუძლებს. ასეთი სტაბილურობა ჩვენ არ გვაქვს. მაგალითად, ამერიკის ქართველები სტაბილური კორუფცია, მუდმივფეთქება ვითარდება, სტაბილური (სოციალურსა და ეთნიკურ) შრილობა, და კიდევ სტაბილური შემდგომი ღირებულებების უპატივცემლობა. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ასეთი სტაბილურობა და ვეცდები, რომ დისონანსი შევიტანო სტაბილურ გარემოებაში.

დასასრული იხილეთ "სამართლის" შემდეგ რედაქტებში

წიგნის ზეიანი

Buchmesse
Frankfurt
Book Fair




1978



1998



2002



1984




1951



1961



1996



1953



1958

ნიგნის ზეიმი

8 ოქტომბერს ფრანკფურტის 53-ე ნიგნის ბაზრობა გაიხსნა

ანა კორძაია-სამადაგვილი

წელიწადში ერთხელ, გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში, მსოფლიოს უდიდესი ნიგნის ბაზრობა იმართება. იმისთვის, რომ მკითხველმა მისი მაშტაბები უკეთ წარმოიდგინოს, მოგახსენებთ, რომ წელს, ოქტომბერში, 100 ქვეყნიდან ჩამოსული 6.700

ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიგნის ბაზრობის ქალაქის საპატიო წოდებაში არავენ შედგება.

ნიგნის ბაზრობის ერთ-ერთი სტუმრის წერილი, რომელიც 1574 წლითაა დათარიღებული, სულისკვეთებით ძალიან ჰგავს ჩვენი თანამედროვეების ჩანაწერებს, რომლებიც მეგობრებს უკვე ელექტრონული ფოსტის მეშ-

ლოვანი ღონისძიება ჩატარდა: 17 საათზე – ფრანკფურტის 53-ე ნიგნის ბაზრობის გახსნის საზეიმო ცერემონია, ოთხი საათის შემდეგ კი – სტუმარი ქვეყნის, ლიტვის პრეზენტაცია, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა, ვალდას ადამასკუსმა გახსნა.

ფრანკფურტის წლევედელი “სტუმარი ქვეყანა”, ლიტვა, თავისი წარსულისა და აწმყოს სუ-

ბელმობეჭილ ლიტერატორებთან შეხვედრებსა თუ დისკუსიებს. ფრანკფურტის ყველაზე ცნობილი კლუბები საღამოობით After Fair Parties აწყობენ – აფრიკული დოლების ცეცხლით, მექსიკური რიტმებით... ბაზრობაზე გატარებული დღის შემდეგ ყველას შეუძლია Living XXL-სა თუ King Kamehameha-ში საუცხოო კერძებით და ცეკვით

მოტივაცია ასეთია: ის არის “... ყველაზე მძლავრი და ნაზი ხმა მე-20 საუკუნის აფრიკულ ლიტერატურაში, შეუდრეკელი მოძღვარი და მორალისტი, და, უპირველეს ყოვლისა, დიადი მთხრობელი. ის სამართლიანად ითვლება დასავლეთ აფრიკის ინგლისურენოვანი აუთენტური რომანის ტრადიციის დამფუძნებლად. მის სტილზე დიდი გავ-



მონაწილე 200 ათასი კვადრატული მეტრის ფართობზე გამოფენს 400 ათას ნიგნს, და ამ მოვლენის გასაშუქებლად ექვსი დღით ფრანკფურტში მთელი მსოფლიოდან 10 ათასი ჟურნალისტი ჩადის. თუკი ვაგიმართლათ და ნიგნის ბაზრობის დროს ფრანკფურტში მოხვდით, მთელს მსოფლიოს გაიცნობთ. სულ ერთია, გამოცემლობის თანამშრომელი ბრძანდებით თუ ნიგნით მოვაჭრე, ლიტერატორი თუ ჟურნალისტი, ხელოვანი თუ მეცნიერი, თუ უბრალოდ მკითხველი, – ანუ ბაზრობაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი – ნებისმიერ შემთხვევაში, დიდი სიამოვნება გელით.

მკითხველისთვის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა ნარკოტიკივითაა: ერთხელ თუ მოხვდით, ყოველ წელს მოგიწევთ ჩასვლა, ნიგნებით სავსე უზარმაზარ დარბაზებში ხეტიალი, იმ ავტორებთან შეხება, რომელთა ნიგნებსაც დილაგდე ვერ წყდებით ხოლმე. აქ შეხვედრივარ იაშარ ქემალს, რიუდიგერ საფრანსკის, არუნდატი როის, ხელში მჭერია ნიგნები, რომელთა შესახებაც მხოლოდ მიოცნებია... ოთხი წელი ჩავდივარ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე, დილიდან საღამომდე გადავდივარ დარბაზიდან დარბაზში, და მთლიანად მინახავს-თქო, მაინც ვერ ვიტყვი.

ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის ისტორიის მოსათხრობად მე-15 საუკუნეში უნდა დავბრუნდეთ. მაშინ, ფრანკფურტიდან სულ რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, იოჰანეს გუტენბერგმა ნიგნის ბეჭდვა დაიწყო. ცოტა ხანში “ბაზრობების ქალაქი ფრანკფურტი” ახალი, ნიგნის ბაზრობაც გაიხსნა და მე-17 საუკუნემდე ფრანკფურტს

ვეობით უზიარებენ მიღებულ შთაბეჭდილებებს: ისიც სწავლულებსა და მწერლებს აქებს და ცდილობს აღწეროს, როგორი დიდებული ატმოსფეროა ბაზრობაზე, ნიგნების და მათი შემქმნელების გარემოცვაში.

ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა მაშინაც “თავისუფალი სულით” გამოირჩეოდა. აქ თვით მარტინ ლუთერის “ნაწერებსაც” გადააწყობდით, და ეს იმხანად, როცა დანარჩენ გერმანიაში მწვალებელს კოცონი ემუქრებოდა. სწორედ ეს ლიბერალიზმი იყო ფრანკფურტში ნიგნის საქმიან და ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობა. ასე გრძელდებოდა მე-17 საუკუნემდე, სანამ გერმანიაში დიდი პოლიტიკური და კულტურული ცვლილებები მოხდებოდა: 1750 წელს ფრანკფურტში ბოლოჯერ გამოსცეს ბაზრობის კატალოგი, რომელიც 1564-დან ყოველწლიურად იბეჭდებოდა.

მიუხედავად ასეთი გრძელი ისტორიისა, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის “დაბადების დღედ” 1949 წელია მიჩნეული – უკანასკნელი კატალოგის გამოსვლიდან 200 წლის თავზე ფრანკფურტის წმინდა პავლეს ეკლესიაში 205 გერმანელმა მონაწილემ მოიყარა თავი. ასე ჩატარდა დამარცხებულ გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველი ნიგნის ბაზრობა. მაშინ წმინდა პავლეს ეკლესიას, გერმანიის დემოკრატიული ტრადიციების სიმბოლოს, 14 ათასამდე ადამიანი ეწვია. ბაზრობას არნახული წარმატება ჰქონდა, და მას შემდეგ ფრანკფურტი ყოველწლიურად ეპატიჟება ყველას, ვინაც ნიგნთან რაიმე აკავშირებს.

წელსაც, 8 ოქტომბერს, მაინის ფრანკფურტში ორი მნიშვნე-

რათს გვთავაზობს. დასავლეთ ევროპაში ნაკლებად ცნობილი ლიტერატურისა და კულტურის წარსადგენად, წელს ლიტვა ასობით ღონისძიებას აწყობს ფრანკფურტსა და მთელს გერმანიის ფედერაციაში: გამოფენებს, თეატრალურ დადგმებს, ლიტერატურულ თუ მუსიკალურ საღამოებს, და სხვა.

ლიტვის სტუმრობის დევიზია “გაგრძელება იქნება”, პლაკატზე კი პატარა მინდვრის ყვავილია გამოსახული – ლიტვა ევროპისათვის ამ ყვავილივით პატარა, მაგრამ მიმზიდველი ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტიც შესაბამისად პატარა ჰქონდათ, სულ რაღაც 1,47 მილიონი ევრო, ლიტველებმა უაღრესად მრავალფეროვანი პროგრამის შესახებ გააკეთეს განაცხადი: ჯერ კიდევ ბაზრობის დაწყებამდე 30-მა ლიტველმა ლიტერატორმა გერმანიის ქალაქებში საჯარო კითხვის საღამოები ჩაატარა, ბაზრობის დროს კი მათთან შეხვედრა და დისკუსიებში მონაწილეობის მიღება ბაზრობის ტერიტორიაზე შეიძლება, სტენდებთან თუ კაფეებში. თუმცა დასავლეთევროპელებისა არ იყოს, ვერც ქართველები დავიკვივნით ლიტვური ლიტერატორის ცოდნას, რამდენიმე ავტორს მაინც დავასახელებთ – იურგა ივანაუსკაიტე, იურგის კუნჩინასი, ტომას ვენცლოვა და იონას მეკა. (თუკი დაინტერესდებით: მათი ნაწარმოებები “არილის” საგანგებოდ ლიტვური ლიტერატურისადმი მიძღვნილ ნომერში იყო გამოქვეყნებული 2000 წელს).

უამრავი ნიგნის გარდა, ამ ექვსი დღის განმავლობაში ბაზრობის სტუმრებსა და მონაწილეებს 2000 სხვადასხვა ღონისძიებას სთავაზობენ: პრეზენტაციების, საჯარო კითხვებს, სა-

იჯეროს გული. მაგრამ ეს – საღამოს, მაშინ, როცა ძირითადი ღონისძიებები უკვე დამთავრებული იქნება. ამ უკანასკნელთა შესახებ კი ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ:

წელს ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის ორგანიზატორები პირველად ინვევენ საერთაშორისო კონგრესს “Frankfurt Futura Mundi”, რომელიც “გაყოფილი მსოფლიოს ხიდების” პრობლემას ეხება. აქ მსოფლიოს მოაზროვნეები, მწერლები და ფილოსოფოსები კაცობრიობის საერთო მომავლის საკითხებს განიხილავენ – თანასწორობასა და თანასწორუფლებიანობას ე.წ. გლობალიზაციის და მის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტების კონტექსტში: რა აერთიანებს მსოფლიოს – ერთიანი მმართველობა თუ ერთიანი ლიტერატურების სისტემა?

თუკი გლობალიზაციის პრობლემები ნაკლებად გაღელვებულ და არც “ხიდჩატეხილობის” დარდი გაქვთ, მშვიდობის ჯილდოს გადაცემაზე ნაბრძანდით – ის ფრანკფურტის წმინდა პავლეს ეკლესიაში ტარდება, სადაც მეცხრამეტე საუკუნეში პირველი გერმანული პარლამენტი შეიკრიბა, 53 წლის წინათ კი პირველი ნიგნის ბაზრობა ჩატარდა. გერმანიის ნიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანება მშვიდობის ჯილდოს ყოველწლიურად გადასცემს მწერალს, რომელიც საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით იმსახურებს ამ საპატიო წოდებას.

უკვე ივნისის დასაწყისში გახდა ცნობილი, რომ წელს, 12 ოქტომბერს, მშვიდობის ჯილდოს მიიღებს ჩინუა აჩეპე, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნიგერელი მწერალი. საბჭოს გადაწყვეტილების

ლენა იქონია თავისი ხალხის ზეპირმეტყველებამ, და თავისი შემოქმედებით მან ამ ტრადიციის უკვდავყოფა შეძლო”.

პირველივე რომანმა, Things fall apart, რომელიც 27 წლის ჩინუა აჩეპემ 1958 წელს გამოაქვეყნა, ნიგერელ მწერალს მსოფლიო აღიარება მოუტანა. რომანი მოგვითხრობს ტრადიციული აფრიკული ცხოვრების წესის ნგრევაზე, იმის შესახებ, თუ რა მოუტანა კოლონიალიზმმა შავ კონტინენტს. სწორედ კულტურათა კონფლიქტი და “ახალი აფრიკული გზის” ძებნაა ჩინუა აჩეპის რომანებისა და ესეების ძირითადი თემა. გარდა ამისა, ავტორი, რომელმაც ნიგერიული რადიო და თავისს სამშობლოში მრავალი გამომცემლობა დააარსა, ყოველთვის პოლიტიკურად აქტიური იყო – ესეც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მშვიდობის ჯილდოს მისაღებად.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის სტუმრები ქართველი გამომცემლები პირველად იყვნენ. მათი ვიზიტები საკმაოდ წარმატებულია ხოლმე: ყოველწლიური ნიგნის ბაზრობის ტრადიცია საქართველოშიც დაინერგა, “ყოველი ფრანკფურტის შემდეგ” ჩვენს დახლებზე ახალი ნიგნები ჩნდება, გამომცემლებისათვის სემინარები ტარდება, ახალი მედიებისადმი მიძღვნილი კონგრესების მონაწილეობა სივრცეში კი ქართულ გვარებს შეხვდებით. ქართველი გამომცემლები ძალიან ყოჩაღი ხალხი გამოდგა და ვინ იცის, ეგებ, მათი ძალისხმევით მაინც, რამდენიმე (თუნდაც მრავალი) წლის შემდეგ, ლიტვის მსგავსად საქართველოც გახდეს ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის მთავარი გმირი?!

გიორგიშვილის განცხადება

კითხვის შესახებ

პირველი პირობა

ადამიანთა უმრავლესობამ კითხვა არ იცის, უფრო მეტს კი ბოლომდე ვერ გაუგია, რატომ კითხულობს. ზოგიერთები თვლიან, რომ კითხვა, ძირითადად, მძიმე, მაგრამ აუცილებელი რამაა "განათლებისთვის" და ნებისმიერი საკითხავი მათ, დიდი-დიდი, "განათლებლებს". სხვებისთვის კითხვა მსუბუქი სიამოვნებაა, დროის მოკვლის საშუალება, და მათთვის, სინამდვილეში, სულ ერთია, რას ნაკითხავენ, ოღონდ კი არ მოინყნონ.

ასე, ბ-ნი მიუღერი გოეთეს "ემონტს" ან მარკგრაფინის ქალის, ფონ ბაიროიტის მოგონებებს კითხულობს, იმის იმედით, რომ უფრო განათლებული გახდება და შეავსებს თავის ცოდნას, რომლის ნაკლებობასაც თავად განიცდის. ის, რომ ცოდნის ნაკლებობას ასე მძაფრად გრძნობს და არ ივინყებს, უკვე იმის მანიშნებელია, რომ მისი აზრით განათლება რაღაც გარედან მომავალია და იგი შრომით მიიღწევა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ რაც არ უნდა ისწავლოს, მასში ყველაფერი მკვდარ და უნაყოფო ცოდნად დარჩება.

ბატონი მაიერი კი "სიამოვნებისთვის" კითხულობს, ანუ მოწყენილობის უკმა. დრო ბევრი აქვს, რენტეია, დრო იმაზე მეტი აქვს, რამდენის გამოყენებასაც შეძლებდა. მაშასადამე, მწერლები მას გრძელი დღის მოკვლაში უნდა დაეხმარონ. იგი ისევე კითხულობს ბალზაკს, როგორც კარგ სიგარას ენევა და ისევე კითხულობს ლენუას, როგორც გაზეთს.

არადა, ეს ბატონები, მიუღერები და მაიერები (ისევე, როგორც მათი ცოლები, ვაჟები და ასულები), სხვა რამეებში სულაც არ არიან არჩევანსა და დამოუკიდებლობას მოკლებულნი. თავიანთ ფასიან ქალაქებს სათანადო მიზეზების გარეშე არასოდეს ყიდულობენ და ყიდიან, გამოცდილი აქვთ, რომ ძილის წინ მძიმე საქმელის მიღება არასასურველია, და ფიზიკურად იმაზე მეტად არ იტვირთავენ თავს, ვიდრე ჯანმრთელობისთვის არაა აუცილებელი. ზოგიერთი მათგანი სპორტსაც კი მისდევს და ამ ნიშანდობლივი დროსტარების საიდუმლოშიც ერკვევა. იცის, რომ სპორტით ჭკვიან ადამიანს არამარტო სიამოვნების მიღება, არამედ გაახალგაზრდავება და ჯანზე მოსვლაც შეუძლია.

ჰოდა, ისევე, როგორც ვარჯიშობს ან ნიჩაბს უსვამს, ბატონმა მაიერმა უნდა იკითხოს კიდევ. იმ საათებისაგან, რომლებსაც კითხვას ანდომებს, არანაკლები ხეირი უნდა ჰქონდეს, ვიდრე იმ დროისგან, რომელსაც თავის საქმეს ახმარს და მას არ უნდა აცდუნებდეს ისეთი ნიგნი, რომელიც ცოდნით არ გაამდიდრებს, ოდნავ მაინც უფრო ჯანმრთელს, ერთი დღით უფრო ახალგაზრდას არ გახდის. განათლება მას ისევე ნაკლებად უნდა ადარდებდეს, როგორც პროფესორის წოდების მოპოვება და რომანების გმირ ყაჩაღებთან და საროსკობების მფლობელებთან ურთიერთობა ისევე უნდა რცხვენოდეს, როგორც ნამდვილ ნაძირალებთან საქმის დაჭერა. მაგრამ მკითხველი ასე მარტოვად არ მსჯელობს, ის დაბეჭდილ სამყაროს განიხილავს როგორც უდავოდ ამაღლებულ რამეს, ბოროტსა და კეთილს მიღმა არსებულს, ანდა ამრეზით უყურებს ამ სამყაროს, როგორც არარეალურს, მეოცნებების მიერ გამოგონილს, რომელიც მხოლოდ იმისთვის ვარგა, რომ მოწყენილობის უკმა მიაკითხო, და საიდანაც არანაირ ხეირს არ უნდა ელოდებ,

დიდი-დიდი, ის შეგრძნება გამოგყვეს, რომ რამდენიმე საათი სასიამოვნოდ გაატარე. მიუხედავად ლიტერატურის მცდარი შეფასებისა და დაქინებებისა, ბ-ნი მიუღერი და ბ-ნი მაიერი, როგორც წესი, ძალიან ბევრს კითხულობენ. იმ საქმეს, რომელიც მათ, სინამდვილეში, სულ არ ეხებათ, მეტ ყურადღებას და დროს უთმობენ, ვიდრე რამე სხვა საქმეს. შესაბამისად, გუმანით მაინც ხედებიან, რომ ნიგნებში არის რაღაც,

რი კარგი ნამალია და ამიტომ იქ ყველა საშუალების გასინჯვას ცდილობენ, ყველა კოლოფის, ყველა შუშის ნახვას. არადა, კარგი იქნებოდა, თუ ნიგნის მალაზიასა და ბიბლიოთეკაში, კარგი აფთიაქის მსგავსად, ყველასთვის მონახულიყო საკუთარი საშუალება, რომ მონამვლისა და ზედმეტის მოხმარების გარეშე ყველას შეძლებოდა ახალი ძალების მოკრება. ჩვენ, ლიტერატორებს, გვსია-

რალია. ნიგნები იმისთვის როდი იწერება, რომ დამოუკიდებლობას მოკლებული ხალხი კიდევ უფრო უნათო გახდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ იმისთვის იყენებენ, რომ უსიცოცხლო ადამიანებს იაფად მიანოდონ რაღაცა, რაც ცხოვრების ილუზიას ქმნის და თითქოს მისი შემცვლელია. არადა, ნიგნები ხომ მხოლოდ მაშინაა ფასეული, როცა სიცოცხლეს გვაზიარებს, სიცოცხლეს ემსახურება და კითხვის ყოველი საათი ფუჭადაა

ბის გამახვილებას გულისხმობს, ჩახლართული ამბების ერთ წერტილში კონცენტრირებას და გამარტივებას. ადამიანური გრძობების ასეთი გამარტივება და კონცენტრირება სულ პატარა ლექსითაც შეიძლება, და თუ მისი კითხვისას იმის ძალა არ შემწევს, რომ ყურადღება მოვიკრიბო, თანამონაწილე და თანამგრძნობი არ ვახდებ, ცუდი მკითხველი ვყოფილვარ. ის, რომ ამით ლექსისათუ რომანის მიმართ უსამართლობას ვიჩენ, შეიძლება არ მალევე დავივსდეს, მაგრამ ცუდი კითხვით, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ ვარ უსამართლო. დროს ისეთ რამეზე ვხარჯავ, რაც ფასეული არაა, მხედველობას და ყურადღებას ჩემთვის უმნიშვნელო რამეს ვახმარ, იმას, რაც - წინასწარ ვიცი - მზად ვარ უმაღლეს დავივიწყო, გონებას ვლი შთაბეჭდილებებით, რომლებიც ჩემთვის უსარგებლოა და რომელთა გადახარშვაც არ შემიძლია.

ხშირად იტყვიან ხოლმე, ეს "ცუდი კითხვა" გაზეთების ბრალია. მე ასეთი აზრი სრულიად მცდარად მიმაჩნია. შეიძლება ყოველდღიურად იკითხო გაზეთი ან გაზეთები და ამავე დროს კონცენტრირებულად და ქმედითუნარიანად დარჩე, ახალი ამბების ამორჩევა და სწრაფი კომბინაცია ძალიან ჯანმრთელი და ფასეული ვარჯიშიც კია. ამ დროს, საეჭვო შესაძლებელია, რომ განათლებას და ნატრებულმა მაიერმა თუ სიამოვნებისთვის მკითხველმა იმგვარად ნაკითხონ "არჩევითი ნათესაობა", რომ ის სრულიად უსარგებლო იქნება.

ცხოვრება ხანმოკლეა, და იმევეყნად არავის მოეკითხება, რამდენ ნიგნთან შეძლო გამკლავება. ამიტომ არცთუ ჭკვიანურია და მეტიც, მაგნა ფუჭ კითხვაზე დროის ხარჯვა. მე ცუდ ნიგნებს კი არა, კითხვის ხარისხს ვგულისხმობ. კითხვისაგან, ისევე, როგორც ცხოვრებაში ყოველი ნაბიჯისა და ჩასუნთქვისგან, რაღაცას უნდა ველოდეთ, მას ძალა უნდა დაგვახარჯოთ, რომ მეტი მივიღოთ, უნდა დავიკარგოთ, რომ უფრო ცნობიერად აღმოვაჩინოთ საკუთარი თავი. ლიტერატურის ისტორიის ცოდნას არანაირი ფასეულობა არ გააჩნია, თუკი ყოველმა ნაკითხულმა ტომმა ნუგეში, ან ძალა, ან სულიერი სიმშვიდე არ მოიტანა. უაზრო, დაბნეული კითხვა იგივეა, რაც ლამაზ მიდამოში თვალახვეული სეირნობა. არც იმისთვის უნდა ვიკითხოთ, რომ საკუთარი თავი და ყოველდღიური ცხოვრება დაგვაინყდეს, პირიქით, უფრო ცნობიერად და გონივრულად უნდა მოვიკიდოთ მტკიცე ხელი ჩვენს ცხოვრებას. ნიგნებს ისე არ უნდა მივუდგეთ, როგორც შემინებულ მოსწავლეები - ამპარტავან მასწავლებელს, და არც ისე, ფუქსავატები რომ მიადგებიან ხოლმე არყის ბოთლს, - არამედ ისე, როგორც მთამსვლელები უდგებიან ალპებს, მეტრძოლები - არსენალს. უნდა ვიყოთ არა დევნილები და ცხოვრების არმოსურნენი, არამედ კეთილი ხალხი, რომელსაც მათთან აქვს საქმე, ვინც მისი მეგობარი და შემწეა. ასე რომ იყოს, ასე რომ მოხდეს, იმის მეთაფრად აღარ ნაკითხავდა ხალხი, რასაც ახლა კითხულობს, და ყველანი ათავჯი უფრო გახარებულნი და მდიდრები იქნებოდით. ხოლო თუ ეს იმას გამოიწვევდა, რომ ჩვენს ნიგნებს არავინ იყიდა და ჩვენ, მწერლები, ათავჯი ნაკლებს დავწერდით, სამყაროს ამით არაფერი დაუშავებოდა. ვინაიდან, კითხვისა არ იყოს, არც წერის საქმეა კარგად.

გერმანულიდან თარგმნა ნატო თთოლაძემ



არცთუ მთლად უმნიშვნელო. ოღონდ მათი ნიგნების მიმართ დამოკიდებულება იმდენად პასიური და თავისუფალი ნებას მოკლებულია, რომ, ბიზნესში იგივე რომ ჩირდეთ, დიდი ხნის გაკოტრებულ ბულებში იქნებოდნენ.

ის მკითხველიც, რომელიც დასვენებასა და დროის გატარებას ცდილობს, და ისიც, ვინც საკუთარ განათლებაზე ზრუნავს, ნიგნებში ერთგვარ მაცოცხლებელ და სულიერად ამაღლებულ ძალას გრძნობენ, თუმცა დანამდვილებით არაფერი იციან და არც რამის შეფასება შეუძლიათ. ისინი უგუნური ავადმყოფებივით იქცევიან, რომლებმაც იციან, რომ აფთიაქში ბევ-

მოვნებს, რომ ხალხი ამდენს კითხულობს, და ალბათ ავტორის მხრიდან არცთუ ჭკვიანურია იმის თქმა, რომ ხალხი მეტისმეტად ბევრს კითხულობს. მაგრამ როცა ეს ამბავი დიდხანს გრძელდება, საყოველთაოდ არასწორად გაგებულნი და ბოროტად გამოყენებული საქმიანობა სულ უფრო ნაკლებად სასიამოვნო ხდება, და ათი კარგი, მადლიერი მკითხველის ყოლა, ნაკლები მოგების მიუხედავად, ათასი უმადურის ყოლაზე უკეთესიცაა და უფრო სასიხარულოც.

ამიტომ გავკანდიერდი და ვაცხადებ, რომ ხალხი, საზოგადოდ, მეტისმეტად ბევრს კითხულობს და ეს "კითხვადობა" ლიტერატურისთვის პატივი კი არა, ზა-

ჩავლილი, თუ მკითხველს ერთი წვეთი ძალა, ახალგაზრდობა, ხალხის მაინც არ შემატა.

გარეგნულად კითხვა ისეთი რამაა, რომელიც კონცენტრაციას მოითხოვს, და "დარდის გასაქარვებლად" კითხვა ტყუილი ამბავია. თუ ადამიანი სულით ავადმყოფი არაა, არაფრის გაქარვება არ სჭირდება, პირიქით, ყველგან ყურადღებით ყოფნა მართებს - სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, რასაც არ უნდა აკეთებდეს, რასაც არ უნდა გრძნობდეს - მთელი არსით მოვლენებში უნდა იყოს ჩართული. ასევე, კითხვის დროს უნდა გვესმოდეს, რომ ყოველი კარგი ნიგნი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღე-

მთელი ცხოვრება, როგორც ტელევიზორი და სიკვდილის მიზნიდან დანახული პარსკვლავები

მიქაელ ირაძაძე

გიგა ზაალიშვილი. დელ მარში - ერთი წელი ჩეჩნეთის ტყვეობაში. რედაქტორი ვანო ამირხანაშვილი. თბ. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 2001.



ლიტერატურისმცოდნეობაში ხშირად და ერთგვარი გადაჭარბებითაც უყვარდათ საუბარი იმ სასიკეთო გავლენაზე, რომელიც კავკასიის მთიანეთის ზღაპრულმა სილამაზებმა, - კავკასიის "ზედაპირმა", - მოახდინა ერთფეროვანი ტრამალების ჭვრეტას თვალმიჩვეულ რუს მწერლებზე.

არ მასხვს, ვინმეს აღენიშნოს, რომ ქართული ლიტერატურისთვის ასევე მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა კავკასიის ქვესკნელ-ქვედაპირი - ლეკეთ-ქისტეთის ჯურღმულები: ლეკების მიერ დავით გურამიშვილის დატყვევებამ ჩვენს მწერლობას შესძინა რამდენიმე გენიალური ლექსი და, ფაქტობრივად, განსაზღვრა ამ უნივერსალური პოეტის ბედისწერა. ილია ორბელიანის შამილთან ტყვეობამ შვა მისი მრავალმხრივ საინტერესო ჩანაწერები და ბარათაშვილის გენიაში დაადულა "მერანი" (გავიხსენოთ: მერანი დატყვევებული "ილიკოს ნაცვლად ფიქრს" წარმოადგენს - ცხოვრების საზღვრისი თითქოსდა ილია ორბელიანის თვალით არის დანახული). ასეთი იყო საზღაური, რომელიც მიიღო მარადიულმა საქართველომ იმ მრავალრიცხოვან უბედურებათა წილ, რომლებიც ჩრდილოკავკასიელებმა გაუთავებელი ყაჩაღური თავდასხმებით დაატყვევეს XVIII-XIX საუკუნეების ქართლ-კახეთს.

ჩვენს დროში "პანკისის პრობლემა" ლამის გააცოცხლა "ლეიანობის აჩრდილი". ოლონდ იგი, სწორედ წარმოდგენილი არქაულობის გამო, ქართველი საზოგადოების მიერ სრულად ვერც კი იქნა გააზრებული საშინელ საფრთხედ, რასაც თავისი არსით წარმოადგენდა. პირიქით, როგორც შეჰფერის კიდევ აჩრდილს, ის დარჩა რაღაც შორეულ, ნახევრად ზღაპრულ საშიშროებად, რომელიც თითქოსდა სულ სხვა სივრცეში არსებობს და, ყოველ შემთხვევაში, პირადად შენს ცხოვრებას, შენს საარსებო გარემოს არაფრით ემუქრება.

ასეა თუ ისე, ნახევრად ზღაპრულ იერს ხელი არ შეუშლია "პანკისის აჩრდილისათვის" სავესტით რეალურად დაეცხირებინა მრავალი ადამიანის ბედი და, ამასთან ერთად, მოეცა პირველი ლიტერატურული ნაყოფი: "დელ მარში" - 1998 წელს პანკისიდან ჩეჩნეთში გატაცებული მხატვრის, გიგა ზაალიშვილის ნიგნი ერთნაირი ტყვეობის შესახებ, რომელიც, უნდა ვაღიარო, როცა სარეზენციოდ გადმომცეს, ერთგვარი უნდობლობით ავიღე ხელში. ეს იყო უხვი და მრავალფეროვანი ინფორმაციით გაულამსუვებული ადამიანის, იქნებ ბუნებრივი, მაგრამ ეთიკურად არცთუ მთლად უზადო რეაქცია: რით შეიძლება დამაინტერესოს ნიგნმა პრობლემაზე, რომლის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცი (ყოველ შემთხვევაში, ის მაინც, რისი გავებაც ასე უხიფათო სიმორიდან არის შესაძლებელი); მე ხომ პრესით და ელექტრონული მედიით ამდენჯერ წამიკითხავს, მომისმენია, მინახავს ამიერკავკასიის გაცილებით უფრო დრამატული და მასშტაბური მოვლენების სანიშნო ანალიზიცა და უშუალო მონაწილეთა მონათხრობიც, დოკუმენტური ვიდეო-საღიგა და ემოციურად საკმაოდ შთამბეჭდავი რამდენიმე მხატვრული გააზრებაც. დაახლოებით ამგვარი განწყობით გადავშალე "დელ მარში" და... თავაულებლად წავიკითხე, ხოლო ზოგ ადგილს რამდენჯერმე მიუვრუნედი.

ძლიერმა შთაბეჭდილებამ უარი მათქმევინა ნინდანინ შემუშავებულ გეგმაზე (ვიდრე ნიგნი რამდენიმე დღე გადაუშლელად მედო მაგიდაზე) - ამავე თემაზე შექმნილი დოკუმენტური და მხატვრული ნაწარმოებების ფონზე განმეხილა "დელ მარში", აგრეთვე ერთმანეთისთვის შემედარებინა ტყვეობის პირობებიცა და ყაჩაღისა და ტუსაღის მენტალიტეტიც ნინა საუკუნეებში და ჩვენს დროში (ასეთი გეგმის შედგენისას, ახალა ვხვდები, ალბათ, ერთგვარი ეგოისტური ინსტინქტი მამოძრავებდა - როგორმე საინტერესო სარეცენზიო გამეხადა, როგორც ვვარაუდობდი, არცთუ საინტერესო საკითხავი). შთაბეჭდილებათა დანმეხდის შემდეგ, იმ განზრახვაზეც კი უარი ვთქვი, რაზეც კითხვისას განუწყვეტილად ვფიქრობდი და ბევრი ადგილი მოვნიშნე კიდევ - დამეხასიათებინა თხრობის მანერა და მეჩვენებინა, რაოდენ ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს საშინელი დამცირებისა და გვემა-დასახიჩრების შთამბეჭდავი, არასენტიმენტალური ასახვა და უბოროტო, ვაჟკაცური იუმორი.

არსებითად, მე მთელ ნიგნს არც კი მიმოვიხილა: იმის აღნიშვნით შემოვიფარგლები, რომ ნინდა ლიტერატურული თვალსაზრისითაც, იგი ბოლო წლებში ქართულ ენაზე შექმნილ ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად მიმაჩნია და სულ რამდენიმე მომენტზე შედარებით ვრცლად შევჩერდები.

სიცოცხლე და სიკვდილი, როგორც კინოსანახაობა ან ტელევიზორი

გიგა ზაალიშვილის ნიგნი ერთი ადამიანის (ავტორის) ცხოვრების ტრაგიკულ მონაკვეთს აღწერს, მაგრამ მასში სხვა, ბევრად უფრო მასშტაბური, მე ვიტყობი ყოველმხრივ ტრაგიკული "ფრაგმენტები" იკითხება - ვგულისხმობ თანამედროვე ადამიანური ცნობიერების ტრაგედიას, რომელიც რეალობის გაქრობასა და ილუზიური სტერეოტიპებით მის ჩანაცვლებაში მდგომარეობს: ხდება მთელი ფიზიკურ-სულიერი ცხოვრების, სიცოცხლისა და სიკვდილის ტოტალური აღქმა კინოსანახაობად თუ ტელევიზორად, რაც ტელევიზიის მიერ ცნობიერების სივრცეების სულ უფრო ენერგიული ოკუპაციის შედეგია.

ავტორი ნიგნის დასაწყისშივე გულწრფელად მოგვითხრობს, რომ დატყვევებისას, როცა სოფელ დუისში ჩასული, ავტომატიანმა ჩეჩენებმა სახლში შეაგდეს და ოთახი უცებ გაიძევა შეიარაღებული ადამიანებით, მიუხედავად იმისა, რომ რეალობა უაღრესად სახიფათო და საგანგაშოც კი იყო, მას შიშის გრძობა არ გასჩენია, რადგან "რატომღაც თვალწინ სულ ამერიკული ფილმების ის დრამატული ეპიზოდები წარმომიდგებოდა, სადაც სხვადასხვა ჯურის მაფიოზები შუა ოთახში სკამზე მიჯაჭვულ რომელიღაც პროგრესული გაზეთის ჟურნალის დროშაზე იყვნენ ან ანამებენ, ის კი გმირულად იტანს ტანჯვა-წამებას".

ამას მოსდევს მეტად მნიშვნელოვანი ფრაზა: "საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ მთელი წელი კინემატოგრაფიული პარალელის გახსენებაში ვაგატარე, ძალზე ხშირად რეალური ფაქტები გახმაურებული ფილმების კადრებს ემსგავსებოდნენ".

და მართლაც, ნიგნი ადასტურებს, რომ თანამედროვე ადამიანის ცნობიერება ვერ ახერხებს თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვან სამეცნიერო, ამ ილუზიური შტამების გარეშე, უშუალოდ დაეუფლოს რეალობას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ეპიზოდი, როცა მორიგი დამამცირებელი ცემის შემდეგ ტუსაღს ნერვები უღალატებს და, ტყვეობის პერიოდში პირველად, არაადამიანურ ღრიალს იწყებს. ის დარწმუნებულია, რომ ოთახში შემობრუნებული მცველები მოკლავენ და იმას-და იმას, რომ აქ ყოფნისას თავს უკრძალავდა დიდხანს ეფიქრა თავისიანებზე და საქართველოზე; ახლა ამას უკვე ვეღარ მოასწარებს - ჯალათებმა კარი შემოარღვეს და უახლოვდებიან. და აქაც, აღქმის იგივე თავისებურება: "ყველაფერი ფილმებში ნანახ შენელებულ კადრებს ჰგავდა" (შემოსული ყაჩაღები გიგას გონის დაკარგვამდე გუდავენ აბაზანაში, ელექტროდებით აწამებენ, კეტით თავს გაუტყუებენ და კბილებს ჩაუმსხვრევენ).

გავივლი დრო და ტყვე უკვე პირდაპირ ჩახედავს სიკვდილს

თვალეში - მას დასახვრეტად გაიყვანენ: "ყველაფერი ძალიან ჰგავდა ფილმებში ათასგზის ნანახს, ოლონდ, ამჯერად, მე თვითონ ვიყავი ტრაგიკული სცენის მთავარი პერსონაჟი... ჩემ წინ ჩამწკრივებულ მცველებს უკვე მოემზადებინათ ავტომატები... ერთ წამში კინოკადრებით ჩაირბინა სხვადასხვა სურათებმა - სახლი, ახლობლები, საქართველო თუ რაღაც ფრაგმენტები" (მერეღა გაიგებს, რომ ვაზნა მომაკვდინებელი ლითონის ნაცვლად მანამებელი დენტით დაუტენიათ; ტყვეა მუცელში მოხვდება და ირგვლივ ყველაფერს ამოწვავს).

ავტორის თქმით, ვიდეოფილმების როლი ჩეჩნების ცხოვრებაშიც მეტისმეტად აშკარაა: ზოგ შემთხვევაში მათ ადამიანთა გაცეცხლის ტექნიკა ისესხეს და პრაქტიკულ მოთხოვნათა შესაბამისად გააუმჯობესეს, სხვა შემთხვევაში ქცევის მანერა გადმოიღეს და ა.შ.

ცხოვრების სანახაობასთან ტოტალური შერწყმის კულმინაცია კი არის ვითარება, როცა თანამემამულეების, მეტიც - თანამებრძოლების სიკვდილიც კი ერთგვარ გასართობ-გამამხნეველ ტელევიზორად იქცევა, რაც გ. ზაალიშვილმა, გათავისუფლების შემდეგ, გროზნოში ნახა, სადაც ვაჰაბისტების არხი "კავკასია" მთელი დღის განმავლობაში არწყვეტდა პირდაპირ რეპორტაჟს იმ დროს დაღესტანში მიმდინარე ბრძოლებიდან: "ნაჩვენები იყო ბრძოლის რეალური ეპიზოდები, ვაჰაბისტების იარაღი. რეპორტაჟის დროს ჩვენს თვალწინ რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ყველაფერს შიგადაშიგ კომენტარებს ვიღაც, ჩემთვის უცნობი პიროვნება უკეთებდა, ხსნიდა, რა ხდებოდა ბრძოლის ველზე. იგი ისეთი ტონით ლაპარაკობდა, თითქოს კომენტატორი ბრძოლის ველიდან მომხდარ ამბებს კი არ განმარტავდა, არამედ საფეხბურთო მატჩს გადმოსცემდა. თითქოს ეს იყო თამაში და არა ნამდვილი ომი, რეალური სიკვდილი... ნანახმა მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, აუტანელი იყო ადამიანთა სიკვდილის ყურება, რომელიც ისე იყო მოწოდებული, როგორც გასართობი შოუ".

ცნობიერების ამგვარი გატევიზიურების (იქნებ, უფრო ადეკვატური იყოს გამოთქმა - გატელევიზიზაციის) შედეგი მხოლოდ ის კი არ არის, რომ ადამიანი ზნეობრიობისთვის მეტად სახიფათო დოზით ეჩვევა სხვათა ტანჯვის ჭვრეტას და ოდნავადაც აღარ აღელვებს რეალურ-დოკუმენტურია ეს სისასტიკე თუ წარმოსახვითი; უფრო საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ის, რომ იგი საერთოდ კარგავს ადამიანობას - ე.ი. ყველაფერს, რაც, ეთიკური თვალსაზრისით, წმინდა ბიოლოგიური ეგოიზმის საზღვრებს გარეთ გადის და რის გარეშე homo sapiens-ი ძნელია მიჩნეულ იქნას ადამიანურ არსებად. დროდადრო მსოფლიოს შეაძრწუნებს ხოლმე ტელესანახაობის უშუალო გავლენით, მეტწილად მოზარდების მიერ, ჩადენილი დანაშაულის

უკიდურესად არაადამიანური ხასიათი, მაგრამ ტელევიზიის უფრო ფარული და ათასჯერ უფრო სახიფათო ზემოქმედების შესწავლა გლობალური არაადამიანური ფსიქიკის ფორმირებაზე თითქმის შეუძლებელია.

და მაინც, ნიგნში დგება "ჭემ-მარიტების მომენტი", როცა, ჯოჯობეთური წამების შემდეგ, ავტორის ცნობიერება ილუზიებისგან განიშლინდება, იბრუნებს რეალობას და ეს დაბრუნებული რეალობა მასში ყველაზე უფრო მოულოდნელი სახით - ვარსკვლავიერ ცად შემოდის...

თუმცა, ამის შესახებ ბოლოს, მანამდე კი ადამიანური ცნობიერების კიდევ ერთ ანომალიას - სენტიმენტალურ ჯალათობას - შევხვები ძალიან მოკლედ.


ჯალათური სენტიმენტალიზმი

სენტიმენტალიზმი, როგორც სულიერი მდგომარეობა, ალბათ ყოველთვის არსებობდა ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ მსოფლმხედველობრივ პოზიციაში - სენტიმენტალიზმად - იგი მაშინ გადაიქცა, როცა სტერნმა მოულოდნელი მიმართულებით განავრცო მისი საზღვრები და განსაზღვრება სენტიმენტალური დაახასიათა... მოგზაურობა, რაც, არსებითად, სხვა არაფერი იყო, თუ არა აღნიშვნა სენტიმენტალიზმის ყოველმხრივ გაფართოების ტენდენციისა.

და მართლაც, მას შემდეგ სენტიმენტალიზმი სულ ახალ-ახალ ტერიტორიებზე იჭრებოდა. XX საუკუნემ ამ ცნებაშიც შეიტანა თავისი არაადამიანური ხასიათი და გვაჩვენა, რომ სენტიმენტალური შეიძლება იყოს ყაჩაღობა და მკვლელობაც.

"დელ მარში" დაფიქსირებულია ამ პროცესის, ვფიქრობ, უკიდურესი ზღვარი - ჯალათური სენტიმენტალიზმი, რაც ეგოისტურ ნევროზის ერთ-ერთ სახეობას უნდა წარმოადგენდეს და ერთობ უცნაური ფორმით ვლინდება: "მეპატრონეები" ტუსაღისგან არა მხოლოდ ქედმოხრილი მორჩილების ყოველწამიერ გამოსატყვევებლად მოითხოვენ ("სულ მიჩინებდნენ, რომ ძალიან უდარდელი სახე მქონდა, რომ ჩემი ხმა მეტად ამაყად უღრდა... ჩემი სახის კუნთები, ზოგჯერ ჩემდა უნებურად, ვერ იდრიკებოდა საკმარისად მათთვის სასურველი სულიერად განადგურებული ადამიანის გამომეტყველების მისაღებად"), ისინი მოითხოვენ... თანაგრძობასაც: ერთ-ერთმა მცველმა, სერიოზულმა, თავშეკავებულმა კაცმა, რადიატორზე მიბმული გიგა წიხლით სცემა: "შენს გამო ეს ნაომარი და გადაღლილი ხალხი იძულებულია არიანო, მოწყდნენ საკუთარ ოჯახებსო, მეტად მძიმე და სახიფათო სამუშაო იკისრონო. შენი გულმოდგინების ეს კავკასიონი გადმოიარეს, ასობით კილომეტრზე აღმა-დაღმა დაეხეტებოდნენ შენისთანა





სწორედ ჯოჯოხეთიდან იხილა მან ვარსკვლავები.

ვარსკვლავები

უპასუხისმგებლო მძევლის მოსატაცებლად".

"სულისშემძვრელ" მონოლოგებს ტუსადის "უფულობის" გამო წარმოთქვამს თვით გამტაცებელიც, ხოლო როცა, ბოლოს, სიკვდილის შიშით იგი იძულებული ხდება გაათავისუფლოს მძევალი, გიგა მისი დედის მოთქმასაც მოიხმენს: "ტიროდა თავისი უბედური, საცოდავი, კეთილი შვილის ბედის გამო, რომ მე საკუთარ სახლში ვბრუნდებოდი, მისი შვილის ბედი კი სრულიად გაუკვველი იყო... რომ მე ასე მშვენივრად გამოვიყურებოდი (მტერს ვუსურვებდი ჩემს იმდროინდელ გარეგნობას), მისი შვილი კი ძლივს დალასლავებს მუდმივი ნერვიულობისაგან, შენუხებული ჩემი და ჩემი საზოგადოებრივი უმადურობისაგან, რომ ქვეყანაზე ცოტა არაა ჩემისთანა მტარვალი, სასტიკი და დაუნდობელი ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია სიბრაულის არავითარი გრძობა".

ეს ჯალათური, მაგრამ მაინც სენტიმენტალიზმი ზოგჯერ თანაგრძობას მსხვერპლსაც გადაანვდენს ხოლმე და უკვე სრულიდოტიზმად იქცევა: გამტაცებელი, რომელმაც, კაცმა არ იცის რა მიზნის მისაღწევად, დენთით მუცელგამოსაბუგად გაიმეტა ტყვე, ისე, რომ ის ძლივს გადაურჩა სიკვდილს, ცოტა ხნის შემდეგ, მზის დაბნელების საყურებლად (1999 წლის აგვისტო) გამურულ შუშას მიუტანს ავადმყოფს და მზრუნველად გააფრთხილებს - მზეს პირდაპირ არ შეხედო, თორემ... თვალებს დაიზიანებო.

მართალია, ჯოჯოხეთური ნამებით ძალანართმულ ადამიანში არანაირი ინტერესი არ გამოუნვევია შვებზე, სამაგიეროდ,

"სულიერების დაბნელება" და "ბუნებისადმი დაყრუება" - აი, ორი "დანაშაული", რომელსაც ფილოსოფოსები თუ რელიგიური მოღვაწეები უამდაუამ კაცობრიობას უსაყვედურებენ. ზოგჯერ ამ ორი მოვლენის ურთიერთკავშირსაც აღნიშნავენ ხოლმე, მაგრამ არ მახსოვს ამ კავშირის უთვალსაჩინოეს ილუსტრაციად ვინმეს ვარსკვლავებისადმი დამოკიდებულება მოეყვანოს.

მწერები, ცხოველები და... პირველყოფილი ადამიანები გარემოში ორიენტირების უზუსტეს მონაცემებს ბუნებისგან იღებენ. ცნებითი აზროვნების განვითარება მგრძობელობის ამ ნახნაგს აჩლუნგებს - ბუნების ზოგიერთ მოვლენას (ვთქვათ, დედამიწის მაგნიტურ ველს) ჩვენ საერთოდ ვერ შევიგრძობთ; სხვა მოვლენებში გრძობათა ორგანოებით აღიქმება, მაგრამ არაფერს ეუბნება ჩვენს არსებას. და მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრის შემდეგ, როდესაც ბუნების პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილი, შიმშილითა და ხეტიალით ქანცვაცლილი ადამიანი ცნებებით აზროვნების უნარს კარგავს, მას უბრუნდება გარემოში ორიენტირების, ერთი შეხედვით, მხოლოდ ცხოველებისთვის დამახასიათებელი უნარი.

თუმცა, ვარსკვლავიერი ცამეტისმეტად მაღალი დიადი და მშვენიერია საიმისოდ, რათა რალაც ეტაპზე იგი საერთოდ ვეღარ შეამჩნიო და, ცნებით აზროვნებასთან ერთად, ცნობიერების ჰორიზონტიდან მთლიანად გაქრეს. სულიერების ნათელ ეპოქებში იწყება ახალი დონის ურთიერთობა ვარსკვლავებთან და პოლ ვალერი ასე აოქროპირებს პითაგორას: "სამყაროსათვის უცხოა სიჩუმე... თითოეული მობრავი ვარსკვლავი თავისი სიჩქარის

მიხედვით არხევს ეთერს და მისი რიცხვისათვის ნიშნულს ბგერას გადასცემს სივრცეს... მათ მიერ გამოცემული ბგერები უნაზეს აკორდად, უსათუთეს ვარიაციებად ერწყმიან ერთმანეთს; ეს ცათა აკორდია, ციური ჰარმონია... გონიერება, სამართლიანობა, სიყვარული და სამყაროს უზენაეს ნაწილში დამკვიდრებული ყველა სხვა სრულქმნილება გრძობადი და საცნაური ხდება". ხოლო იუდეველები ვარსკვლავიერი ციდან თავად ღმერთის სიტყვას ისმენენ და "ზიბლიური ღმერთები ზარით რეკენ უფლის დიდებას".

შემდგომში, ასტრონომიის განვითარების შედეგად, თანდათან ქრება ვარსკვლავების ენის ცოდნა და კოპერნიკის, ტიჰო ბრაჰეს ან კეპლერის მსგავსი ადამიანები მთელ თავიანთ ზეადამიანურ გენიასა და ცხოვრებას ალევენ ციურ მნათობთა ურთიერთგანლაგებაში არსებული გონებისთვის მიუწვდომელი ჰარმონიის უკვე მხოლოდლა ცალკეული ფრაგმენტების მათემატიკურ-გეომეტრიულ კანონზომიერებებამდე დაყვანას ("სამყაროს რაციონალური მოწყობის რაოდენ ძლიერი რწმენა და რაციონალურობის თვით უმცირეს გამოხატებათა შეცნობის რაოდენ ძლიერი წყურვილი უნდა ჰქონოდათ კეპლერსა და ნიუტონს, რათა ეპოვათ ძალა მრავალწლიანი შეუპოვარი შრომისა ზეციური მექანიკის ძირითადი პრინციპების ასახსნელად!" - ა. აინშტაინი).

ახალ დროში მეცნიერებით გონების "განათლებასთან" ერთად სულ უფრო ბნელდება სულიერება და XIX საუკუნეში ემერსონი, რომელიც გრძობდა, რომ ვარსკვლავები რალაც ძალზე მნოშველოვანს ეუბნებოდნენ მის სულს, ვერ კი გაეგო - რას, ასე გამოთქვამდა თავის წუხილს: "ვარსკვლავები რომ ათას წელიწადში მხოლოდ ერთი ღამით ევლინებოდნენ ჩვენს მზერას, როგო-

რი იქნებოდა ადამიანის რწმენა, ანდა მისი სასოება უფლის მიმართ?! თაობიდან თაობებს გადასცემდა იგი მის მიერ ოდესღაც ხილული სასწაულის ხსოვნას! მშვენიერების ეს მოციქულნი კი ყოველ ღამე გვევლინებიან და თავიანთი გრძნული ღმერთი აცისკროვნებენ სამყაროს".

XX საუკუნეში მასმედიის მიერ მოტანილი ილუზიური შტამების ადამიანის არსებაზე ტოტალურმა გაბატონებამ, თითქმის გააქრო სულიერ სამყაროში ვარსკვლავები და მაინც, ექსტრემალურ ვითარებაში, როგორც ჩანს, ადამიანს ძალა შესწევს ვარსკვლავების ენის ძველ-უძველესი ცოდნა დაიბრუნოს, ოღონდ ამისთვის ახლა უკვე აუცილებელია პირდაპირ მიშველი ნერვებით შეეხოს ვარსკვლავიერი ცას.

ყველაფერი ეს გამახსენა "დელ მარის" უბრწყინვალესმა მონაკვეთმა, რომელიც მე მთელი წიგნის კულმინაციად მიმაჩნია და რომელსაც ახლა მოვიყვან.

ერთ პერიოდში მცველები რამდენიმე დღე ზედიზედ საგანგებოდ აღიზიანებდნენ გიგას, "რომ ქართველები საცოდავი და უდღეური ხალხია; რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ერთიანად გავრედებოდით; რომ სწორედაც ღირსები ვიყავით, აფხაზეთი და სამაჩაბლო რომ დავკარგეთ".

ერთ საღამოს მძევალს სიფრთხილმ უღალატა და შეეპასუხა. ის გარეთ გაიყვანეს, ხეზე მიაბეს, გონის დაკარგვამდე სცემეს, მერე წყლის დასხმით გამოაფხიზლეს და ხეზე მიბმული დატოვეს.

"ყველაფერი ერთიანად მტკილად, სხეული სულ დამტვრეული მქონდა. ისე მიმაბეს, რომ ფეხებით მინას ძლივს ვეხებოდი და ჩამოკონწილებულ სათამაშოს ვვავდი. ნარბიდან სისხლის დენა შემინყდა, ტკივილები უოდნა გამიყურდა, მაგრამ ისე მოუხერხებლად ვიყავი დაბმული, რომ მხოვებას ვერ ვახერხებდი. გარშემო სრული სიჩუმე

სუფევდა. მივიხედ-მოვიხედე, უკუნ სიბნელებაში ბევრი ვერაფერი გავარჩიე და არც არაფერი მეჩვენა საინტერესოდ. მერე ცას ავხედე უნებლიეთ, რადგან ჩეჩნეთში ყოფნისას სულ ძირს ცქერას მივეჩვიე და, ძალაუნებურად, უმთავრესად, იატაკს, ხან ფიცრულს, ხან მიწაყრილს, ხან კაფელს ვუცქეროდი. მაგრამ ცას რომ ავხედე, ყველაფერი დამავიწყდა... უკვე ვერამდენე თვე იყო, რაც სუფთა ჰაერზე არ ვყოფილიყავი და ცა არ დამენახა. ფარდის თუ ფანჯრის მიღმა დანახული ცის პატარა ნაფლეთი ხომ სათვალავში არ ჩაივდება... უკიდევანო ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედული. საოცარმა გრძობამ მომიცვა. ტკივილი თითქმის დამავიწყდა. გაოგნებული შევცქეროდი თავს ზემოთ გადაშლილ გაუგონარ მშვენიერებას, ისეთი ალფრთოვანებით შევცქეროდი, გეგონება, წინათ არასოდეს მენახა ვარსკვლავები თითქმის მოჭედული ცა... ნუთუ, ჩეჩნეთში, ტყვეობაში უნდა დამენახა და აღმომეჩინა ეს სილამაზე?! გამოვცოცხლდი... თითქოს პატარა, ჩაკეტილი საკნიდან უკიდევანო სივრცეში გამოვდი. იმ დღეს სულ სხვა თვლით აღვიქვამდი ყველაფერს, სიამოვნება ტკივილს მანიჭებდა, სულ დამავიწყდა ჩემი მდგომარეობა, ერთადერთი განცდა თავისუფლების შეგრძნება იყო..."

(აქ შეიძლება გაგვეხსენებინა აინშტაინის სიტყვები, რომ კოსმოსის ხმის მიმართ ყველაზე უფრო მგრძობიარე სულელები მთელ ამქვეყნიურ არსებობას მიჩინვდნენ ერთგვარ საპყრობილეში ტუსალობად და მხოლოდ სამყაროში, როგორც განუყოფელ ერთიანობაში, ხედავდნენ რალაც გააზრებულს.)


"როდესაც გათენდა და მცველები მოვიდნენ, პირი დააღეს. ელოდნენ ტანჯვისაგან გათანჯულ, დათრგუნულ ტყვეს, მათ კი სახეზე ღმერთნილი მძევალი დახვდათ".

მხატვრული ლიტერატურა

როგორ დაფრინავენ ბერმანიაში?

ანდრო პნაქიძე

მიზო მოსულიშვილი: "ფრენა უკასროდ". რომანი. თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2001.



საკითხად იოლი და ხალისიანი თხრობა მოიცავს სამი მთავარი გმირის, სამი ქართველი ემიგრანტის ნახევრად ლეგალურ ყოფას გერმანიის ლტოლვილთა ბანაკებში და ზოგადად, გერმანიაში. მოქმედება ხდება ჩვენს დროში.

ავტორმა თავის რომანს ხუმრობით "სახელმძღვანელოც" კი უწოდა. სახელმძღვანელო მათთვის, ვინც თავის ღარბ ქვეყანაში კანონისგან გაქცევას შეეჩვია და ასეთი ცხოვრების ნესზე არც გერმანიაში სურს ხელის აღება. ხოლო ლტოლვილთა ბანაკები ის სივრცეა, სადაც სხვადასხვა რჯულის ადამიანები, მიუხედავად სარწმუნოებისა და ეროვნებისა, თავის გატანის მიზნით, ქმნიან კრიმინალურ დაჯგუფებებს, საშუამავლო რგოლებს, რომლებიც აკავშირებენ დიდ ნარკომანიას ნარკოტიკების მომხმარებელთან და ასე შემდეგ.

გმირების საქციელი თითქოს მარტივია და პრიმიტიულიც კი, ცხოვრების ნეის - ქურდობა, ბრძოლა ნარკოტიკებისათვის. ავტორი თავისი პერსონაჟების ყოფას ირონიულად უყურებს. თხრობა ხან ზედმიწევნით ეპიკურია და ხანზგასმით ყალბ პოეტურ ელემენტებს მოიცავს, ჰომეროსის "ოდისეასაც" კი ემგვანება, ხან კი ავტო-

რი თავს ირთობს რაბლენური მოტივებით და მკითხველი ჰიპერტროფირებული, მაღალპოეტური სატირისა და იუმორის სამყაროში გადაჰყავს... ამ ნაწარმოებში უცნაურად ერწყმის ერთმანეთს ერთფეროვნების სიჭრელე და - პირიქით, - მრავალწინაგოვანი ყოფის მონოტონურობა და ერთფეროვნება.

რომანის სათაური გოეთეს "ფაუსტის" პერიფრაზია; დოქტორ ფაუსტს ცამი გასაფრენად აუერბახის სარდაფის ღვინის კასრი სჭირდებოდა, ჩვენს გმირებს კი ასეთივე გაფრენისთვის მარისუანით შეკეთებული ამერიკული "ჯოინტიც" ყოფნით.

გერმანიაში მოგზაურობისას პერსონაჟები ხვდებიან თავიანთი დიდი ქართველი წინაპრების სულს, რომლებიც ამავე ადგილებში მოღვაწეობდნენ (გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დავით გურამიშვილი); ვაიმარში კი გოეთესა და შილერის სკულპტურები (ცოცხლდებიან, რომანის გმირებს, ქართველ და ნიგერიელ ნარკო-ვაჭრებს ეკამათებიან, და იმავე კამათში მონაწილეობას ლებულობს ნიგერიელი ღმერთების მამამთავარი, ოლოკრუნი! (ნარკომანიის იერარქიულ კიბეზე ასვლისას ქართველ მიგ-

რანტებს მფარველებად მოველინებიან უაღრესად მომხიბვლელი, თვითმყოფადი, ოდნავ სასაცილო და საშიში ნიგერიელი არამზადები).

საბოლოოდ, ინტერნაციონალური "არამზადების" ჯგუფის მოღვაწეობა მარცხით მთავრდება - რომანტიზირებულ ავაზაკობას ნინ ალუდგება გერმანიაში თავიანთი მართლმანიქანა და "აზულიანტებს" თავ-თავიანთ ქვეყნებში გააძევენ. ამგვარად, ირკვევა - არც გერმანიაა ნარმოჩენილი რომანში იდეალურ სამყაროდ, ვინაიდან არამზადებს გერმანიაში თავიანთი შავ-ბნელი საქმეების თანამზრახველები ჰყავთ და, გარდა ამისა, არც დასავლური ცივილიზაცია ისეთი რამ, რისი მორყევაც შეუძლებელია.

სასაცილოსა და სატირალის ზღვარზე ბალანსირებული თხრობა რომანში შეესებოდა უაღრესად მკაფიო, გმირებისთვის (დიტო ქიქელაძე, პუპა კოლუაშვილი და კახა ბურნაძე - ქართველი არამზადები; ბოზო ანჩიბუა ოდუდუვა, საფა ჩუკუ ჩუკუ - ნიგერიელი არამზადები; ვილი ზაბელიკუსი და კრისტინ შვერდტლიანი - გერმანელი არამზადები; მარიშკა "პალ-მით" და ანანკე ორო კაია - ქართველი და ნიგერიელი ამორძალები)

დამახასიათებელი, სისხლხორცეული ცნობიერების ნაკადის გადმოცემით.

და ბოლოს, რა არის ავტორისთვის ყველაზე ფასეული პოსტმოდერნისტულად ორგანიზებულ თხრობაში, სადაც ყველა პრობლემა (განვითარებული და ჩამორჩენილი ქვეყნების ანტიგონიზმი, გლობალიზმი და ანტიგლობალიზმი, ფემინიზმი და ანტიფემინიზმი, სექსუალურ უმცირესობათა და უმრავლესობის ჰარმონიული თანაარსებობა და ასე შემდეგ) სასაცილო ასპექტშია გადაწყვეტილი?

ადამიანი, როგორც ინდივიდი; ადამიანი, როგორც თავისებური სამყარო - ყველა თავისი მანკიერებითა და ღირსებით - ის სიყვარულის სივრცეა, რომელიც რომანში ავტორს შეარჩევს ქვეყნიერებასთან და, მიუხედავად სატირისა, მკითხველს თავის პერსონაჟებს შეაყვარებს. სწორედ ამიტომ, რომ რომანის გმირები ცხოვრებას აგრძელებენ ქართველი მკითხველის ცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, გვაქვს იმედი და საფუძველი, ვივარაუდოთ რომანის წარმატება როგორც დასავლეთ ევროპა-სა და გერმანიაში, ასევე ნიგერისა და მის მსგავს განვითარებად ქვეყნებში.

"მეცხოვე ვარ, ხელში ხალი მაქვს..."

ბიკა ბენიძე

რუსუდან კაიშაური. ლექსები. თბ. "კავკასიური სახლი", 2002.



"კავკასიურმა სახლმა" წელს გამოსცა რუსუდან კაიშაურის ლექსების კრებული. ამ პოეტის შემოქმედებას ადრეც ნაწილობრივ ვიცნობდი გაზეთ "ალტერნატივის" ფურცლებიდან, ნიგნმა კი უფრო სრული შთაბეჭდილება შემეძინა მასზე.

ის გამოკვეთილად პერსონალისტური ტიპის პოეტია - საკუთარი, პირადული ყოფა და ამ ყოფის ნიადაგზე აღმოცენებული განცდები გახლავთ მისი შემოქმედების მასაზრდოებელი წყარო. შეიძლება ითქვას, რომ რ. კაიშაურის საუკეთესო ლექსები

სხვადასხვა რაკურსით შესრულებული ავტობიოგრაფიკულია, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და მთლიანობაში გამოჰკვეთენ ავტორის პოეტურ ინდივიდუალობას.

რუსუდან კაიშაურს საკმაოდ თამამად შემოაქვს პოეზიაში ყოფითი, არაპოეტური აქსესუარები; მისთვის ესთეტიზმი, ფორმის კულტივირება ნაკლებად დამახასიათებელია, მთავარი აქცენტი სათქმელის სიმძაფრეზე და მკითხველამდე მაქსიმალური გულწრფელობით მიტანაზე არის გადატანილი; რ. კაიშაურის ნაწარმოებთა ღირებულებას აბსტრაქტულ მეტაფორებსა და ასოციაციური ხილვებით კონსტრუირებულ "სხვა რეალობაზე" მეტად განსაზღვრავს მკაფიო აზრი, ლოგიკურად დასრულებული შინაარსი და მისი თანამდევნი ემოციური მუხტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსუდან კაიშაურის პოეზია რეალისტურია, მას მყარად უდგას ფეხი მიწაზე და საგნებსა და მოვლენებს ალიქვამს და გვაჩვენებს ისეთად, როგორც სინამდვილეშია. ამის გაბეჭვა და განხორციელება კი ადვილი როდია ვირტუალური იმიჯებით აღსავსე დღევანდელ ლიტერატურულ სივრცეში, სადაც ხშირად რეალობა აღარ აღიქმება რეალობად, იმდენად აბერაციული, ნორმიდან გადახრილი გახდა თვითონ ხედავთ თუ შემეცნება. რუსუდან კაიშაური წარმატებით ახერხებს საკუთარი განცდის თანაზიარად აქციოს, ააღვლავს მკითხველი. მისი

ლექსების ლირიკული გმირი გახლავთ ქალი, რომელსაც ცხოვრებამ მრავალგვარი სატიკივარი, საზრუნავი, ტრაგედიაც კი არ გუნაწილად, მაგრამ სულიერად ვერ გატეხა და სიცოცხლის ხალისი ვერ ჩაუკლა; პირიქით, იგი გამოინთო და გაძლიერდა ცხოვრებასთან ჭიდილში და ეს სიმხნევე, ჭირსა შიგან გამაგრების ნიჭი, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოქმედი სტოიციზმი მკითხველსაც გადაეღება, მასაც აძლიერებს სულიერად. რ. კაიშაურის ლექსებში გამჟღავნებულია ის შინაგანი ჭიდილი, პოეტის სულში რომ გამართულა ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის: ორივე მაქსიმალურ მოთხოვნებს უყენებს, ორივე "გულის სისხლს" თხოვს მისგან და მას არ ძალუძს რომელიმეს უგანოს, ამიტომ პოეტის გული, რომელიც ასპარეზია ამ უკომპრომისო ჭიდილისა, გამუდმებით მაღალი ძაბვის ველში იმყოფება და მაქსიმალურად იხარჯება ორივე მიმართულებით: ერთი მხრივ შეილება, ყოველდღიური ჯაფა, ყოფითი წვრილმანები, რომელთა ზოგად, კრებით სახელად გამოდგება მის ლექსებში მრავალგვარი მოხსენიებული "ცოცხი", მეორე მხრივ კი ოცნების კოშკები, ლაჟვარდები... ერთგან წერს - ქალთევზასავით ვარ, ტანის ნაცვლად ცოცხზე ვდგავარ და "ცოცხზე მდგარი ვპოეტობ ქალი"-ო; ამ რამდენადმე კომიკური იმიჯით პოეტი მკაფიოდ და ემოციურად გამოხატავს თავის პიროვნულ დრა-

მას; სხვა ლექსში კიდევ, ერთგვარი პეროიკული შტრიხები ჩნდება ავტობიოგრაფიაში, თუმცა აქაც არის დაფარული თვითონონია: შეილება მზრუნველი დედა თავისთვის ჯერ ბავშვების თავშესაფარ ციხედ წარმოიდგენს, შემდეგ კი - ხმლიან მეციხოვნედ, რომელიც ბავშვების ძილს დარაჯობს: "მეციხოვნე ვარ, ხელში ხალი მაქვს, ღამით საწოლებს აუფელ-ჩაუფელი". რუსუდან კაიშაური ამ თავისი "ჯიქური" რეალიზმით, გულწრფელობით მრავალთაგან გამოირჩევა დღევანდელ ლიტერატურულ პროცესში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავისი სულ ბოლოდროინდელი ლექსებით ის ერთგვარ ხარკს მაინც უხდის ამ პროცესისათვის დამახასიათებელ მოდურ ტენდენციებსაც და არაიშვიათად "ახერხებს" დემსგავსოს სხვებს; ამ ლექსების ნამკითხველი ალბათ უყოყმანოდ მიაკუთვნებს მას "თანამედროვე" პოეტთა რიცხვს. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მაინც "tour de force"-ა ("ძალის ჩვენება"); ამ გამოთქმას ხშირად იყენებს უილიამ ფოლკნერი, როცა ეხება იმგვარ ნაწარმოებებს (თავისას თუ სხვისას), რომელთაც ღირებულება კი აქვთ, მაგრამ მაინც არ არიან ავტორის უშინაგანესი სამყაროს, მისი ჭეშმარიტი სტიქის გამოხატულები. რუსუდან კაიშაურმა ამით დაამტკიცა, რომ მოდურობის პრეტენზიის მქონე უმცროსი კოლეგების მსგავსად წერა მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ

ის, რითაც რ. კაიშაური არავის ჰგავს, რაც მისი შემოქმედების ბირთვი და ძირითადი მიმართულებაა, შესაძლოა არც ისე "მოდურად" გამოიყურებოდეს მავანთა თვალში. რუსუდან კაიშაური წერს როგორც ტრადიციულ რითმიან ლექსებს, ასევე ვერლიბრსაც, მის კონვენციურ ლექსებში აქაიკ იგრძნობა ფორმის დაუხვეწაობა, ტექნიკური ხარვეზები, ვერლიბრში კი ამგვარი ნაკლი თითქმის არ შეიმჩნევა; ეს ალბათ იმიტომ, რომ ტრადიციულ, კონვენციურ ლექსს უფრო მკაცრი მოთხოვნები აქვს ფორმის თვალსაზრისით, ვიდრე "უფორმო" თავისუფალ ლექსს. ზოგჯერ ფრაზას უჭირს მეტრის ჩარჩოებში ჩატევა და ამის გამო მოქნილობა და სიზუსტეც აკლია, ზოგან რიტმი მოიკოჭლებს; ალბათ პოეტმა სტილისტური თვალსაზრისით უფრო მკაცრად უნდა გადახედოს თავის პროდუქციას და შეძლებისდაგვარად იზრუნოს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზე. მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩემი აზრით, რუსუდან კაიშაური ტრადიციულ ლექსში მაინც უფრო მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს თუნდაც წმინდად მხატვრული თვალსაზრისით, ვიდრე ვერლიბრში. შესაძლოა, შინაგანად უფრო ახლობელი მისთვის მაინც ტრადიციული ლექსია. ვიდრე ვერლიბრს, მომავალში პოეტი ამ ფორმას მეტი რუდუნებით მოეკიდება და ოსტატობის უფრო მაღალ ხარისხს გვიჩვენებს თავის ახალ ნაწარმოებებში.

ჩაძირული ქალაქის დასანახად

ბიკა არბანაშვილი

დათო ტურაშვილი. ჩაძირული ქალაქის ღამე (ეთნოგრაფიული რომანის ვერსია), მხატვარი: ვახტანგ რურუა. თბ. "აზრი", 2002.



"ჩაძირული ქალაქის ღამე" რომანია, თემა - ისტორიული, დრო თითქოს წარსული, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, ისევე როგორც ნაწილობრივ მომავალი. მთლიანად კი აწმყო, აწმყო წარსულის ნოსტალგიით და მომავლის იმედით, აწმყო დროთა განყვეტილი კავშირის ადდენის სურვილით, თხრობის ტრადიციული სტილის პაროდირებით, არატრადიციული კომენ-

ტარით, იუმორით და უწმინაური სიტყვებით.

ზოგიერთი მკითხველი ძალზე მტკივნეულად განიცდის ამგვარ გამოთქმებს, ვალიარებ, რომ მეც უამისობა მერჩივნა, თუმცა ვფიქრობ, თანამედროვე ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ახალი ლექსიკური მარაგი, ერთგვარი ფორმაა პროტესტისა, იმ საზედამხედველო რეჟიმის მიმართ, რომელსაც ენის სინამდის დაცვის მომიზეზებით ყოველთვის ახორციელებდნენ სალიტერატურო ქართულის განვითარების შესაფერხებლად.

შეიძლება დათო ტურაშვილის ახალი რომანის მკითხველს ბევრი სხვა სიძნელეც შესვდეს ამ ნიგნის კითხვისას. ტრადიციული სამკითხველო კულტურის მქონე ადამიანს ყოველთვის უჭირს სიახლესთან შეჩვევა. მას ურჩევნია თანამედროვე ლიტერატურაშიც კლასიკურ მწერლობასთან დამაკავშირებელი ძაფები მოძებნოს, კავშირი წარსულ კულტურასთან, ერთი მხრივ, იმ ნაცნობი ნიშნების ძიებას ჰგავს, ძნელადამოსახსნელ "რებუსს" რომ ამარტივებს, მეორე მხრივ - წინასწარ შექმნილი ცოდნით, შეფასების მზამზარეული სისტემებით სარგებლობა საზოგადო აზრთან და შეხედულებებთან სრული თანხმობის მყარ გარანტიას იძლევა.

თუმცა ამისთვის ნუ გავკიცხავთ ნურც მწერალს, რომელიც საკუთარ მკითხველს ზრდის და ნურც ტრადიციულ მკითხველს, რომელიც ოდნავ

დაბნეულია ლიტერატურულ ფორმათა და ესთეტიკურ ღირებულებათა მკვეთრი სიახლით.

მაგრამ მას მალე მოუწევს იმის აღიარება, რომ ახალი ათასწლეულის გამოწვევას (ისე როგორც ქართულ ცეკვაში) ის ოდნავ ქალწულებრივი სიმორცხვით შეხვდა, თითქოს უნებურად შეენიხაღმდეგა ხელოვნების თავისუფლად განვითარების პრინციპს, რადგან დიდხანს, ძალიან დიდხანს, ლიტერატურული ფასეულობა მისთვის რელიგიურ ღირებულებათა ტოლფას დოგმატურ მცნებად განიხილებოდა, რაც ერთნაირად საზიანო იყო როგორც რელიგიისთვის, ასევე ლიტერატურისთვის, რომლის არსიც სწორედ დროსთან მიმართებაში ყალიბდება.

აქვე შევნიშნავთ, რომ დროის კონკრეტულ საზღვრებში ჩაკეტვა ან დოკუმენტურობით ზედმეტი გატაცება სრულიად არ აკნინებს ნაწარმოების ღირსებას, არ ამცნობს მის მხატვრულ ღირებულებას, რადგან დრო (კონკრეტული წამი) ისეთივე მოუხელთებელია, როგორც რეალობა, რეალური მოვლენა, რომელსაც ვერასოდეს ვერ აღვწერთ ისეთი სიზუსტით, როგორც ის ხდება. რასაც ვერ აღვწერთ, რასაც ვერ დავინახავთ, მხოლოდ გუმანით (ინტუიცია) ვიგრძნობთ და მკითხველსაც ვაგრძნობინებთ. სწორედ ის არის ლიტერატურისთვის აუცილებელი მხატვრული სიმართლე, რომელიც რეალურ მოვლენას ან საგანს ყოფიერე-

ბისა და მარადიულობის გამყოფ მიჯნაზე შეაჩერებს და გაყინავს.

რადგან მეც უპირველესად მკითხველი ვარ, ყველა ის რჩევა-დარიგება, რომელიც ამ ნიგნის მომავალ მასპინძელს შევთავაზებ, ჯერ საკუთარ გრძნობათა სისტემაზე გამოვცადე და სიამოვნებით ვაღიარებ: დოკუმენტურ მასალაზე აგებული დათო ტურაშვილის ეთნოგრაფიული რომანი (ასე უწოდებს ავტორი) თხრობისას იძენს მხატვრულობის იმ აუცილებელ ელემენტს, რომელიც სრულიად საკმარისი იქნებოდა სიმბოლურ-ალეგორიული ჟანრის ნაწარმოების შესაქმნელად.


ნაწარმოების მყარი, ისტორიული ფაქტებით გამაგრებული ქსოვილი უფრო დამარწმუნებელ სახეს აძლევს იდეას, რადგან ეს იდეა ცნობიერად, კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოში შექმნილი კულტურის მეტაფორული სახეა. რეალობა კი თავისი ჭუჭყიანი სამოსლის შიგნით იგავის სუბტაკე მორალს ატარებს, რომელსაც მხოლოდ აუცილებელი მანძილის დაცვა სჭირდება ნამდვილი იერ-სახის გამოსაჩენად.

ეს სწორედ ის მანძილია, რომელიც ავტორს სჭირდება ჩაძირული ქალაქის დასანახად: "გნახე ჩაძირული ქალაქი, ყველაზე ქართული ქალაქი, რომელიც მხოლოდ ზევიდან ჩანს. და რაც უფრო მაღლა ხარ ამ ქალაქიდან, უფრო ადვილად დაინახავ იმ ქალაქს, რომელიც მხოლოდ წყლისა და მიწის ქვეშ არ-

სებობს, სადაც ისევ ცხოვრობენ ადამიანები, ვისაც დღემდე სჯერა, რომ ოდესღაც იქაც გათენდება, ერთ დღეს ამოვა მზე და მტკვარში ჩაძირულ ქალაქსაც გაანათებს, როგორც მაშინ, როცა პატრიკ ო'ლირი ტფილისში ჩამოვიდა ძველი ირლანდიური ლექსებით და ახალი ინგლისური პასპორტით, პატარა საკვოიაჟით და დიდი სურვილით - ქვეყანა, რომლის არსებობის შესახებაც მხოლოდ გამოცემით იცოდა, აღმოჩენილიყო ისეთი, როგორზეც ოცნებობდა, როგორც მას სურდა, რომ ყოფილიყო ეს შორეული, ლეგენდარული საქართველო..."

რომანი ეძღვნება ქალაქს, რომელიც ჯერ დაანგრეს და მერე ჩაძირეს... აქ სრულიად ბუნებრივად ჩნდება ხომალდ-ქალაქის "ტიტანიკის" სიმბოლური სახე. მწერალი ჩაძირულ ქალაქსა და ხომალდს სიუჟეტურადაც აკავშირებს. "ტიტანიკმა" ტფილისის უძვირფასესი განძი, "მფრინავი ხალიჩა" ჩაიყოლა ზღვის ფსკერზე. მფრინავი ხალიჩა იგივე ოქროს საწმისია, ახალი განზოგადებული სახე ჩვენი მუდმივი ძიებისა, წარსულში ძიებისა, რომელიც კვლავ სავალალოდ მთავრდება, რადგან რამდენჯერაც არ უნდა განმეორდეს "წარსული", ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს მივიღებთ.

თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო,



რომ ჩემთვის ამ რომანის მთავარი იდეა მაინც "ტიტანიკს" უკავშირდება. თუ ერთი მხრივ ხომალდ-ქალაქი "არგოს" გვახსენებს და უხსოვარ წარსულთან გვაკავშირებს, მეორე მხრივ - მას მომავლისკენაც მივყავართ (თუნდაც ჩასადირად?). მსოფლიო ისტორიული მოვლენა ("ტიტანიკის" ჩაძირვა), რომელმაც მთელი სამყარო შეძრა (1912 წლის 14 აპრილი) და დღემდე ჩვენში მხოლოდ უქმ ცნობის-მოყვარეობას აკმაყოფილებდა, ამ ნაწარმოებით უფრო ახლობელი გახდა ჩვენთვის. მსოფლიო ტრაგედია, თუმცა დაგვიანებით, ქართველსაც მოადინა თვალთვალის ცრემლი, ჩვენც გავხდით თანაზიარნი საერთო-საკაცობრიო ტკივილისა (თუნდაც მხოლოდ ტფილისიდან ნაღებული და "ტიტანიკთან" ერთად ჩაძირული მფრინავი ხალიჩის გამო). ლიტერატურული ვერსია გამოდგა ის მაშველი რგოლი, რომელმაც კვლავ დაგვაკავშირა მსოფლიოს, დაგვაკავშირა გლობალურ პროცესებს იმ გასურვე-

ლი ინტერესით, რომელიც თითოეულ "მართლა ქვეყანას" სამომავლო-საკაცობრიო მოვალეობას და პასუხისმგებლობას ანიჭებს.

მფრინავი ხალიჩა არ არის ის ერთადერთი უძრავი ლოდი, რომელიც რომანის საძირკველშია ჩაგდებული, რომელიც ფორმის ნებისმიერ სიახლეს, ორიგინალურ კონსტრუქციას გაუძღვება. ასეთივე მყარი და ტრადიციულია ნაწარმოების მთავარი ხაზი ირლანდიელი პატრიკ ო'ლირის და ქართველი სოფიო მეტრეველის სიყვარულის ისტორიისა, ნაცნობობის განცდა ანტიკურ სიუჟეტთან აქაც ზედაპირზე ძვეს. თანამედროვე იაზონი და მედეა. იაზონი კვლავაც მედეას დახმარებით ეუფლება ძვირფას განძს (მფრინავი ხალიჩა). თითქმის მეორედია ისტორია. მეორედია ტრაგედია, თუმცა მწერალი ასე ადვილად ვერ იმეტებს სოფიოს დედობრივ ინსტინქტს, ვერც მის სიყვარულს და სოფიო ბრუნდება ტფილისში, ბრუნდება შვილებთან ერთად. "მაგრამ ისინი დაბრუნდნენ სხვა საქართველოში, დაბრუნდნენ იქ, სადაც საყვარელი ქალაქი ჩაძირული დახვდა სოფიო მეტრეველს და ეს არ იყო ქალაქი და ქვეყანა,

რომელიც მას ენატრებოდა, რომელზეც ოცნებობდა..."

მწერალი კი განაგრძობს "მფრინავი ხალიჩის" ძებნას. ეს ჩაძირული, დანგრეული, სადაც წარსულში დაკარგული, სიზმარში ნანახი ქვეყნის ძიებაა, "რომელიც ერთი საუკუნის წინათ ისეთი ლამაზი იყო, როგორც არაფერი ამქვეყნად", ის ოცი საუკუნის წინაც ისეთი ლამაზი იყო, როგორც არაფერი ამქვეყნად. ლეგენდა ლეგენდაში, ტექსტი ტექსტში, ლიტერატურული პირველწყაროს ხელახალი გააზრება. ხელოვნება კვლავ იბრუნებს თავის მთავარ ფუნქციას, რომელიც დროისა და სივრცის მიღმა უპირველესად საკუთარი თავის ძიებას გულისხმობს.

რომანი იწყება სიზმრისეული ჩვენებით. "მასში სიზმარი ვნახე". კონკრეტული დრო თხრობას უფრო დამაჯერებელს ხდის. სიზმარი კი მხოლოდ ლიტერატურული ხერხია, მთავარი იდეის ანოტაციური ფორმით წარმოდგენისა: "მფრინავი ხალიჩაზე ვიჯექი და ვტიროდი. რა მატირებდა: ზემოდან ისეთი ლამაზი იყო თბილისი, უკითხავად ჩამომიგორდა ცრემლი ჯერ ლოყაზე, მერე ხელიჩაზე და ბოლოს ის ჩემი ცრემლი მეიდანზე დაეცა, იქ-

ვე, მეჩეთის მინარეთთან და გამიკვირდა. რამ გამაკვირვა: თბილისი იყო ძველი, საუკუნის წინანდელი და მეიდან კი ისეთი ხალხმრავალი და მხიარული, ზემოდან კიდეც რომ მეყვირა, - ხალხო, რა გახარებთ, მალე ეს ქალაქი დაინგრევა და ჩაიძირება-მეთქი, - მაინც არ დამიჯერებდა. არც არაფერი მითქვამს, ერთხელაც შემოვფერინე თბილისს და ძილი გავაგრძელე".

მართლაც, ძილშიც შეუძლებელია კარგად ნაცნობი სიუჟეტური ამბის ამაზე მეტი პაროდირება. ნაწარმოების მთავარი გმირი (ავტორი), რომელსაც შეუძლია და ვალდებულიც არის ქალაქი მოსალოდნელი უბედურების შესახებ გააფრთხილოს, არა მხოლოდ გაურბის ამ მოვალეობის შესრულებას (ბიბლიური იონა), არამედ მშვიდად ძილს აგრძელებს (!).

ჩვენი მიზანი არაა რომანის მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმების ანალიზი, არც სიმბოლურ-ალეგორიული კოდების გამოფრვა, ჩვენ მხოლოდ იმ განწყობილებას გამოვხატავთ, რომელიც დათო ტურაშვილის ახალი ნიგნის ნაკითხვის შემდეგ გავგიჩნდა, თუმცა მწერლის პროფესიულ ოსტატობაზე მა-

ინც ვიტყვით, რომ ნიგნიდან ნიგნამდე ის შესამჩნევად იზრდება და ამ პროცესის მიმართ ჩვენი უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება მომავალში უთუოდ სასარგებლო შედეგს მოუტანს როგორც მწერალს, ისე მის მკითხველს.

ნაწარმოებში ბევრია პურივით მართალი სიტყვა და გრძობა, ისეთი, ლუდის სმის დროს რომ ინატრა პოეტმა ჯუანშერ ტიკარაძემ, ასეთი სიმართლეა, რომ ქვემო დარდმანდი მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს, რომ ძალიან უყვარდა სამშობლო, სიმართლეა, რომ იქ, სადაც საკუთარი ქვეყნის სიყვარულის გამო სიკვდილით სჯიან, მხოლოდ ღამდება. სიმართლეა ისიც, რომ შეიძლება ქალაქი ჩაიძიროს, მტკვარი ჩვენს თვალწინ გაქრეს და ამ მტანჯველი სიმართლიდან მხოლოდ ლუდხანიდან გამოყოფილმა თეთრქუდიანმა, ლოყებლაჟლაჟა დიდმა თავმა გამოგვიყვანოს:

"- მოიხარშა თქვენი სასისკი, წაიღეთ რა, სანამ გაცივდება..."

მერე რა, თუ სასისკს მოწუნნიკი ჰქვია, მერე რა, თუ ავტორი რომანის 186-ე გვერდზე ალიხანოვს დედას აგინებს.

პირქუში და სევდიანი ფანტაზიები

დათო პაიჭაძე

ზურაბ ლეჟავა. არსება, რომელიც შენ გიყვარს. რედაქტორი ლია შარვაშიძე, ყდის მხატვრობა მამუკა ცეცხლაძე, მოთხრობები გაფორმებულია ავტორის მიერ. თბ. "მერანი", 2001



ციხის თემა ქართულ პროზაში არც ისე ხშირად ჩნდება: თითქმის ჩამოთვლი მწერლებს, რომელთაც იცოდნენ და აღწერეს ზონა, საკანი თუ კრიმინალური სამყაროს შიდა ურთიერთობები. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ მწერლებმა თვითონ ნახეს ციხე, თანაც ზოგს ისეთ პირობებში მოუწია ყოფნა, "წესით" იქიდან ვერ უნდა დაბრუნებულიყო. ჭაბუა ამირეჯიბი, ჯაბა იოსელიანი, ნოდარ დუმბაძე, გივი მაღულარია... კოლონიისში ხდება აკა მორჩილადის ერთი მოთხრობის მოქმედებაც, მაგრამ, ჩემი აზრით, სუსტი მოთხრობის...

ზურაბ ლეჟავა კიდეც ერთი ავტორია, თავისი ნიგნით ჩამოთვლილ მწერალთა ჯგუფს რომ უერთდება. თუ შედარებით უფროსი თაობის ქართველ პრო-

ზაიკოსთა "საციხე" ტექსტებში თავისუფლების წყურვილი პერსონაჟთა დიდი ნაწილის მთავარი გრძობა და სამოქმედო მოტივია, ხოლო იოსელიანისა და ამირეჯიბის მოქმედი პირები ზოგჯერ ციხიდან გაქცევის დიდოსტატები არიან, ზურაბ ლეჟავას საკნებიდან არავინ გარბის. ეტყობა, გაქცევა უფრო იოლია, როცა მთელ ქვეყანას ციხეში ერეკებიან. ზურაბ ლეჟავას პერსონაჟები გვიან დააპატიმრეს, იმდენად გვიან, რომ ერთი მათგანი (ნიშნულია, რომ თვითონ პერსონაჟი, მწერალი ზურაბ ლეჟავა) "პოლიტიკურზე ჯდომას" ვერ შეფარული ირონიით ისვენებს.

"არსება, რომელიც შენ გიყვარს", ვერასოდეს იქცევა "თეთრი ბაირაღების" მსგავს ბესტსელერად, მიუხედავად იმისა, რომ ჩემნაირ "არიფ" (ანუ ციხეგამოუცდელ) მკითხველს ლეჟავას პატიმართა განცდები ზოგჯერ უფრო დამაჯერებლად ეჩვენება, ვიდრე გავანია კრიმინალებთან ბატონი ისიდორეს მტკიცე სიამაყით წარმოთქმული პასუხი: "ვარ პარტიის წევრი"! ვერ იქცევა, რადგან ზურაბ ლეჟავასთვის საკანი აღსაწერი სივრცეა: თხზვის ადგილი იქ აღარ რჩება.

თავის დროზე გურამ ასათიანმა ნოდარ დუმბაძის "თეთრი ბაირაღებში" სენტიმენტალური ჰუმანიზმის ნაკადი შენიშნა. სენტიმენტალური ჰუმანიზმი ერთგვარი ევფემიზმი გახლდათ ორთაქალის პატიმრების ურთიერთობათა ნამდვილობაში დაეჭვების განმოსახატად. ზურაბ ლეჟავასთან სენტიმენტები არ არის: საკნიდან საკანში პატიმარი ქალებისა და მამაკაცების სასიყვარულო მიმონერაც აბსოლუტურად დაცლილია მღელვარე ემოციებისაგან. "კამერული სიყვარული" ქართულ "კამერულ პროზაში" იშვიათი ნიმუშია პატიმრების ზნეზე დაკვირვებისა მათი

ეთნიკური ნიშნით გამორჩევის შემდგომ. საპატიმროთა კარგად მცოდნე ჩვენი მწერლები მაინც-დამაინც არ დაგვიყვანებენ საპყრობილებებისა თუ კოლონიების მკვიდრთა სადასტოვობას და სიმართლედ, ალბათ, ამაშია: დიდ ზონაში ეროვნება არ არის მარკა, რომლითაც პატიმარი უწინარესად გამოორჩევა სხვა პატიმრებისაგან. ზურაბ ლეჟავას რუსი და უკრაინელი მსჯავრდებულები საინტერესოა არა იმიტომ, რითაც არ გვეგვანან ქართველებს: ჩვენ არ გვეჩვენება ლენასა და ჩეტვერტაკის, პაშასა და ნადიას ეპისტოლეთა ინტონაცია ყალბად.

ქართველებმა სულ ახლახანს გაბედეს სიყვარული ვენახში. სიყვარული საკანში ჯერ ჩვენთვის წარმოუდგენელია (არ ითვლება უცნობი ვნებები მამათმავლების საკანში ჭაბუა ამირეჯიბთან ან ლიმონა დევედარიანის ნაკითხული "ტანო ტატანო". ზაზა ნაკაშიძის ერთჯერადი სექსი "ხოზაბსლუგის" ქალთან საკნის მიღმა ხდება). მით უმეტეს, ზურაბ ლეჟავას მოთხრობის თემა იმდენად სიყვარული კი არ არის, რამდენადაც სიყვარულის ადაპტაცია ციხის პირობებთან, სიყვარულის გათამაშება მისი მონატრების ნაცვლად. მთელი ნიგნის გამჭოლი მოტივიც სწორედ ადაპტაციაა, შეგუება, გაძლება, ემოციების მაქსიმალურად დაჩლუნვება, მაგრამ არა ჩაკვლა. ესაა გზა, რომელიც უნდა გაიარო ციხიდან გამოსვლამდე. "პროფანი" ანუ ციხის არმცოდნე მკითხველის იდენტობა ლეჟავას პერსონაჟებთან შეუძლებელია, სამაგიეროდ, შესაძლებელია მათი გაგება, მათთან მიახლოება. მაგრამ, აბა სცადეთ, გაუგოთ პატიმარს, რომელიც პირველ პირში ჰყვება, რა ხერხით ურჩია თანასაკენლს მეორე პატიმრის მოკვლა, ხოლო მკვლელობის შემდეგ დასაძინებლად დაწვა: "სინდისი მქენჯნიდა. რატომ

დავლუპე ეს ორი ადამიანი, შევეკითხე საკუთარ თავს. რატომ ვურჩიე ვიტალის პოლისჯოხზე მტირის მიბმა? - პასუხს არ დავლოდებოვარ; გადავტრუნდი და დავიძინე. ხვალ დილით ადრე ადგომა იყო საჭირო".

საკანში სინდისის ქენჯნისათვის ცუდი პირობებია. სინდისის ხმას ჩახშობა არ სჭირდება, ის ისედაც არ ისმის. **Приютление** - აი პერსონაჟთა ემოციებისა და მოქმედების "მარკინდინირებული მოტივი". რა თქმა უნდა, ამ "მეინსტრიმს" აქვს გამონაკლისიც: სასონარკვეთილი, სასტიკი გარღვევები პატიმართა ქცევებში: უცაბედი მკვლელობა, თვითმკვლელობა, ცემა, საზარელი ჰალუცინაციები. პატიმართა შედარებით სუსტი პროტესტი ან თვით ციხის თანამშრომელთა სადიზმი თუ ზომიერი ექსცენტრულობა ნორმის ფარგლებშია, რომელსაც მთხრობელი ისევ შეკავებული ირონიით უყურებს: "იქ იყო ერთი ამაყი ახალგაზრდა, რომელიც შეეპასუხა ექთანს, ის კი არადა, წინააღმდეგობის განწევაც კი სცადა. ზორბა ზედამხედველებმა ამისთვის დაუნდობლად მოდრიკეს იგი, ხოლო გაგულისებულმა ექთანმა მთელი ძალით აძგერა დაძაბულ სხეულში მავთულის ჩხირი! შედეგი?! - იმ ახალგაზრდას დიდხანს სტკიოდა ტრაკი". ან: "მოუსვენარი, დეპოზიორი პაშა შეცვალა უთქმელმა და აღმსრულებელმა ზედამხედველმა, რომლის ზედმეტი ლაპარაკიც არავის გაეგონა და რომელიც არც სხვებს აძლევდა ლაზანდარობის ნებას. ის კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას და არასოდეს აკუებდა პოსტზე".

სადღაა ზურაბ ლეჟავასთან თავისუფლების წყურვილი, ვითარცა აუცილებელი და მოთხოვნილი კომპონენტი სასჯელთა აღსრულების ადგილებ-

ზე შექმნილი ნაწარმოებებისა? სადაა და იმავე "ეპიკური" ინტონაციით გადმოცემულ პირქუშ თუ სევდიან ფანტაზიებში, რომლის რეალიზებას არავინ ცდილობს. მოთხრობაში "მილიონი ბედნიერება" ასეთი ფანტაზიაა მაღალი, ლამაზი, ჯანმრთელი რუსის ქალი, რომელიც თან გასიამოვნებს, თან დაგიცავს, ბლომად ფული და კოტეჯი შეეცარაო. ამ ქალთან ერთად სადაც ლისის ტვის მიდამოებში ფრენა (თუმცა, ზურაბ ლეჟავასთან არ არის არც ერთი კონკრეტული ქართული ტოპოსი) ეროვნულ სიტყვიერებაში კონვერტირებული ვარიანტია იმ უზარმაზარი ძუძუსი, მთა-გორებზე რომ მიგორავს და ვუდი აღენის კინოპერსონაჟს ვითომ გასრესვით ეშუქება.


ოცნება თავისუფლებაზე გაშარებულია, რადგან გარემო, სადაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ მოხვდება, დიდი ვერაფერი ბედენაა: ამ გარემოში დღისით უწლოვანი არამზადები პარპაშენ, ღამით კი - ქაჯები და ტურები. ამ ანტურაჟში ვარანის გამოჩენაც არ უნდა გაგიკვირდეთ. პერსონაჟები ცხოველთა სამყაროდან ზურაბ ლეჟავას პროზას ხშირად სტუმრობენ, ისევე, როგორც ცაცხოველებული ადამიანები.

ციხეს ზურაბ ლეჟავა იცნობს, ხოლო რაც თავისუფლებაზე დახვდა, ის არ მოსწონს. ციხეზე წერისას ის მწერალია, სხვაგან - უფრო პუბლიცისტი. მას აქვს "ციხის ეთნოგრაფიის" - ნივთების, პატიმართა საქციელისა თუ ჩვევების სხვათათვის საინტერესო ცოდნა. გარეთ კი ჩვენი მზერები ბევრ რამეს ერთნაირად აღიქვამს. მაგრამ ეგებ მის მოთხრობებს უკეთესი მკითხველი შეხვდეს, ვიდრე ამ სტრიქონების ავტორი, რომელსაც მხოლოდ ექვსი დღე აქვს გატარებული ერევნის გარნიზონის ჰაუპტვახტში.

ორიგინალური ჟანრი

ლევან ბრეზაძე

იმერი ხრეველი. "უკუთქმანი" (პალინდრომული პოეზია). პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა. თბილისი, 2002.



ლიტერატურასაც აქვს თავისი ორიგინალური ჟანრები (შეგახსენებთ: "ორიგინალური ჟანრის" საესტრადო ხელოვნებაში ილუზიონისტურ ნომრებს უწოდებენ). ერთ-ერთი ასეთი ორიგინალური ლიტერატურული ჟანრი გახლავთ პალინდრომი - ფრაზა ან ლექსი, რომელიც წაღმა-უკუღმა ერთნაირად იკითხება. მოსკოვური "მოკლე ლიტერატურულ ენციკლოპედია" გვაუწყებს: "პალინდრომის მხატვრული ხარისხი დამოკიდებულია ენის სტრუქტურულ მონაცემებზე: რუსულ და სხვა ინდოევროპულ ენებზე პალინდრომი ჩვეულებრივ ხელოვნურად და ბუნდოვნად ჟღერს; მაგრამ, მაგალითად, ჩინურ ენაზე პალინდრომის ფორმით დაწერილია მრავალი მაღალმხატვრული ლექსი" (ტ. 5, სვეტი 655-656).

ცოტადენი ხელოვნობა და ბუნდოვანება პალინდრომს, ცხადია, მიეცემა, მაგრამ რუსულ ენაზეც იქმნებოდა და იქმნება უაღრესად ბუნებრივი და სავსებით აზრიანი პალინდრომები, როგორცაა, მაგალითად, მ. ბულგაკოვის "Аргентина манит негра" - არგენტინა იზიდავს ზანგს, რადგან... არგენტინაში არ იყო რასიზმი!

რაც შეეხება ლექსს, სარეცენზიო კრებულს წამდგარებულ ავტორისავე მიმოხილვაში შეგიძლიათ გაეცნოთ ქართული წარმომავლობის რუსი ავტორის, დიმიტრი ავლიანის, ჩინებულ ლექს-პალინდრომს, რომელიც მოსკოვურ ჟურნალ "მატადორში" გამოქვეყნებულა 1996 წელს.

ამ ჟანრის ბუმი საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო პერიოდზე მოდის, როცა გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტის" სატირისა და იუმორის კლუბმა, რომელსაც "ილიკო და ილარიონი" ერქვა და ზურაბ ასკანიელი თავკაცობდა, პალინდრომების კონკურსი გამოაცხადა. საუკეთესო პალინდრომები საკონკურსოდ ვახტანგ ჯავახიძემ და სარეცენზიო წიგნის ავტორმა წარმოადგინეს.

ტარიელ ჭანტურამ შეამჩნია, რომ ჩვენს დროში მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობას ჰქონდა შანსი ორ პალინდრომულ წელს მოსწრებოდნენ - 1991-სა და 2002-ს, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა. (ტ. ჭანტურიას ეს ოპუსი - "ჩემი პალინდრომი" - მთლიანად მოჰყავს სარეცენზიო წიგნის ავტორს თავის მიმოხილვაში). და აი, იმერი ხრეველიც მა ორივე ამ პალინდრომულ წელს მოახერხა თავისი პალინდრომების კრებულის გამოცემა - პირველს პალინდრომული სათაური "ორდა-რა დრო" ერქვა, წლევანდელი ახალი პალინდრომების კრებულისთვის კი "უკუთქმანი" დაურქმევია (ასე გადმოუქართულდება ბერძნული "პალინდრომი", რუსულად რომ "перевертень"-ს ეძახიან).

კრებული იხსნება მაია გოგომვილის შესავალი წერილით "უჩვეულო წიგნი", ამას მოსდევს ავტორის წინასიტყვაობა (ზემოთ ნახსენები მიმოხილვა) და ასეთი განყოფილებები: "ათანაბანათა", "უკუტანკა", "უკუხოკუ", "მაგიური კვადრატი".

რის წინასიტყვაობა (ზემოთ ნახსენები მიმოხილვა) და ასეთი განყოფილებები: "ათანაბანათა", "უკუტანკა", "უკუხოკუ", "მაგიური კვადრატი".

"აისია თუ ქარი რამ, - არი, რა... ქუთაისია!" - ამ მშვენიერ პალინდრომს, რომელიც გალაკტიონის ცნობილი ლექსის მოტივებზეა შექმნილი, სათაურად უზის "არი, რა!" - ესეც და ამ კრებულში შესული ყველა სხვა ლექსის სათაურიც პალინდრომია: "რახან ადექი - იქედანა ხარ...", "ნათლიამა... მილთან!", "სვა!.. მოზომავს?", "ამ შურმა, მრუმა...", "იადონთა სათნო დაი", "უი! კეისარო... აპა, ორასი ეკიუ", "ენა-გესლა ქალს ეგანე!", "იციინე, შაბამ! აბა, შენ იცი...". ამ სათაურის ქვეშ ასეთი მახალო დიალოგია:

- თიბეთ რამე!
- შენ იცი, ვთიბე!
- მთიბავი, მერე?!
- მივაბი თმებით - ვიცინე შემართებით!..

ლიტერატურის გარდა მუსიკალური პალინდრომებიც არსებობს. თომას მანის "დოქტორ ფაუსტუსში" ვკითხულობთ: "როდესაც პოლიფონიური სტილის ნიდერლანდელი ოსტატები თავიანთ თავსატეხ ქმნილებებში გადაჯვარედინებულ მხათათვის კონტრაპუნქტულ მიმართულებას ისე აგებდნენ, რომ ერთი ხმა ზუსტად იმეორებდა მეორეს, თუ მას ბოლოდან დასაწყისისაკენ წავიკითხავდით, ამას გრძობად ბერრასთან ბევრი არა ესაქმებოდა რა. სანაძლეოს ვდებ, რომ ამ ხუმრობის სმენით აღქმას იშვიათად თუ ვინმე შეძლებდა და იგი უფრო მუსიკის ამქართა თვალისათვის იყო ჩაფიქრებელი" (კარლო ჯორჯანელის თარგმანი).

ლიტერატურული პალინდრომიც პირველ რიგში, ცხადია, ხუმრობაა, ოღონდ ჩვეულებრივი ხუმრობებისაგან იმით განსხვავდება, რომ სასწაულსა ჰგავს: მრავალი სიტყვისაგან შედგენილი ისეთი აზრიანი ტექსტის არსებობა, რომელიც წაღმა-უკუღმა ერთნაირად

ნაიკითხება, ძნელი დასაჯერებელია:

აცოც-ახოხა, ახოხ-აცოცა
ამ ავ-ცოცვამა, ამ ავ-ხოხვამა
ასი ბოგანო - მონა გობისა!
ამ ავ-ხოხვამა, ამ ავ-ცოცვამა
აცოც-ახოხა... ახოხ-აცოცა...

აი ყველაზე გავრცელებული ქართული მისამლერი სიტყვებისაგან შედგენილი მშვენიერი პალინდრომული მისამლერი:

ეჰე - ჰეი,
ჰეჰე - ჰეი!
ასა, რერო, რერასა!
ასა, რერო, რერასა,
ასა, რერო, რერასა!..
ეჰე - ჰეი!
ჰეჰე - ჰეი!

ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფერილობის მქონე პალინდრომიც ვნახოთ:

...ანუ ყალბი კავშირი შვა!
- კავშირი შვა?!
- კი, ბლაცუნა!..

კოლორიტული სიტყვა "ბლაცუნა" ლექსიკონში ასეა განმარტებული: "უშნოდ და უთავბოლოდ სიარული", ხოლო "ბლაცუნა" ის იქნება, ვინც უშნოდ და უთავბოლოდ დაიარება, ასეთი კი საზოგადოებრივი ან პოლიტიკური ორგანიზაციაც შეიძლება იყოს.

ძველად (ძველ საბერძნეთში, ძველ რომში) პალინდრომს მაგიურ მნიშვნელობას მიაწერდნენ. მაგიურობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის დიდი ეფექტი, რასაც წაღმა-უკუღმა საკითხავი ტექსტი ახდენს, მოულოდნელობის თუ დაუჯერებლობის ფაქტორის გარდა კიდევ რაღაცით უნდა საზრდოობდეს, ეს უცნაური მოვლენა თითქოს რაღაცას უნდა მიგვანიშნებდეს, რაღაცის სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ რისას?

მოდით, ცოტა წავიფილოსოფოსოთ.

როგორც ცნობილია, ანტინომიები - ზემოთ და ქვემოთ, წაღმა

და უკუღმა, წინ და უკან ერთმანეთთან მიმართებაში ფარდობით არ უნდა იყოს ეს ემპირიული ხედვისა და აზროვნებისათვის (სახარების ფრაზაც "ესრეთ იყვნენ უკუანანი წინა, და წინანი უკუანა" ამას მიგვანიშნებს). ამ ღრმად დაფარული ფარდობითობის სიმბოლოდ გამოხატულებად წარმოგვიდგება პალინდრომი. ხოლო სიმბოლო მაშინაც ახდენს იდუმალ ზემოქმედებას ცნობიერებაზე, როცა მისი სიმბოლოება გაცნობიერებული არ გვაქვს.

და კიდევ ერთი რამის სიმბოლოდ გამოხატულებად წარმოგვიდგება პალინდრომი. ხოლო სიმბოლო მაშინაც ახდენს იდუმალ ზემოქმედებას ცნობიერებაზე, როცა მისი სიმბოლოება გაცნობიერებული არ გვაქვს. და კიდევ ერთი რამის სიმბოლოდ გამოხატულებად წარმოგვიდგება პალინდრომი. ხოლო სიმბოლო მაშინაც ახდენს იდუმალ ზემოქმედებას ცნობიერებაზე, როცა მისი სიმბოლოება გაცნობიერებული არ გვაქვს.

ზემოთ მუსიკალური პალინდრომი ვახსენეთ. ახლა სარეცენზიო წიგნის გარეკანს დააკვირდით: ზედ მორის ეშერის გრაფიურა "ცა და წყალია" გამოსახულია და, ცხადია, არცთუ შემთხვევით - ეს ერთგვარი ნახატი-პალინდრომია; ისიც ორმხრივ "იკითხება": ქვემოთ ზემოთ "წაკითხვისას" თეთრი თევზები წარმოშობენ შავ მტრედებს, ზემოდან ქვემოთ "წაკითხვისას" კი შავი მტრედებისაგან თეთრი თევზები იბადებიან; დააკვირვებულ თვალს მტრედების აღმოჩენაც ისევე შეუძლია წყალში, როგორც თევზებისა - ჰაერში.

როგორც ჩანს, ხელოვნების ყოველ დარგს მოეპოვება ორიგინალური ჟანრები.

სიტყვარი

მიწიდან ამოზრდილი სახელები

თამარ სახიგვილი

გურამ ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი I, რედაქტორი თედორე უთურგაიძე, თბილისი, "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 2002 წ.



ტოპონიმია ონომასტიკის (საკუთარი სახელების შემსწავ-

ლელი მეცნიერების) ნაწილია, რომელიც სწავლობს გეოგრაფიულ სახელებს ანუ ტოპონიმებს.

გეოგრაფიულ სახელთა პირველი და ძირითადი ფუნქცია დედამიწის ზედაპირზე ადგილის მონიშვნაა (თანამედროვე ზუსტი მეცნიერებები ამ დანიშნულებით კოორდინატთა სისტემას იყენებს). ამასთანავე, ტოპონომიკას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს: ის წარმოადგენს უძვირფასესს წყაროს ამა თუ იმენის (resp. ხალხის) ისტორიის კვლევისათვის. ტოპონიმია გვეხმარება ისტორიული წარსულის აღდგენაში, ხალხთა განსახლების საზღვრების დადგენაში, ეკონომიკური და კულტურული ცენტრების გეოგრაფიის განსაზღვრაში, სავაჭრო გზების მონიშვნაში და ა.შ. ასე რომ, ტოპონიმები ერთგვარად მიწიდან ამოზრდილი სახელებია, რომლებიც ხალხთა ისტორიის, ყოფისა და ცხოვრების დამახასიათებელ თავისებურებებს ინახავს.

"ტოპონიმებში მისი შემქმნელი და მომხმარებელი ხალხის ძველი და საინტერესო თავგადა-

სავალი მოთხრობილი," - წერს წიგნის ავტორი და ამ დებულების სისწორის დასამტკიცებლად ჩვენი დედაქალაქის უძველესი ტოპონიმების (ტფილისი, მტკუარი, მთანმინდა, ზარის საყდარი, საგოდებელი) გვერდით, VIII საუკუნიდან მოკიდებული, სხვადასხვა ტომებისა და ხალხების მოტანილ თუ თავსმოხვეულ სახელებსაც ჩამოთვლის (ისანი, ყალა, ჰავლაბარი, ხარფუხი, სეი-დაბადი, მიეღანი, სოლანლული, ნავთლული...). ამ ჩამონათვალში იკითხება ჩვენი დედაქალაქის ისტორია.

წიგნის 625 გვერდზე განთავსებულია 400-ზე მეტი სალექსიკონო სტატია. ლექსიკონს წინ უძღვის შესავალი და ახლავს ძირითადი დასკვნები, რეზიუმე ინგლისურ ენაზე და სამეცნიერო გამოცემისათვის საჭირო სხვა აპარატურა: პირთა, საგვაროვნო და ეთნიკურ-სატომო სახელები, შემოკლებათა განმარტება, წყაროები, მოხრობელ-ინფორმატორთა ნუსხა. ნაშრომს არ ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია (ალბათ, მოცულობის ეკონომიის მიზნით, როგორც

აღნიშნეთ, ნაშრომი 625 გვერდს შეიცავს), ლიტერატურის სია სქოლიოებშია წარმოდგენილი.

შესავალ ნაწილში მოკლედ და კომპაქტურად არის გადმოცემული ტოპონიმის განმარტება, როგორც ენათმეცნიერების დარგის ადგილი და მნიშვნელობა, ამ დარგის განვითარების ისტორია საქართველოში, ტოპონიმის კავშირები სხვა მომიჯნავე მეცნიერულ დისციპლინებთან (გეოგრაფიასთან, ისტორიასთან, ეთნოგრაფიასთან...), კვლევის პრინციპები.

სალექსიკონო ტოპონიმთა ნაწილი დალაგებულია ანბანის რიგზე. სალექსიკონო სტატიას ასეთი შინაარსობრივი სტრუქტურა აქვს: აღნიშნული სათანადო ტოპონიმის აღიარება, მისი მნიშვნელობა, მოხმობილია ამ ტოპონიმთან დაკავშირებული გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები, ტოპონიმის სახელის ფონეტიკური ვარიანტები, ამ ტოპონიმის შესახებ შექმნილი ხალხური ეტიმოლოგიები - დადასტურებული ლიტერატურულ-ისტორიული წყაროებით

თუ ინფორმატორთა მეშვეობით; გადმოცემულია ტოპონიმის წარმომავლობის შესახებ არსებული მოსაზრებები და ამ მოსაზრებათა ავტორისეული შეფასებები. ბუნებრივია, წარმოდგენილია ავტორის მოსაზრებანი და ვარაუდები ამა თუ იმ ტოპონიმის წარმომავლობის შესახებ.

წიგნში განხილული ეტიმოლოგიების ავტორისეული გარჩევა სპეცილისტთა საქმეა. რიგითი მკითხველისათვის ცალკეულ ტოპონიმთა შესახებ წარმოდგენილი მრავალმხრივი ინფორმაცია ფასეულია, ხოლო ტოპონიმთა ეტიმოლოგიის ახსნის ავტორისეული ცდები საინტერესო, მახვილგონივრული და ბევრ შემთხვევაში - დამაჯერებელი.

წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს:

ბუკვეთი - სოფელია ზემო იმერეთში, საჩხერეს რაიონში. სოფლის სახელი მომდინარეობს ბუკი "ფუტკრის სკა" სიტყვაზე გეოგრაფიულ სახელთა -





ეთ მანარმობლის დართვით და ე ბგერის გაჩენით. ე.ი. ბუკვეთი – “სკეპის დასადგმელი ადგილი”;

გარბანი – სოფელია ხევში, ყაზბეგის რ., სოფლის სახელი მომდინარეობს რთული სიტყვიდან გარეუბანი ე და უ ხმოვნების ჩავარდნის შედეგად (იქვე არსებობს ნასოფლარი ძველი გარბანი);

გუდაურ-ი – სამთო კურორტი ჯვრის უღელტეხილზე, ყაზბეგის რ., ისტორიული წყაროს მიხედვით, ამ სოფელს ღუდა რქმევია; ამოსავალი ფორმა ხალხურ ლექსშიცაა შენახული: “აბუნტებულან ღუდალები, მთაზე შიშია მტრისაო”. ე.ი. გუდაურ-ი მომდინარეობს ღუდაურ-ფორმისაგან. თავიკიდური ღ შეიცვალა გ-თი რუსული დანერვილობის გავლენით;

დადიანეთ-ი – სოფ. ქსნის ხეობაში. ამ ტოპონიმის ამოსავალი ფორმა, ისტორიული წყაროების მიხედვით, დადიანეთია – “დადიანაშვილების საცხოვრებელი ადგილი”, რომელიც დადიანეთ-ად გადააზრინდა და ამის შედეგად შეიქმნა ლეგენდა და სათანადო ხალხური ეტიმოლოგია სამეგრელოს მთავრის, დადიანის, ქსნის ერისთავთან სტუმრობისა და ნარდში ხსენებული სოფლის მოგების შესახებ, რომელსაც დადიანეთი დაარქვესო.

ეკრანთა – “მატიანე ქართლისაის” მიხედვით ასეთი ადგილი ყოფილა ჯავახეთში. ტოპონიმი მომდინარეობს ეკლნარ-სიტყვაზე -თა სუფიქსის დართვით, ფუძეში ლ-ს დაკარგვითა და ბგერათა გადასმით: ეკლნართა > ეკნართა > ეკრანთა;

ძრუხულა – მდინარე იმერეთში, ვანის რ., ამოსავალი ფორმაა ძულუხურა (სოფ. ძულუხის წყალი) და სხვ.

საინტერესოა ავტორის მსჯელობა ზოგიერთი ტოპონიმის (სამცხე, ზედაზენი...) ახლებური ეტიმოლოგიის შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა ტოპონიმ მცხეთის ტრადიციული ეტიმოლოგიის (ეთონიმ მესხისაგან მომდინარეობის შესახებ) სანინააღმდეგო არგუმენტები.

კვლევის სისტემურობის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ასევე სხვა ტოპონიმთა წარმომავლობის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

მაგ., დუშეთის რაიონში არის სოფ. **მგლიანი-ი, მგლიანები-ი**, ამოსავლად აქ თითქოს მგელ-ფუძე უნდა ვიგულისხმოთ ე.ი. “ადგილი, სადაც მგელია გავრცელებული”. მაგრამ -იან სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში ფაქტის ბინადართა (დათვი, მგელი, მელა...) სახელებს არ დაერთვის, ფაუნის ბინადართა სახელებიდან ნაწარმოებ ტოპონიმებს სხვა მანარმობლები დაერთვის: სა-ირმ-ე, სა-ბუ-ე, სა-შეგარდ-ე, სა-მაჩვ-ე, სა-ტურ-ია და სხვ., -იან სუფიქსიანი ტოპონიმები ძირითადად გვაროვნული და მცენარეთა სახელებიდან არის ნაწარმოები. ამდენად ტოპონიმი მგლიანი/მგლიანები-ი ამოსავლად გვაროვნულ სახელს ვიგულისხმობს და ნიშნავს: “მგლიშვილების სოფელი”. გადმოცემა ადასტურებს, რომ სოფლის პირველმოსახლენი გვარად მგლიშვილები ყოფილან. საერთოდ, **მგლი** მამაკაცის საკუთარ სახელად ხშირად დასტურდება. მაგ., XVII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია: “წოდორეთში მდებარე მგლისელი ორი დღის მინა საქორია სულხანიშვილებმა ჯავახიშვილებს მიჰყიდესო”. ასეთივე მიდგომით, ტოპონიმ **ნუკრიანის** ამოსავალ ფუძედ ივარაუდება ნუკრი/ნუკრია საკუთარი სახელი და არა ზოონიმი. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ თითოეულ ტოპონიმთან წარმოდგენილია სათანადო ხალხური ეტიმოლოგია. ეს ეტიმოლოგიები მრავალმხრივია საინტერესო (ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის და ა.შ. თვალსაზრისით). სოფ. ნუკრიანის სახელდებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი თქმულება ძალიან გვახსენებს იმ ცნობილ ლეგენდას, ბატემა რომ რომი გადაარჩინეს. თქმულება ნუკრიანზე ასეთია:

ნუკრი სოფელს მისჩვევია, დიდი თუ პატარა ლუკმას ხელიდან აჭმევდა. ერთხელ ეს ნუკრი სოფელში დაფეთებული შემოვარდნილა. ხალხს საფრთხე უგონებია და ციხეში ჩაკეტილა. ციხეში გამაგრებულებს მომხდურები ამოუხოცავთ და სოფელი

რად დასტურდება. მაგ., XVII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია: “წოდორეთში მდებარე მგლისელი ორი დღის მინა საქორია სულხანიშვილებმა ჯავახიშვილებს მიჰყიდესო”. ასეთივე მიდგომით, ტოპონიმ **ნუკრიანის** ამოსავალ ფუძედ ივარაუდება ნუკრი/ნუკრია საკუთარი სახელი და არა ზოონიმი. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ თითოეულ ტოპონიმთან წარმოდგენილია სათანადო ხალხური ეტიმოლოგია. ეს ეტიმოლოგიები მრავალმხრივია საინტერესო (ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის და ა.შ. თვალსაზრისით). სოფ. ნუკრიანის სახელდებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი თქმულება ძალიან გვახსენებს იმ ცნობილ ლეგენდას, ბატემა რომ რომი გადაარჩინეს. თქმულება ნუკრიანზე ასეთია:

ნუკრი სოფელს მისჩვევია, დიდი თუ პატარა ლუკმას ხელიდან აჭმევდა. ერთხელ ეს ნუკრი სოფელში დაფეთებული შემოვარდნილა. ხალხს საფრთხე უგონებია და ციხეში ჩაკეტილა. ციხეში გამაგრებულებს მომხდურები ამოუხოცავთ და სოფელი

გადაურჩენიათ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი მკითხველს თავის მოსაზრებას თავს არ ახვევს და, ხშირ შემთხვევაში, ტოპონიმთა წარმომავლობის სხვა შესაძლო ახსნასაც არ გამოორიცხავს. მაგ., სტატიას ლენჩხუმის შესახებ ავტორი ასე ამთავრებს: “ლენჩხუმის ეტიმოლოგიური კვლევა არ შეიძლება საბოლოოდ დასრულებულად ჩაითვალოს”.

სამეცნიერო ნაშრომი მკითხველთა ფართო წრისთვის არის დაწერილი და კარგად იკითხება. მკითხველს შევახსენებთ, რომ გურამ ბედოშვილი მშვენიერი საბავშვო წიგნებისა და მოთხრობების (“ტყეში ბევრი ზღაპარია”, “შუადღისას მოსაყოლი ზღაპარი”) ავტორია (კარგი იქნება, თუ ვინმე ითავებს და ბავშვებს ამ წიგნების ხელახალი გამოცემებით გაახარებს).

“ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი” ცნობილი ენათმეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. **ბესარიონ ჯორბენაძის** ხსოვნას ეძღვნება.

საბავშვო

მხიარული და ყურადღებიანი წიგნები ასეთივე მკითხველსთვის

დალი კუპრაძა

“მხიარული რიცხვები”. ქართული გამოცემის ავტორები: თინათინ მამულაშვილი, ნიკო ნერგაძე. რედაქტორი: მარინე სოხაძე.

“მხიარული სურათები”. ინგლისურ-ქართული ლექსიკონით. დიზაინერი და მოდელის ავტორი ჯო ლინფილდი, ფოტოგრაფი ჰოვარდ ოლმანი და სხვა ავტორები. თბილისი, “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”, 2001.

ივნისში, ფილარმონიაში წიგნის ბაზრობაზე იმედისმომცემი დინამიკა შეიმჩნა – ჩვენ ჩვენს ბავშვებზე ზრუნვა დაიწყო. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო კარგ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული მხატვრული და სასწავლო-შემეცნიერებითი საბავშვო ლიტერატურა.

იქვე “გულდაწყვეტილი” ქართველობა აღნიშნავდა, რომ მათ დროს ასეთი წიგნები არ იყო, რომ რუსები თავისი ბავშვების განათლებისთვის ოდითგან თავდაუზოგავად წერდნენ და ჩვენ ერთი საბავშვო ენციკლოპედიითა და ხალხური სიბრძნის ხუთ-ტომეულით ამოვწურეთ ჩვენი ღვაწლი.

თაობები გაიზარდა ცუდი პოლიგრაფიის მწირ ქართულენოვან საბავშვო ლიტერატურაზე. რეზო ინანიშვილი, მაყვალა მრეველიშვილი, გივი ჭიჭინაძე, ედიშერ ყიფიანი, არჩილ დონაკაური და თითებზე ჩამოსათვლელი მწერლები რომ არა, ჩვენს ბავშვებს უფლება ექნებოდათ, ეთქვათ, როგორც თქვენ გვაქცევდით ყურადღებას, ჩვენც ისე გადავიხდით.

დიდი ხნის განმავლობაში, როგორც საერთოდ ყველაფერზე, ქართველი ყმაწვილების საგანმანათლებლო-შემეცნიერებით ლიტერატურაზეც, მართალია, უფრო თავისი ინტერესებისთვის, მაგრამ მაინც საბჭოთა რუსეთი ზრუნავდა. იზრდებოდნენ



ქართველი ბავშვები რუსულენოვანი “პაჩემუჩკებითა” და “ზნაი ვსიო”-ებით.

“ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ”, სხვათა შორის, გამოსცა ორი მშვენიერი, ხალისიანი და საჭირო წიგნიც: “მხიარული რიცხვები” და “მხიარული სურათები”.

ყველაფერი, რაც მხიარულია, ხალისს ბადებს და ისე არაფერი უხდება ცოდნის მიღების პროცესს, როგორც ხალისით სწავლა.

კვასკვასა ნახატებიანი წითელყდიანი წიგნები ერთი შეხედვით იზიდავს დიდ-პატარა მკითხველს და დაუყოვნებლად გადაშლის სურვილს ბადებს – ნეტა შიგ რა არისო.

ეს სურვილი, წიგნის საგანმანათლებლო აღმზრდელობითი ფუნქციისთვის შესანიშნავი პრელუდიაა.

“მხიარული რიცხვები” ართმეტის წიგნია. წიგნი სახელმძღვანელოდ იმ მშობლებისთვის არის განკუთვნილი, რომლებსაც უყვართ შესანიშნავი ტრიოს შექმნა – “წიგნი, შვილი და მე”. თუმცა იმ მშობლებისთვისაც არა ნაკლებ უპრიანია, რომლებიც შვილებს დამოუკიდებელი გართობისკენ მოუწოდებენ, არ ეთამაშებიან, მაგრამ უნდათ,



რომ თავისით გართობა ისწავლონ. თუ ბავშვმა ჯერ არ იცის სიტყვა “რამდენი”, მაგრამ იცის ერთი და ორი, მიეცით ეს წიგნი და თქვენ ცოტა ხნით დაისვენეთ, დალიეთ ყავა, ისაუბრეთ მეგობართან, ან იტრიალეთ სამზარეულოში. გარწმუნებთ, მალე “თავბედს დაინყველით”, პატარა თავს მოგაბეზრებთ შეკითხვებით და “იძულებული” გახდებით შვილთან და წიგნთან ერთად გაატაროთ თავისუფალი დრო.

უფრო მოზრდილი ბავშვები პირველივე გვერდზე, უნებურად, “იქსის” განსაზღვრას შეეცდებიან. დათვლა, რაოდენობა, რამდენი? კიდევ რამდენი? უცნობი რიცხვი, კენტი თუ ლუნი? მეტი თუ ნაკლები? ამდენით მეტი, ნაკლები, შეკრება, გამოკლება, გამრავლება-გაყოფაც კი... და ეს ყველაფერი ამ წიგნის მეშვეობით ლოგიკური თამაშით ისწავლება. უფროსი მკითხველი კი დასკვნას გამოიტანს, რომ მათემატიკის სწავლება სულ არ ყოფილა მშრალი საქმე და აღმზრდელობითი ხარისხიც მაღალი ჰქონია.

წიგნის გმირები ქართული სახელებით ეცნობიან მკითხველს, და ცოცხალი გამოხეილი სჯობს, არამც თუ ბავშვებს, დიდებსაც ძალიან გვიყვარს მხატვრულ პერსონაჟებთან თავის

იდენტურობა. ასე, რომ ამ წიგნის “გადამკიდე”, ბევრი ელენე, სანდრო, ლუკა, ანა და სხვები ყოველთვის სიამოვნებით ისწავლიან არითმეტიკას.

“მხიარული რიცხვების” ტყუპისცალი “მხიარული სურათები” ინგლისური ენის სასწავლებელი წიგნია. როგორც ავტორები გვეუბნებიან, ის პატარას სწავლის სურვილს გაუღვიძებს და დახმარებას გაუნეწვს პირველი ნაბიჯების გადადგმაში.

“მხიარული სურათები”, როგორც ინგლისური ენის სახელმძღვანელო, იმ ასაკის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი, რომლებმაც თვლა იციან. და თუ არა, მაშინ მასწავლებელ-მშობლის შემოქმედებითაზუა დამოკიდებული, თუ როგორ ასწავლიან ამ სურათებით თვლასაც.

ყურადღების კონცენტრირებაზე, მესხიერების გავარჯიშებაზე დაყრდნობით და ასაკობრივი შესაბამისობის გათვალისწინებით, სახელმძღვანელო კარგი შედეგის მომცემი იქნება. გასართობი და სასწავლო წიგნს თან ახლავს ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. სასურველია, რომ ქართულ-ინგლისური ლექსიკონიც იყოს, რადგან ქართველმა ბავშვებმა საგნების სურათებზე გამოსახული ქართული სახელწოდება იციან. და თუ ინგლისურ-ქართული ლექსიკონი სასურველი სიტყვის ქართული მნიშვნელობის მოსაძებნად ნააქებებს, ქართულ-ინგლისური, უკვე მნიშვნელობის მქონე ქართული სიტყვის ინგლისური შესატყვისის მოსაძებნად დამოუკიდებელ მუშაობას მიაჩვევს. კარგი იქნებოდა, რომ, როგორც სურათზე აღნიშნულ საგნებს, სათაურებსაც ქართულ-ინგლისური შესატყვისები ჰქონოდათ. მით უმეტეს, რომ სათაურებად გამოტანილი ქართული სიტყვები: სასტუმრო ოთახი, სახლი, ბაღი, ნუგულება, ქუჩა, საქმელი და ა.შ. არც ლექსიკონშია შეტანილი.

ორივე წიგნს გაცოცხლებული სურათებიც შეიძლება ვუნო-

დოთ, იმდენად ეფექტურია მოდელების ავტორის, ფოტოგრაფისა და დიზაინერის ნამუშევარი. გადაფურცლისას გრჩება შეგრძნება, რომ უმოძრაო ნახატს კი არა, ანიმაციურ ფილმს უყურებ.

ბუნებრივია, ამ წიგნებით სარგებლობა მასწავლებელ-მშობელთან ერთად, ან, თუნდაც დამოუკიდებლად, იმ ასაკიდან არის შესაძლებელი, როცა ბავშვი წიგნს გრძნობს, ე.ი. დასახვევად არ მიიწევს.

იმდენად კარგი წიგნებია, რომ აუცილებლად ვუყიდი ჩემს დისშვილს, თუმცა ის უკვე რვა წლისააო, - დათვალე რების შემდეგ შეაფასა ნაცნობმა. რა თქმა უნდა, კარგი წიგნები ასაკს არ ცნობენ და კარგი მკითხველიც კარგ ლიტერატურას საკუთარი ასაკით არ ზომავს.

ერთი სახალისო კორექტურაც, რომელიც წიგნისა და ბავშვების ურთიერთობის ხარისხზე მეტყველებს.

ბავშვმა დედას ტუჩებში კოცნა მოუწოდო. დედამ აუხსნა, რომ ეს არ არის სწორი საქციელი, მაგრამ ვერაფრით დაუსაბუთა. ოთხი წლის გოგონამ, რომელიც ხალისით ფურცლავდა “მხიარულ სურათებს” და სიამოვნებით სწავლობდა ინგლისურსაც, ვერ გაიგო რას ნიშნავს არაპიკინური, ვერც იმას მიხვდა, რატომ უნდა იყოს დედის ტუჩები ჭუჭყიანი.

სამაგიეროდ დედას “მხიარული სურათები” გამოუტანა, 41-ე გვერდზე გადაუფურცლა და აბა, ეს რა არისო, ჰკითხა. დედას რამდენჯერმე ჰქონდა ეს გვერდი გადაფურცლული, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, რომ ამ სურათზე მისი ქალიშვილის ტოლი ბავშვები მართლა ტუჩებში ჰკოცნიან ერთმანეთს.

ეს ფაქტი ჩემთვის იმის ნიშანია, რომ ბავშვებისთვის წერაც და წიგნების გამოცემა უდაოდ მადლიანი საქმეა. ბავშვებით ყურადღებიანი, ერთგული და ამის დამფასებელი მკითხველი ამქვეყნად არ მოიპოვება.

პროზაში აღზევებული პარადოქსები

ანდრო ბუაჩიძე

ქართულად ნათარგმანები. თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა - 1987/2001. რედაქტორ-შემდგენელი მალხაზ ხარბედია, რედაქტორები თამარ აბრამიშვილი, ლილი მჭედლიშვილი, შადიმან შამანაძე, მხატვარი ეკა ხარბედია. თბ. "არილი", 2002.



თანამედროვე სამყარო კომუნიკაბელურია იმ ნიშნით, რომ მრავალგვარი ურთიერთობების ქსელი არსებობს ტერიტორიულად ყველაზე უფრო დაშორებულ ცივილიზაციის ცენტრებს შორის. წარმოუდგენელია ამ ფაქტორმა თავისებურად არ იმოქმედოს "კულტურულ კომუნიკაციებზე" და აქედან გამომდინარე, ცალკეულ კულტურულ ფენომენებზე.

მიუხედავად ამისა, ჩვენთვის დღესაც პრობლემაა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში გარკვევა, რადგან დანარჩენ სამყაროს საკმაოდ მონყვეტილი ვართ. ყოველგვარი კულტურული აქტი, რომელიც ითვალისწინებს შემეცნებითი და ინფორმაციული სივარელის ამოვსებას, თანმიმდევრულად ქმნის დღევანდელ უცხო სულიერ ღირებულებებთან ზიარების უწყვეტ პროცესს. ამ პროცესის მიღმა დარჩენა ყველა "ნორმალურად მოაზროვნე" ქვეყნისთვის თუ ცალკეული პიროვნებისთვის საზიანოა.

ლიტერატურულმა გაერთიანებამ "არილი" "ლია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით გამოსცა კრებული "ქართულად ნათარგმანები", სადაც 1987 წლიდან 2001 წლამდე შექმნილი მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებია თავმოყრილი. ამ კრებულში რამდენიმე განყოფილებაა: თარგმანის თეორია, პროზა, პოეზია, ესეისტიკა. თარგმანი ქმნის სწორედ იმ საკონტაქტო სივრცეს, რომლის შიგნითაც სხვადასხვაენოვანი მწერლები იყრიან თავს და ინყება ბჭობა მხატვრული თარგმანის პერსპექტივებზე და პრობლემებზე. მასხენდება ცნობილი თეორეტიკოსის ირჟი ლევის თეზისი: "თარგმანს უნდა ეტყობოდეს, რომ თარგმანია". ეს აზრი იმით წინააღმდეგ იყო მიმართული, ვინც თარგმნილ ნაწარმოებს სრულფასოვან

ნი ორიგინალის მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც გარკვეული ღირებულებების აღრევით აღინიშნა.

ამავე სფეროს ეხება ოქტავიო პასის წერილი "თარგმანი - სიტყვიერება და სიზუსტე". ის საუბრობს იმათ შესახებ, ვისაც პოეზია უთარგმნელად ესახება: "მათი აზრით, პოეზია, რომელიც შექმნილია გამოძახილების, ანარექლების და ურთიერთშესაბამისობების მიხედვით, წარმოადგენს კონოტაციის ქსოვილს და უთარგმნელია...". თვითონ ოქტავიო პასი ამ აზრს არ იზიარებს: "კონოტაციური მნიშვნელობების შენარჩუნება შეიძლება, ოღონდ შეიძლება მაშინ, თუ პოეტი-მთარგმნელი იმ სიტყვიერი სიტუაციის, იმ პოეტური კონტექსტის აღდგენას შეძლებს, რომელშიც ეს კონოტაციური მნიშვნელობებია ჩამონტაჟებული".

თარგმანის ხელოვნებაზე მსჯელობა დაუსრულებლად შეიძლება და ამ სფეროში პარადოქსების ადგილიც საკმაოდ იპოვება. ჩემი აზრით, მეტი სიზუსტე მოეთხოვებოდა ოქტავიო პასს უფრო ზოგადთეორი-

ულ საკითხებზე მსჯელობისას: "ისტორიკოსებმა და ფილოსოფოსებმა, შემდეგ კი ანთროპოლოგებმა და ლინგვისტებმა არცთუ ცოტა დამამტკიცებელ მასალას მოუყარეს თავი იმის შესახებ, რომ ინდივიდუუმები, საზოგადოებები და ეპოქები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ ეს განსხვავება გარდაუვალა და რომ მათ შორის არსებობს მიჯნა, რომელიც თავისი სიღრმით ოდნავ თუ ჩამოუვარდება იმას, რაც კულტურას და ბუნებას შორისაა და რაც პირველყოფილ ადამიანს ცივილიზებული ადამიანისგან მიჯნავს".

კულტურა სხვადასხვა დროში სხვადასხვანაირია. ვინაიდან ადამიანი და, საერთოდ, საზოგადოება კულტურის კონტექსტში არსებობს, ისიც იცვლება. ვთქვათ, შუა საუკუნეების ადამიანი განსხვავდება XX ან XXI საუკუნის ადამიანისგან. მაგრამ ადამიანი მაინც ადამიანია, ე.ი. ის ყველა დროში კულტურის შიგნით არსებობს. პირველყოფილი ადამიანიც კი თავისებურ კულტურას ქმნის, ვთქვათ, იარაღს და ამ იარაღის

მეშვეობით ინარჩუნებს ვიტალობას, სიცოცხლეს. სხვადასხვა ეპოქებში მცხოვრები ადამიანები განირჩევიან ერთმანეთისგან, მაგრამ არსებითად მაინც ერთნი არიან, ვინაიდან "კულტურის სფეროში" არსებობენ, განსხვავებით ცხოველისაგან, რომელიც მთლიანად "ბუნების სფეროში" არსებობს. ბუნებას და კულტურას შორის დაპირისპირება კი გაცილებით ღრმაა და პრინციპული...

ვფიქრობ, რომ მორის ბლანშოს შემოთავაზებული განსაზღვრება, თარგმანი შემოქმედებაა, მეტად ორიგინალურად ჟღერს სხვა "აკადემიურ" განსაზღვრებებს შორის, ყოველ შემთხვევაში, ბლანშოს აქვს უფლება, ამ საკითხზე თავის შეუვალი აზრი ჰქონდეს.

"ქართულად ნათარგმანების" დიდი ნაწილი პროზას უკავია. მინდა ცალკე გამოვყო მიშელ ტურნიეს (საფრანგეთი), ჯულიან ბარნსის (დიდი ბრიტანეთი), ჰარუკი მურაკამის (იაპონია) და ემი ბლუმის (აშშ) მოთხრობები, არის საერთო ნიშნები ამ ნაწარმოებებს შორის, რაც თანამედროვე პროზის ზოგადი ტენდენციების

კონტექსტში თავსდება. ძალიან მოკლედ ყოველივე ამას შეიძლება ცხოვრებისეული, მაგრამ უჩვეულო ისტორიების თხზვა ვუნდოთ. თითქოს ამ ტენდენციის გამომხატველნი თავიანთ მსოფლმხედველობრივ მრწამსს ასეთი თეორიული თვალსაზრისით გამოთქვამენ: ყველა უჩვეულო და უცნაური მოვლენა, ადამიანური ბუნების ყოველგვარი, თუნდაც ყოფითობის ფონზე პათოლოგიად აღქმული გამოხატულება, ქცევა, მოქმედება არ არის გამონაკლისი და იშვიათი, ის ცხოვრებისეულობის საზღვრებში ეწერება, ვინაიდან მას თავისი მყარი მოტივაცია აქვს. ცხოვრება საერთოდ პარადოქსებისგან, უცნაურობებისგან შედგება და სწორედ ამის ჩვენებაა ცხოვრებისეულობა და არა მოსაწყენი ყოფითობის აღწერა. ამ ტენდენციის მიმდევრები, ბუნებრივია, თავიანთ ობიექტივს უშუალოდ აბჯენენ ინდივიდს, პიროვნებას, მისი ფსიქიკის სიღრმეებს. ზოგიერთი მოთხრობა, - ვთქვათ, ჰარუკი მურაკამის "გულსრევა" უფრო ფსიქოანალიტიკოსის დაწერილი გეგონება, ვიდრე მწერლის. აქ, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ შინაარსობრივ მომენტს ვგულისხმობთ, არამედ ფორმისმიერსაც.

მოთხრობა საკმაოდ უბრალო მხატვრულ ქარგაზეა აგებული: ერთი პერსონაჟი მოუთხრობს მეორეს თავის ამბავს, თავის შინაგან მდგომარეობას, გასაჭირს. ეს კაცი (მოგვიანებით როგორც თვითონვე ასკვნის) ფარული დანაშაულის კომპლექსით არის შეპყრობილი და ამის ნიადაგზე ხშირი გულსრევა ემართება. საქმე ისაა, რომ დანაშაულის მიზეზი სულაც არ არის ფარული: ამ კაცს მეტად თავისებური "გატაცება" აქვს: მეგობრების ცოლებთან სასიყვარულო ურთიერთობით იქცევს თავს. როგორც ჩანს, მისი სინდისის ხმა არ არის მთლად დახშული და ყოველად გაუცნობიერებლად იჩენს ხოლმე თავს გულსრევის წუთებში.


მურაკამის მოთხრობა "გულსრევა" არც დეტალების სიუხვით გამოირჩევა და არც ხასიათების ხატვის თავისებურებით. აქ არის ამბავი, ინტრიგა, პიროვნების სულის ფსიქერზე მოთამაშე ყოფიერების ანარეკლი. ფაქტობრივად, ეს არის არა მხატვრული ინტუიციით და ემოციური ბიძგით, არამედ "რაციოთი" დაწერილი მოთხრობა. ესეც ტენდენციაა და გარკვეული ლიტერატურული ესთეტიკის გამჟღავნება. რადგან თითქმის იგივე შეიძლება ითქვას მიშელ ტურნიეს, ჯულიან ბარნსის, ემი ბლუმის მოთხრობებზეც.

მიშელ ტურნიეს "პიროტექნიკა" უკვე დახასიათებული ტენდენციის ყველა ნიშანს იზიარებს ერთის გარდა - შედარებით რთული კომპოზიციური ნახაზის მიხედვით არის აგებული. აქ არა მხოლოდ ინტრიგაა, კრიმინალური ელემენტებიც იჭრება თხრობაში. ეს



ჯულიან ბარნსი





არის მოთხრობა შურისძიების მარადიულ თემაზე. მხოლოდ აქ შურისძიება უცნაურად ხორციელდება: ორი ადამიანი ბედისწერის ერთ რკალში მოექცევა, კვანძი იკვრება და ორივე ერთად იღუპება.

ჯულიან ბარნსის "ექსპერიმენტი" არ განსხვავდება უკვე ნახსენები მოთხრობებისაგან. აქაც არის თხრობაში ჩართული კალიდოსკოპური სიჭრელე, ინტრიგა, ლაბირინთი, უცნაურ ხდომილებათა ქსელი. ეს, ფაქტობრივად, პიკანტური ისტორიაა, ოღონდ ერთგვარი ინტელექტუალური ელფერით გარემოსილი. ავტორი მოგვითხრობს ბიძამისის პარიზში გამგზავრების ამბავს. ეს ამბავი მას თავად ბიძამ მოუყვება. აქ არის სხვადასხვა ვერსიები, ჩახლართული წერილმანები, ფაქტობრივი მასალა, მისტიფიკაცია.

ბიძა, ე.ი. ძია ფრედი ჩადის პარიზში. იქ ის ბარში შემთხვევით გაიცნობს პიროვნებას, რომელიც მას სთავაზობს სიურრეალისტთა სხდომაში მონაწილეობის მიღებას.

ძია ფრედი თანახმაა და სხდომის ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება. სხდომა ეხება სექსობრივ საკითხებს. ანდრე ბრეტონი და სხვა ცნობილი მონაწილენი შეკითხვებს უსვამენ ძია ფრედის, ფაქტობრივად სცდიან მას და ბოლოს ექსპერიმენტსაც ატარებენ მასზე. საინტერესო ისაა, რომ მთელი ეს ისტორია მისტიფიკაციის საბურველშია გახვეული, მისტიფიკატორია თვითონ მოთხრობელი - ძია ფრედი. მოთხრობის ავტორი კი, რომელიც პირველ პირში ყვება ამბავს, რეალბასთან მიხედვით დასარწმუნო ფაქტების დადგენას ცდილობს.

ჯულიან ბარნსის "ექსპერიმენტიც" ყოველგვარი ემოციის გარეშე, ცივი გონებით არის დანერგილი. აქაც ინდივიდის

ფსიქიკა, ქვეცნობიერი, პარადოქსული და პიკანტური სიტუაციები და მოტივებია ერთმანეთში გადახლართული. ტენდენციად, ლიტერატურული ესთეტიკის წარმომჩენ ნიშნად იქცა ინდივიდის ყველაზე უფრო იდუმალი, შენიღბული შინაგანი თვისების მოხელთება. ეს თვისება ჩემ მიერ ხაზგასმულ მოთხრობებში ყოველდღიურობაშიც, ყოფაშიც იჩენს თავს, ოღონდ სწორედაც შენიღბულად, უცნაურად. მწერალი პერსონაჟების მეშვეობითვე ინყებს მოვლენათა გორდიასის კვანძის გახსნას და უკვე გარედან შიგნით შეღწევის - პიროვნების ქვეცნობიერში ერთი რომელიმე კუჩქულის დაფიქსირებას.

ვერ ვიტყვი, რომ აქამდე ლიტერატურისთვის მხატვრული კვლევის ეს გზა უცნობი იყო, თუმცა, მწერლობა ხომ იმეორებს უკვე არსებულ მიმართებებს, ხერხებს და მოტივებს. აქ არაფერია გასაკვირი. უბრალოდ, ბოლოდროინდელ პროზაში, რომელიც აღმანახ "ქართულად ნათარგმანებშია" წარმოდგენილი, ყოველივე ამან სპეციფიკურად მიზანმიმართული სახე მიიღო. აქცენტების განილებასაც მიენიჭა მნიშვნელობა. ერთი რამ აშკარად გამოიკვეთა: მწერალი თითქოს შეკითხვას სვამს - სად არის პიროვნებაში, ინდივიდში ზღვარი, რომელიც გამოაცალკევებს ნორმალურ ქმედებას პათოლოგიურისაგან?

ემი ბლუმის მოთხრობაში "სიყვარული ღვეზელი არ არის" ქალიშვილი იხსენებს გარდაცვლილ დედას, მაგრამ ეს გახსენება თავისებურია: ბავშვობის და სიყვანავლის მოგონებები სულიერ სიმყუდროვეს ურღვევს გოგონას და მოვლენათა სიღრმეში სანვდომად განაწყობს. საქმე ისაა, რომ მათ ოჯახში არცთუ მთლად ჩვეულებრივი ვითარება იყო: დედას ორ მამაკაცს შორის ეძინა. ერთი გახლდათ მამა და მეორე... ოჯახის მეგობარი, ბატონი ბოლივარი. მამა და ბოლივარი მეგობრობდნენ - ერთად

იქცევდნენ თავს სხვადასხვა თამაშით, სვამდნენ, ერთად ვახშობდნენ. ეტყობა, ამგვარ თანაცხოვრებას ბოლომდე ვერ ეგუებოდა ქალიშვილი და ამიტომაც მიმართა შეკითხვით დედას: "მამინე მე ვკითხე, როგორ შეგიძლია, ორივე ერთდროულად გიყვარდეს, ან ისინი ამას როგორ ითმენენ-მეთქი? მან კი ასე მიპასუხა - "ძვირფასო, სიყვარული ღვეზელი არ არის, ნაჭერ-ნაჭერ არ იჭრება, მე შენც მიყვარხარ და ელენიც, მართალია, ორივე სხვადასხვანაირად, მაგრამ მთელი გულითა და სულით, ვინაიდან ორივენი ძალზე სხვადასხვანაირები ხართ, საუჭულო, მაგრამ - სრულიად სხვადასხვანაირი. ჰოდა, მეც თითოეული თქვენგანის გვერდით სრულიად სხვა ვხდები. თქვენ ორში ვერც ერთს გამოგარჩევთ და ვერც მეორეს, მაგრამ ჩემთვის ორივენი ერთი ხართ. ასე ვარ მამასა და ბოლივარის მიმართაც".

ამით იკვრება კრებულში მოთავსებული, პირობითად რომ ვთქვათ, "პარადოქსული მოთხრობების" წრე, ვინაიდან ირანელი მწერალი ქალის გოლი თარაყის მოთხრობა აშკარად განსხვავდება ამ ნაწარმოებებისგან. "ამინეს შორეული მოგზაურობა" ლირიკულ-ემოციური და ფსიქოლოგიური პროზის ნაზავია. აქ არის ყოფითი დეტალებიც, აღწერითი ეპიზოდებიც, ხასიათის ხატვაც და მედიტაცია. ერთი სიტყვით, ეს მოთხრობა ტრადიციული პროზის ჩვეულებრივი ნიმუშია, მხოლოდ არაჩვეულებრივია ფინალი, რომელიც მთელ ნაწარმოებს შუქს ჰფენს.

კანადელი მწერლის დაგლას გლოვერის პროზა ერთგვარ სიმსუბუქეს, იუმორს, მოჩვენებით სერიოზულობას, თამაშის მკაფიოდ გამოხატულ საწყისს ამჟღავნებს. მის მოთხრობაში "ძალი კაცის დახრჩობას ცდილობს სასკატუნში" მეორდება ერთი და იგივე ფრაზა: "მე და ჩემი ცოლი გაყრას გადავწყ-

ვეტი თუ არა, მაშინვე ლამის ბედნიერად ვიგრძნობ ხოლმე თავს ერთად". ეს ფრაზა მოთხრობის რიტმსაც განსაზღვრავს და თხრობით ინტონაციასაც. არადა, ამ ფრაზის შემდეგ ოჯახური თანაცხოვრების ისეთი კვანძები იხსნება, რომელზეც თვითონვე არა აქვთ წარმოდგენა პერსონაჟებს. და ეს მაინც დრამაა, მართალია ირონიანარევი, მაგრამ მაინც დრამა, რომელიც სინამდვილის ყველაზე უფრო მკაცრ შტრიხებს წარმოაჩენს.

ცნობილი იტალიელი მწერლის უმბერტო ეკოს, რომანი "ბაულონინო", ალბათ ბოლომდე ითარგმნება ქართულად და გამოქვეყნდება.

საგანგებოდ აღარ შევჩერდებით ჩვენთვის კარგად ნაცნობი ავტორის ლუდმილა პეტრუშევსკაიას საინტერესო მოთხრობაზე "ჩემი წრე". კარგი იქნებოდა ამ ავტორის ნაცვლად რომელიმე უცნობი ჩეხი ან პოლონელი მწერალი გაეცნო ქართველ მკითხველს. თანამედროვე რუსული მწერლობა, ასე თუ ისე, მაინც ხელმისაწვდომია ჩვენთვის.

ასევე, უკეთესი იქნებოდა 1920 წელს დაბადებული ჰერმან შრაიბერის ნაცვლად უფრო თანამედროვე ავსტრიელი გერმანულენოვანი რომელიმე მწერლის ვრცელი, მრავალმხრივი ტენდენციების წარმომჩენი ლიტერატურული ნაწარმოები შესულიყო კრებულში.

რაც შეეხება პოეზიას, მიუხედავად საინტერესო ავტორებისა და თარგმანებისა, სასურველი იყო უფრო ვრცლად წარმოგვედგინა თანამედროვე მსოფლიო, ევროპული და ამერიკული პოეტური აზროვნების ნიმუშები. თუკი კრებულში შეტანილი პროზა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ თანამედროვე პროცესებზე და ტენდენციებზე დაფიქრდეთ, პოეზიაზე შექმნილი შთაბეჭდილება ფრაგმენტულია და ნაკლოვანი. ალბათ, დადგება დრო და ისევ "ღია საზოგადოება საქართვე-

ლოს" მხარდაჭერით ცალკე ტომებად გამოიცემა ბოლო წლების მსოფლიო პოეზია და პროზა.

ესეისტიკიდან მინდა ცალკე გამოვყო გახმაურებული რომანის, "პარფიუმერის" ავტორის, პატრიკ ზიუსკინდის ესე "ლიტერატურული ამნეზია". ავტორი სწორ რჩევას აძლევს საკუთარ თავს, იმისათვის, რომ არ დაგავინწყდეს ის, რასაც კითხულობ ან რაც ადრე წაგიკითხავს, "ნუ გადაეშვები ასე უკანმოუხედავად ლიტერატურულ ტექსტებში, ცივი ნათელი და კრიტიკული გონებით შეაფასე ისინი".

მეც ვცდილობდი ამ რჩევით მესარგებლა, როცა აღმანახ "ქართულად ნათარგმანებს" ვკითხულობდი. არ მინდოდა რაიმე გამომრჩენოდა ან დამვიწყებოდა, რადგან მართლაც საგულისხმო მასალამ მოიყარა ერთად თავი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მთარგმნელების და რედაქტორების შრომა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. ვფიქრობ, საგანგებო ყურადღების ღირსია თვა შურღაიას თარგმანი (გოლი თარაყი), მისი ლექსიკური მრავალფეროვნება, დედნისეული სტილის გრძობა, ფრაზის ძალდაუტანებელი, ლალი მდინარება.

ზურაბ ქემოკლიძეს (ჯულიან ბარნსი) შეეძლო, ჩემი აზრით, უფრო ზუსტი სიტყვიერი ექვივალენტები შეერჩია და მიესადაგებინა დედნისთვის. მთარგმნელის ხარვეზები თვითონ მთარგმნელსევე უნდა აღმოეფხვრა. საგულისხმო რედაქტორ-შემდგენელის მალხაზ ხარბედიას ცდა, ერთ კრებულში ჩაეტია მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

ყველაზე ძნელი სწორედ დასაწყისია. კულტურულ-ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსება, ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების თავმოყრა და ახლახან ფეხმოკიდებული ტენდენციების შემჩნევა მართლაც რომ საშური საქმეა.

უკან, ბუნებისკენ

თავარ ლომიძე

ასტრიდ ლინდგრენი. "ყაჩაღის ასული რონია". მთარგმნელი თამარ ჩიქოვანი. ილუსტრაციები ილონ ვიკლანდისა. გამომცემლობა "დიოგენე". თბილისი. 2002.

საბავშვო პროზის ცნობილი შვედი ოსტატის, ასტრიდ ლინდგრენის ვრცელი ზღაპარი "ყაჩაღის ასული რონია" მკვეთრად გამოირჩევა მწერლის სხვა ნაწარმოებთაგან. კერძოდ, მასში თავს იჩენს მჭიდრო კავშირი გერმანულ-სკანდინავიურ მითოლოგიასთან და ფოლკლორთან. ამ სტილური ხერხის მეშვეობით ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი მაქსიმალურად განზოგადებული იერით აღიჭურვება და მიგვანიშნებს იმაზე, რომ "რონია" მწერლისთვის საგანგებო მნიშვნელობის ქმნილებას წარმოადგენდა.

ზღაპრის შინაარსი, მოკლედ, ასეთია: ყაჩაღთა თორმეტკაციანი



ნი რაზმის ბელადის, მატისის ასული რონია დაიბადა ქარიშხლიან ღამეს, ჭექა-ქუხილის დროს. იმავე მომენტში მატისის მოსისხლე მტერს, ყაჩაღთა ასევე თორმეტკაციანი ბანდის მეთაურს, ბორკას გაუჩნდა ვაჟი, ბირკი. ბავშვების დაბადებისას მეხმა შუაზე გააპო მატისის ციხე-სიმაგრე. მის ერთ ნაწილში დარჩა

მატისის ოჯახი და რაზმი, მეორე ნაწილს კი მალე დაეპატრონა ჯარისკაცების მიერ დევნილი ბორკა, თავისი ოჯახითა და ერთგული ყაჩაღებითურთ.

როდესაც რონია წამოიზარდა, დედ-მამამ გოგონას ნება დართო, ყოველდღე დაეტოვებინა ციხე-სიმაგრე და გასცნობოდა გარემომცველი უზარმაზარი ტყის ყოველ კუთხე-კუნჭულს, მის ბინადართა ცხოვრებას. ერთ მშვენიერ დღეს რონია და ბირკი ერთმანეთი გაიცნეს და, მშობლებს შორის არსებული მტრული დამოკიდებულების მიუხედავად, დამეგობრდნენ, შემდეგ კი დამობაც შეჰფიცეს ურთიერთს.

ბორკასა და მატისის შულღმა აიძულა ბავშვები, წასულიყვნენ ციხე-სიმაგრეიდან და თავი შეეფარებინათ გამოქვაბულისთვის, სადაც მათ გაატარეს გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა. ისინი კვლავ დადიოდნენ ტყეში, სადაც არაერთი თავგადასავალი გადახდათ. ზამთრის დადგომისას შვილს მონატრებულმა მა-

ტისმა შინ წაიყვანა რონია. ბირკიც დაბრუნდა თავის დედ-მამასთან. მატისმა და ბორკამ, ორთაბრძოლის შემდეგ, დაივიწყეს ძველი მტრობა და დამეგობრდნენ. მომდევნო გაზაფხულზე ბავშვებმა კვლავ გამოქვაბულში დაიდეს ბინა, ახლა უკვე - მშობლების ნებართვით. ასე მთავრდება "ყაჩაღის ასული რონია".

ნაწარმოების აღქმის სისრულისთვის აუცილებელია, მივუთითოთ მისი ზოგიერთი ფოლკლორულ-მითოლოგიური პირველმოტივი და პირველსახე.

"რონიაში" წარმოჩენილია (როგორც ეს სჩვევია, საზოგადოდ, ზღაპარსა და მითს) სამყაროს სივრცული მოდელი. ამიტომ ზღაპრის თემას, ფაქტობრივად, წარმოადგენს ემპირიული სივრცის (ტყის, ბუნების) ათვისება, რაც ხორციელდება რონიას მიერ ტყეში ხეტილის, ტბასა და მდინარეში ცურვის, ცხენების გახედვის, კლდეებზე ცოცვის, ფანტასტიურ არსებებთან შეხვედრათა და ა.შ. საშუალებ-

ებით. რაც შეეხება დროს, მითითებულია, უბრალოდ, მისი ციკლურობის შესახებ. ამასთან, დროის კონკრეტული მომენტები ან პერსონაჟების ასაკი მკითხველისთვის უცნობი რჩება. ჩვენ მხოლოდ შემთხვევით ვგვხვდებით, რა ხნის არიან რონია და ბირკი (თერთმეტი წლისანი), როდესაც ისინი ტოვებენ მატისის ციხეს.

ზღაპრის დასაწყისში საგანგებოდაა ხაზგასმული რონიასა და ბირკის დაბადების პირობები - ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი, მეხის გავარდნა. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბავშვთა მამების - მატისისა და ბორკას მითოლოგიურ პირველსახეს წარმოადგენს ჭექა-ქუხილის სკანდინავიური ღმერთი, თორი (შემთხვევითი არაა, რომ დედამისი რონიას "ჭექა-ქუხილის ბავშვს" უწოდებს). ბორკა ნაწარმოებში, ერთგვარად, ჩრდილშია, მაგრამ

მატისი ნამდვილად წაგავს თორს, რომელსაც მითები, ოდინისგან განსხვავებით, ჭკუა-გონებას კი არ მიაწერენ, არამედ - მხოლოდ უდიდეს ფიზიკურ ძალღონეს და მრისხანე ხასიათს. თორის მსგავსად, მატისი ერთ-თავად "ბრდღვინავს", "ღმუის" ან "ღრიალებს". ისიც კანონზომიერია, რომ მატისსაც და ბორკასაც თორმეტკაციანი რაზმები ჰყავთ. სკანდინავიური ღმერთები იყოფოდა "აზებისა" და "ვანების" ორ ჯგუფად, თითოეულ მათგანში კი თორმეტი ღმერთი იყო გაერთიანებული. მითების მიხედვით, "აზების" და "ვანების" შებრძოლებას მოჰყვა მათი კონსოლიდაცია, ისევე, როგორც "რონიას" დასასრულს ერთიანდებიან მატისისა და ბორკას რაზმები.

რონიას ცხოვრების რიტმი ერწყმის ბუნების ცხოვრების რიტმს. თავდაპირველად ესაა ყოველდღიური გასვლა ტყეში და ღამით შინ დაბრუნება. შემდგომ კი რონია მხოლოდ ზამთარს ატა-



ასტრიდ ლინდგრენი

რებს მატისის ციხეში (მითოლოგიური წარმოდგენებით, ზამთარი=ძილი=სიკვდილი), გაზაფხუ-

ლის პირს კი "იღვიძებს" და ბუნების წიაღს უბრუნდება. შევნიშნავთ, რომ ლინდგრენი იყენებს

არა ფოლკლორისთვის დამახასიათებელი ერთჯერადი ციკლის (შინიდან წასვლა თავგადასა-

ვალთა საძიებლად - შინ დაბრუნება), არამედ - უფრო არქაული, მითოლოგიური მრავალჯერადი ციკლის (სიკვდილი - ხელახალი გაცოცხლება) მოტივს.

ლინდგრენის ამ ზღაპარში არ გვხვდება უარყოფითი პერსონაჟები - მატისის ციხე "კეთილი ყაჩაღების" საფულოა. ადამიანების ძარცვა ამ ყაჩაღთა შინაგანი ბოროტებიდან როდი გამოდინარეობს. ისინი, ბავშვებივით, ვერ განასხვავებენ სიკეთესა და ბოროტებას, გულუბრყვილონი არიან და ხშირად სასაცილოდაც გამოიყურებიან. კომიკური - და არა საშიშარი - არიან ტყეში მცხოვრები ფანტასტიკური არსებებიც - მაჯლაჯუნები, ტრაკუნები. ბავშვები მათ იოლად აფრთხობენ და უმკლავდებიან.

"ყაჩაღის ასულ რონიაში" აშკარად ვლინდება ავტორის ნოსტალგია იმ ეპოქების მიმართ, როდესაც ადამიანის მიერ ჯერ კიდევ შეურყენელი ბუნება ინარჩუნებდა თავის პირველქმნილ მშვენიერებას და იდუმალს. ამ ბუნების ღვიძლ შვილებს წარმოადგენენ ნაწარმოების პერსონაჟები - რონიათი და ბირკით დაწყებული, მატისისა და ბორკათი დამთავრებული.

წარსული

უოლტ უიტმენის "ბალახის ფოთლები"



მაფრენას, უდიდეს სიყვარულს ადამიანისა და ბუნების მიმართ, ვერც უკვდავების რწმენას პატიობენ პოეტს. ეს ყოველივე ხომ არის უიტმენის პოეზიაში მიწიერი ყოფის გამოძახებული უმართებულო სითამამისა და იმ მოუქნელი მეთოდის პარალელურად, რომლითაც იგი ხშირად აღწერს დაკნინებულ, დაბეჩავებულ საზოგადოებას? დროის უბრალო დაკარგვად მიმაჩნია იმის გარკვევა, არის თუ არა პოეტი მისტერ უიტმენი: მისი უდიდესი ავტორიტეტი - შემოქმედებითან ერთად კრიტიკულიც - გვინდა თუ არა, მაინც მეტყველებს მის სასარგებლოდ. არც მის მხატვრულ მეთოდზე ღირს თავის მტვრევა: ეს ფორმა სულაც არ არის ისეთი გამოგონებული და ნოვატორული, ძალიან ბევრს, და მათ შორის თავად უიტმენსაც რომ მიაჩნია.

მართალია, ამ წიგნში მოვლენათა უმრავლესობა სინატიფეს მოკლებული ხერხითაა გადმოცემული და ზოგჯერ ფორმისა და სტილის უსუსურობა ამ პოეზიას მოსაწყენ პროზაზე აქვეითებს, მაგრამ მკითხველი გვერდს ვერ აუვლის მის ფურცლებზე წამიერად გაელვებულ სილამაზესა და უჩვეულო დახვეწილობას. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ შემოქმედის თითოეულ რაფსოდის ერთიან, განუყოფელ მთლიანობად განვიხილავთ, გინდაც მათი ცალკეული მონაკვეთები უშინაარსო და უმნიშვარ პოეზიად მოგვეჩვენოს. ისე კი, უსაზღვრო, შეუზღუდავი ფანტაზია და ამა თუ იმ აზრის "ახლებურად" გამოთქმისაკენ სწრაფვა, უიტმენს ზოგჯერ ასეთ რამესაც წამოაძახინებს: "მე ჩემს სხეულს მორევს მივანდობ!"... "განმამარტეთ მითები აზიაზე!"... "წილაბს ჩამოვგლეჯ და წარმოგიდგენ!" როგორ უნდა ემსახუროს თავისუფლებას ხელოვნებაში, ან ნებისმიერ სხვა ამალეებულ იდეალებს ის მწერალი, რომელიც თავად "literate"-ს



უოლტ უიტმენი

განსახიერებს? უფრო შთამბეჭდავი და ორიგინალური იქნებოდა, მისთვის უბრალოდ "inkvat" რომ გვეწოდებინა (სიტყვათა თამაში: literate - განსწავლული, განათლებული; literat - ლიტერატურის ვირთხა; inkvat - მელნის ვირთხა (მოკალმე)). მეორეს მხრივ, ამ წიგნის ფურცლები ამზეურებენ გემოვნებით შერჩეულ და ცინცხალ გამონათქვამებს. ერთგან მოცურავე ასე მომწესხველად არის აღწერილი: "მონავარდე გამჭვირვალე, მწვანე ნათელში"; ... "გულახდილი ყბედობა ქვაფენილისა"... ეს მართლაც შესანიშ-

ნავი მიგნებაა. საინტერესო და დახვეწილ პოეზიად მიმაჩნია ასეთი სტრიქონები: "ფიცარსა რანდავს ღურგალი / და შალამინის ენა / ველურ მელოდისა უსტვენს". შედარებით დიდი ზომის ნაწარმოებები, სადაც ბევრი რამ ბანალური და საკმაოდ უფერულია, გაყალბებულ ესეებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე პოეზიას, თუმცა ხელაღებით არც მათი უარყოფა შეიძლება, აქაც ხშირია შემთხვევები ძალიან მარტივი და გაცვეთილი აზრის საინტერესო კუთხით გადმოცემისა. მაგრამ აშკარა უფუნურობა იმის მტკი-

ცება, თითქოს To You-თი დასათურებული ეს სტრიქონები ადგენენ ლექსს და არა რალაც უაზრობას (ამაში, ალბათ, თავად პოეტიც დაგვეთანხმება):

"უცხოვ, თუკი ჩამივლი გვერდით და მოსურვებ შეხმინებას, რატომ არ უნდა შეხმინაო? ანდა თავად მე რატომ არ უნდა შეგეხმინაო?"

მაგრამ თუ გსურთ მის პოეზიაში რაიმე საინტერესოს აღმოჩენა, გირჩევთ წაიკითხოთ მშვენიერი *Pioneers, O Pioneers*. ბევრი რამ მოგხიბლავთ ამ სტრიქონებში: ვაჟკაცური შემართება და მძლავრი რიტმი, მეგობრობის სულისჩამდგმელი გრძობა და ალტაცება ახალ სამყაროს წინსვლით; ნაიკითხეთ უიტმენის მდიდრული და შთამბეჭდავი წარმოსახვით გაჯერებული *Man-of-War-Bird*, ანდა შესანიშნავი ელეგია ზღვისპირეთზე, ასეთი სიტყვებით რომ იწყება: "აკვნიდან, რომელიც მარად ირწევა..." აი, ეს ლექსები სასეა სიცოცხლითა და ემოციებით. ლინკოლნის აღსასრულის პოეტური აღწერისას მან ასე გამოორჩეულად უმღერა სიკვდილს: "ო, ბნელო დედავ, უხმაუროდ რომ ჩავკვიროლებ მსუბუქ ფეხებით"... ან როგორ ასხამს ხოტბას ჩვენებური გაზაფხულის ერთ-ერთ საღამოს!

"ო, ეს მეოთხე თვით საღამო, ეს დაისი და მონაცრისფრო ბურუსი გამჭვირვალე. ზანტად გამავალი ოქროსფერი მზის სხივთა მარაო... ლორთქო ბალახი, მკრთალი ფოთლები, შორით ელვარე მკერდი მდინარის,



ქართი აჭრილი და აქორჩილი..."


წაკითხეთ პოეტის ის სტრიქონები, რომლებიც ჩვეულებრივ ლოკომოტივს ახასიათებს:

"თანამედროვე ემბლემა მოძრაობისა და კონტინენტის მაჯისცემა."

გამოყენებითი მექანიკის გრანდიოზულობა ასე არავის აუსახავს ამერიკულ პოეზიაში. დემოკრატიზმი, ვაჟაკობა, სიკეთის რწმენა - აი, რითი ფასობთ უიტმენის შემოქმედება. "მკლავის სიმაგრე და სიმამაცე!" "კმარა ვედრება და ქედის მოხრა!"... იგი ესწრაფვის დაუშრეტელი ენერჯის გამოვლენას და ამის გამო, რაც არ უნდა მცდარი იყოს მისი მეთოდი, ამერიკულ ყოფასა და ლიტერატურას, ვიცავ, აუგი არაფერი ეშუქება!

მაგრამ სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ უიტმენის სხეულის "განდიდებას". აკი თავადაც გვაფრთხილებს ერთგან: "ჩემს ლექსებს ყოველთვის არ მოაქვთ სარგებელი, მათ ზიანის მოტანაც შეუძლიათ". მას თავი "სხეულისა და სულის" პოეტად მიაჩნია და ჩვენც გვარწმუნებს, რომ სული არ არის სხეულზე მეტი. ამით თითქოს როზეტის აზრსაც იზიარებს, თუმცა ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მაინც იყურება მომავლისაკენ: "განახლებული ჯიშო, გონიერი ქალები და მამაკაცები, უცოდველობა და სიჯანსაღე... ალბათ ეს არის ბედნიერება!" მის ბოლო ლიტერატურულ მანიფესტში ასეთ სიტყვებსაც ამოვიკითხავთ: "ველტი უაღრესად ინდივიდუალურ საზოგადოებას, ბუნებასავე დაუდგარს, კეთილკრძალულს და კეთილმოსურნეს, თანაგრძობის ნიჭით დაჯილდოებულს, სრულქმნილს, მგზნებარეს, შთაგონებულს, მამაცს". ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ საბოლოო მიზანი ქების ღირსია და არც პოეტი ტკბება საკუთარი უდიერებით, მაგრამ ამ მიზანს სავალალო შედეგი მოსდევს: იგი ამიშვლებს და ხელმისაწვდომს ხდის ყველაფერ იმას, რასაც ბუნება ოდითგანვე იფარავდა უდიდესი რუდუნებით და თავმდაბლობით. უცნაურია, რომ ეს ზედმინეგნით "ბუნებრივი" შემოქმედი არღვევს ბუნების ერთ-ერთ საუკეთესო და უღრმეს კანონს და იმის ნაცვლად, რომ სხეული წმინდად მიიჩნის, იგი ძარცვავს მას ყველა იმ სიკეთისაგან, რასაც ამჟამად მას მიანერს კაცობრიობა. უიტმენი ამცრობს სულსაც და ხორცსაც და ადამიანს მხეცს უთანაბრებს, განძარცვულს ყოველგვარი სულიერი თვისებებისგან.

მისტერ უიტმენი ამაყობს საკუთარი სიჯანსაღით. მაგრამ რა არის ეს სიჯანსაღე თუ ჯანმრთელობა? სხვა არაფერი, თუ არა ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მოქმედება და ასეთ დროს ის იშვიათად ფიქრობს მათ ფუნქციონაზე, მაგრამ როგორც კი რომელიმე მათგანის ფუნქცია დაირღვევა - გულის, კუჭის, ტვინის თუ ნებისმიერი სხვა ორგანოსი - ადამიანი მყისვე შეიგრძნობს ამ ცვლილებას და, ცხადია, ჯანმრთელობაც შეერყევა... აქედან კი სხეულებაც წარმოიშობება. ზუსტად ასეა უიტმენის შემთხვევაშიც: როდესაც იგი ხელით ეხება ხელშეუხებელს და თავს იმტრევეს იმ იდუმალ პროცესებზე, წესით, უჩუმრად რომ უნდა მიმდინარეობდნენ, მას უკვე ჯანსაღს ვეღარ ვუნდობთ. გახრწნილი არა, მაგრამ სხეული უთუ-



ოდ შეიქნება. მას თავი მოაქვს საკუთარი "მრავლისმომცველობით", კარგისა და ავის უკიდურეს გამოვლინებათა ფლობით, და

ყველაფერში ერთი პოლუსიდან მეორეზე გადაფრენას ელტვის. სხეულთან (ხორცთან) დაკავშირებით მშვენივრად ართმევს

თავს ამ ამოცანას, ხან აკნინებს და ხანაც ალაზვევს. ისე კი, ჩანს, თავად სათანადოდ ვერ აღუქვამს საკუთარი "ყოველისმომცველობა" ამ მიმართულებით, და რომ აღექვა, ალბათ, თავისი ლექსის სიტყვებით მიბასუხებდა:

"მაშ, მე საკუთარ თავს ვუმხედრდები?"

ძალიან კარგი, ასეც ვიქცევი! მე უსაზღვრო ვარ, მრავლისმომცველი".

მაგრამ ეს "მრავლისმომცველობა" ვერაფერს შველის მის სხეულებას. მას არ ძალუძს შეარბილოს მისტერ უიტმენის დიდი შეცდომა. მან ხომ ხელახლა ისეთი რამ გამოაქვეყნა, რისი ხმა-მალა გამეორებაც კი აღარ ღირდა. რატომ შეიტანა ადრინდელი უხამსობა ახალ გამოცემაში? განა ეს წიგნი მრავალი წლის შემდეგ არ გამოვიდა? ნუთუ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ასე გაძნელდა ყმანვილკაცური სენისაგან განკურნება? ყველა "სალი აზრის მატარებელი" უნდა აღმოფთვდეს მისი "აგრესიული იერიშით", ყოველმა ჩვენგანმა უნდა გააპროტესტოს ეს წრეგადასული უდიერება. საბედნიეროდ, ზემოაღნიშნულით ძირითადად თავად ავტორი ზარალდება: ის ხომ შესაშური მონდომებით იკნინებს საკუთარ ფიზიკურ ბუნებას - სხეულს! მართალია, კაცობრიობა არ არის სრულყოფილი, მაგრამ ის გაცილებით უკეთესია, ვიდრე "ბალახის ფოთლებში" აღწერილი - დამახინჯებული, თავლაფდასხმული და გაყალბებული. აი, ამიტომ ვერ იქონიებს ეს წიგნი ჩვენზე დიდ გავლენას, აი, ამიტომ გაუჭირდება ჩვენი დათრგუნვა.

The Atlantic Monthly, January 1882 ინგლისურიდან თარგმნა ასმათ ლეკიაშვილმა

2002

კლასიკარები კითხვის სიამოვნება



მისო მოსალიპვილი

"კლასგარეშე კითხვა" ბორის აკუნინის მესამე დიდი პროექტის (თავად რომ "არალიტერატურულს" უწოდებს) "მაგისტრის თავგადასავლების" ორ ტომად დასტამბული (გამომცემლობა "ოლმა-პრესი", 2002) მეორე რომანი გახლავთ ავტორის უდიდესი რედაქციით და შეეხება, ერთი მხრივ, ერასტ პეტრეს ძე ფანდორინის ინგლისიდან ჩამოსულ და მოსკოვში დარჩენილ შვილიშვილს, კემბრიჯის უნივერსიტეტის ისტორიის მაგისტრს, ბარო-

ნეტ ნიკოლას ალექსანდრეს ძე ფანდორინის ახალ თავბრუსმხვევ ამბავს; ხოლო, მეორე მხრივ კი - იმპერატრიცა ეკატერინა დიდის ეპოქაში მცხოვრები დანილა ლარიონის ძე ფონდორინისა და წიგნის ბოლოს სამსონ დანილას ძე ფონდორინად გადაქცეული, ექვსი წლის ვუნდერკინდის - დიმიტრი, იგივე მითრიდატე ალექსის ძე კარპოვის არანაკლები სიმძაფრის თავგადასავალს.

სნობური მიდრეკილებებისგან თავისუფალი მკითხველს თავდაპირველად გამოცდილი მწერლის მიერ დაგებული რამდენიმე ნაღმისგან თუ ხაფანგისგან მოუწევს თავის დაღწევა.

პირველი მათგანი თავად აკუნინის მიერ მიზანმიმართულად შექმნილი საკუთარი იმიჯია: "უბრალოდ საკითხავია, ბატონებო, უბრალოდ საკითხავია, შეძლებისდაგვარად სიკეთეს რომ გვასწავლის, პანთეონზე პრეტენზიას არ ვაცხადებთ!"

არადა, უკვე თავისუფლად შეიძლება მივხვდეთ, რომ აკუნინის შემოქმედებამ კარგა ხანია გადალახა პოპულტურის ხელოვნურად შექმნილი ჩარჩოები და მარტოოდენ რუსეთისა და პოსტსაბჭოთა სივრცის კი არა, ევროპული მასშტაბის "აკუნია-ცია" მოახდინა, და ასეთივე წარმატებით აგრძელებს მთელი მსოფლიოს "აკუნია-ციას" (რე-

ჟისორ პოლ ვერხოვენის მიერ ჰოლივუდში გადასაღებად შექმნილი ბორის აკუნინის რომანი "ახალი" და სხვა).

მომდევნო ხაფანგი თუ ნაღმი ყველასთვის არცთუ ადვილად ამოსაცნობი "მიბაძვებია": სნობი მკითხველი რომანის პირველივე თავში მაინც "ალმოაჩენს", რომ "კლასგარეშე კითხვის" თანამედროვე ნაწილი მიბაძვავა უილიამ სტაირონის 70-იან წლებში გახმაურებული რომანისა "სოფის არჩევანი", რომელიც ალან პაკულას კარგი ფილმის წყალობით ბევრს ახსოვს - ეს ხომ იმაზეა, თუ როგორ გახდინა იძულებულს საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილ პოლონელ სოფის არჩევანი გააკეთოს თავის შვილებს, ბიჭსა და გოგოს შორის და სასიკვდილოდ განიროს ერთ-ერთი მათგანი; იგივე სნობი მკითხველი რომანის მეორე თავშიც გაიხალისებს, რაკი მიხვდება, რომ ეს ექვსი წლის ვუნდერკინდი მითრიდატი, იმპერატრიცა ეკატერინა დიდისთვის რომ მიუყვანია მამამისს, ძალიან ჩამოჰგავს ჯერომ დევიდ სელინჯერის ბოლო "პოვესტის" - "ჰეპკოურტ-16, 1924"-ის გმირს, შვიდი წლის საიმურ გლასს (თავის მხრივ, საიმურ გლასის პროტოტიპი არის ცნობილი ინგლისელი მათემატიკოსი, დუბლინის უნივერსიტეტის ასტრონომიული ობსერვატორიის

დირექტორი, ირლანდიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი უილიამ როუენ ჰაილიტონი (1805-1865) - შესაბამისი სტატია იხილეთ ინგლისურ "ნაციონალური ბიოგრაფიების ლექსიკონში"). აი, ახლა კი ჩვენ შეგვიძლია ამგვარი "ალმოჩენებით" გალაღებული და მწერლის ზემოდან დამყურე ("აბა, რა ეგონა, ვერ მივუხვდებოდით?") სნობი მკითხველი პარალელურად მოთხრობილი, მძაფრსიუჟეტისანი რომანის ციტატებით დანაღმულ ველზე უჩვენოდ გაუშვავთ და წინდაწინვე შევპირდეთ, რომ ნანარმოების ცალკეული თავების ("როგორ მოგწონთ ეს?", "ექიმი მისდაუნებურად", "ფლიდობა და სიყვარული", "აურზაური არაფრის გამო", "მამები და შვილები" და ასე შემდეგ) და თვით პერსონაჟების მამის სახელებშიც კი ("ერემი უმბერტოს ძე მეტასტაზიო!") ხშირად მიეცემა სიხარულის მიზეზი.

ხოლო ვინც დავრჩებით, თუკი ჩვენი სიხარულის მიზეზი ის შეიქმნება, რომ ამდენ ნაღმსა თუ ხაფანგს მშვიდობიანად დავაღწიეთ თავი, შეგვიძლია, ყოველგვარი ციტატების ძებნის გარეშე, მივყვეთ მწერლის მიერ მალაპროფესიული ოსტატობით აგებულ, მართლაც პარალელურ და მძაფრსიუჟეტისან ამბავს, ერთმანეთში გადაძახილებითა თუ სხვა

სიუჟეტური სვლებით რომ არის შეკრული.

ასე, მაგალითად, რომანის 21-ე თავში უაღრესად საშიში გამტაცებლებისგან თავდაღწეული ნიკოლას ფანდორინი და მირანდა კუცენკო ახალი იერუსალიმის მონასტრის ეზოში დიმიტრი ალექსის ძე კარპოვის საფლავის ქვაზე კითხულობენ, რომ იგი გარდაცვლილა 1795 წლის 16 მარტს, შვიდი წლის ასაკში და ცივწყალგადასხმულ მკითხველს ჰგონია, მისი ერთ-ერთი საყვარელი პერსონაჟი მტრად მოკიდებულმა დიდმოხელეებმა მოკლეს - ნეტავი, მაინც რომელმა: ეკატერინა დიდის ფავორიტ პლატონ ალექსანდროვიჩ ზუროვის მდივანმა ერემი უმბერტოს ძე მეტასტაზიომ თუ იგივე ფავორიტის ადიუტანტმა, პრეობრაჟენსკის პოლკის კაპიტან-პორუჩიკმა ანდრეი პიკინმა, საიდუმლო ექსპედიციის უფროსმა პროხორ ივანოვიჩ მასლოვმა (სინამდვილეში სატანოფაგების მასონური სექტის დიდმა მამამ!) თუ ბრიგადორმა მირონ ანტიოხოვიჩ ლიუბავინმა, მოსკოვის გუბერნატორმა დავით პეტროვიჩ დოლოგოუკმა თუ სულაც მამამ - ალექსეი ვოინოვიჩ კარპოვმა? (აქ და მერეც წიგნში თუკი რუსული

გვარ-სახელების კეთილმოვანება დაგვატყვევებს - ვთქვათ, "პავლინა ანიკიტინა ხავრონსკაია"! - შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ დონის მონასტრის საფლავის ქვებთან მოტივალე გრივოლ შალვას ძე ჩხარტიშვილი, უკაცრავეად, ბელეტრისტი ბორის აკუნინი, წარწერილი გვარ-სახელების პოეზიას ჩვენამდე რომ მოუხიბლავს - ყოველ შემთხვევაში, თავად ასე აცხადებს ინტერნეტში).

მაგრამ მომდევნო, 22-ე თავში მკითხველი აღმოაჩენს, რომ ეს დარდი და წუხილი ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ "აურზაური არაფრის გამო", ვინაიდან ამ პატარა ვუნდერკინდის მფარველ პავლინა ანიკიტინა ხავრონსკაიას და მასზე შეყვარებულ დანილას ლარიონის ძე ფონდორინს გადაურჩენიათ ბიჭი; დანილას დაკარგული შვილის - სამსონის სახელით უშვილებიათ და გადამტერებულ დიდმოხელეთა არწივულ მზერალს ურალს იქით მდებარე ერთ დასახლებაში მოჰფარებიათ.

აქვე შეგვიძლია დაეუბრის-პირდეთ კიდევ დიმიტრი ბიკოვის მოსაზრებას, რომ თითქოსდა "ქალური საწყისი აკუნინთან ყოველთვის მტრულია ნესიერებისა და სალი აზრისა, ქალი მასთან - ცვალებადობის განსახიერებაა, რომ არა, სულაც, ღალატისა" ("ოგონიოკი", № 28, 2002). აბა, მაშინ ვინ არის პავლინა ანიკიტინა ხავრონსკაია, გნებავთ ალტინ მამაევა ანდა სულაც მონაზონი პელაგეა?!

რომანის კითხვისას სხვა მრავალ საინტერესო პერსონაჟსა თუ პერიპეტიას გავეცნობით - ვთქვათ და, აღმოვაჩინოთ, რომ ეკატერინა დიდის მიერ ვოლტერისთვის გაგზავნილი წერილები ყოფილი კამერ-მდივნის დანილა ლარიონოვიჩ ფონდორინის დაწერილი ყოფილა...

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამგვარი წაკითხვა ბორის აკუნინის მიერ დასმულ სერიოზულ შეკითხვებამდე მიგვიყვანს, რომლებიც აღარავისი მიბაძვა აღარ არის:

რატომაა, რომ "ჩვენს ჯუნგლებში დიდი ფული აკეთო წვერ-წამახული ეშვების გარეშე და თან ხელების სისუფთავეზეც იზრუნო, სრულიად შეუძლებელია"? (ტ. 2. გვ. 264).

რატომ იქცევა ნებისმიერი კარგი წამოწყება ისეთ თაღლი-



ბორის აკუნინი

თობად, რომ ყოფილი კლასელები, ამჟამად კი კოსმეტიკური ქირურგიის მანათობელი ვარსკვლავი მირატ ვილენოვიჩ კუცენკო და "კეთილი ექიმი აიბოლიტის" აფთიაქების ქსელის მეპატრონე ოლეგ სტანისლავოვიჩ იასტიკოვი ერთი ქიმიური კომბინატის

ხელში ჩასაგდებად შვილის განირვასაც არ ერიდებიან? იმიტომ ხომ არა, რომ "კომერციული ფირმების ნახევარი მაგასვე აკეთებს: შესვამენ ქალს ნაოჭების სანინააღმდეგო რომელიმე კრემზე და მერე იმ კრემის გარეშე იმ გამოჩერჩებულ უბედურს სი-

ცოცხლე აღარ შეუძლია - მაშინვე მთელი სიფათი ჩამოეჩაჩება" (ტ. 2. გვ. 254).

რატომ იკითხავს დანილა ფონდორინი - "ო, უბედურო რუსეთო! რატომაა, რომ კანონის დაცვას აქ ყოველთვის ბატონებს კი არა, მტაცებელ მგლებს ანდობენ?" (ტ. 2. გვ. 45).

რამ გადააქცია, თავისი თქმით "უმაღლესი რანგის პროფესიონალი" ჟანა ბოგომოლოვა ასეთ არაადამიანად?

რატომ გასჭირვებია ქალაქ ჩუდოვის მახლობლად დასახლებულ, ადრე ფლიბიუსტერ-ბანკირ სოსო გაბუნას, ამჟამად კი წმინდა მოხუც სისოის ყველას ერთნაირად შეყვარება? - "იცი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ყველაზე ძნელი რა არის ქრისტიანულ სწავლებაში? ყველა ადამიანის ერთნაირად სიყვარული - ახლობლისაც და შორეულისაც" (ტ. 2. გვ. 22).

რატომ ამბობდა ბარონი რეიხელი, რუსი ქვისმტეხლებიდან ყველაზე ღირსეული - "ყოველგვარი მასსონობა, რომელსაც პოლიტიკური მიმართულება აქვს, ყალბია" (ტ. 2. გვ. 233) და რა მიმართულება აურჩევიათ "ოქროვარდისფერ ძმობას" ანდა სატანოფაგებს?

აი, აკუნინისეული პრობლემატიკის ის წრე, რომელიც მარტოოდენ რუსეთისთვის, ანდა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცისთვის თუ ევროპისთვის კი არა, მთელი კაცობრიობისთვის აქტუალურად და თანამედროვედ ჟღერს.

ამჯერად, კიდევ ერთი აკუნინისეული ნაღმისა თუ ხაფანგის გაუგებრებლყოფა კი არა, ჩადება მოგვიწევს ჩვენი სნობი მკითხველისთვის - გაზეთ "სეგოდნიას" კორესპონდენტ ალექსანდრ მაკარკინთან გამართულ ინტერვიუში ბორის აკუნინი თავისი პროექტის "მაგისტრის თავგადასავლების" პირველი რომანის შესახებ იტყვის: "ალტინ-ტოლობასი" თავისი ჟანრის მიხედვით იმდენად დეტექტივი არ არის, რამდენადაც საიდუმლოების შემცველი რომანი, ერთგვარი ნაზავი "ორი კაპიტანისა" "სამ მუშკეტერთან" უმბერტო ეკოს "ვარდის სახელის" დამატებით. სწორედ ასევე შეუძლია ამ ახალ რომანზედაც განაცხადოს: "კლასიკურ შეკითხვა" თავისი ჟანრის მიხედვით იმდენად დეტექტივი არ არის, რამდენადაც პოლიტიკური ინტრიგის შემცველი რომანი, ერთგვარი ნაზავი "უილიამ სტაირონის "სოფის არჩევანისა", ჯერომ დევიდ სელინჯერის "პეპოურტ-16, 1924"-თან, უმბერტო ეკოს "ფუკოს ქანქარას" დამატებით".

და რაკი ამ ერთი პატარა სტატიის მანძილზე აკუნინისეული დანაღმვა-განაღმვის არცთუ ურიგო სპეციალისტებიც გავხდით, მოდით, ცოტა შევისვენოთ და მწერლის მოსკოვური ხედებითაც დაეტკბეთ:

"ესეთია აი ეს ქალაქი - მოსკოვი, მაშინვე კი არ დაგატყვევებს, პირველი გაცნობისთანავე, არამედ ნელ-ნელა შემოაღწევს სულში. ეს თავისებური გიგანტური ხახვია: ასი სამოსი აცვია, ყოველგვარი შესაკრავების გარეშე, ერთი მეორის მიყოლებით ხდი, ხდი, თავად კი სტირი. იმიტომ სტირი, რომ გესმის - ბოლომდე ვერასოდეს გახდის" (ტ. 2. გვერდი არა, ყდაზე უნდა ვნახოთ!).

"მოსკოვი ყველაზე ძალიან ჩეხოვის საყვარელ ტიპაჟს აგონებდა ნიკოლას: ლამაზ, ოდნავ გადამწიფებულ ქალს, ცოტა ცინიკურს, ყველაფერი რომ ყელში ამოსვლია; არცთუ ბედნიერს სიყვარულში, ქვეყანაზე ყველაფრის მნახველს, მაგრამ მაინც ცხოვრებაზე დახარბებულს. დღისით ამ არკადიან-რანევსკაია-ვოინიციევას მოწყენილობა შემოსწოლია, სამინაოდ გამონყობილი დადის, მაგრამ საღამოსთვის, როგორც კი სტუმრები შეიკრიბებიან, გაიპუდრება, მოიკაზმება, ცეცხლისგან დამზადებულ ბრილიანტის კოლიეს მოირგებს, პროექტორის საყურეებს დაიკიდებს და ისეთ ძუ ღამად გადაიქცევა, შიდალება დაგაბრმავოს კიდევ" (ტ. 1. გვ. 259).

ამ ჩინებული ლიტერატურული "პეიზაჟების" დათვალეერების შემდეგ, ალბათ, უპრიანი იქნება, მწერლის ისტორიული სამშობლოს ერთ-ერთ ულამაზესი კუთხე, გურიის გავიხსენოთ, სადაც სხვებთან ერთად ახლაც ცხოვრობენ ჩხარტიშვილები.

გურიაში "კრიმანჭულს" მღეროიან ხოლმე, მთელი დედამიწის ზურგზე ერთადერთ შვიდხმიან სიმღერას, თავის დროზე გაუგონარი პოლიფონიზმითა და კეთილმზოვანებით ასე ძალიან რომ მოხიბლა და ალაფეროვანა მეოცე საუკუნის უდიდესი კომპოზიტორი იგორ სტრავინსკი.

იაპონური "სატორითა" (თავისებური "გასხივოსნება" ძენ-ბუდიზმში) და წმინდა რუსეთის მართლმადიდებლობით გამდიდრებულ ასეთ "კრიმანჭულს" მაგონებს ბორის აკუნინის საუკეთესო რომანები, იმდენად ცხადი და კატასავით მოქნილი სტილით გამოირჩევიან. იმ რომანთა შორის "კლასიკურ შეკითხვა" და "ალტინ-ტოლობასი" აუცილებლად მეგულება.

ორი სიტყვით

ჰარუკი მურაკამი, მიწისძვრის შემდეგ After The Quake Stories By Haruki Murakami. Translated by Jay Rubin 181 pp. New York: Alfred A. Knopf. \$21, August 2002

ჰარუკი მურაკამის "მიწისძვრის შემდეგ" მაგიური ძალის მოთხრობათა კრებულია. მწერალი მოგვითხრობს კობის 1995 წლის მიწისძვრით გამოწვეულ ემოციებზე, შოკზე... ამ წიგნის აუღელვებლად წაკითხვა შეუძლებელია, განსაკუთრებით - ამერიკელებისთვის. ამერიკაში იაპონიის მიწისძვრას აუცილებლად მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული ტერაქტის




მეტაფორად მოიაზრებენ, მიუხედავად იმისა, რომ მურაკამიმ ეს მოთხრობები 11 სექტემბრამდე დაწერა.

კრებული "მიწისძვრის შემდეგ" ექვსი მოთხრობისგან შედგება. პერსონაჟები დარწმუნებულნი არიან, რომ უსაფრთხო ადგილას ცხოვრობენ, მაგრამ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ცნობები ყოველდღიურად აღწევს მათ ყურამდე გაზეთისა და ტელევიზიის საშუალებით. პირველი მოთხრობის გმირი კომურაა, გამყიდველი, რომლის ცოლიც ხუთი დღის განმავლობაში გაფაციცებით უსმენს საინფორმაციო გადაცემებს, მოსალოდნელი სტიქიის შესახებ რომ აფრთხილებენ მოსახლეობას. ქალი პანიკაშია და

შიშისგან ხმას აღარ იღებს. მეექვსე დღეს ის შინიდან მიდის და ქმარს ასეთ წერილს უტოვებს: "საქმე იმაშია, რომ შენ ჩემთვის არაფერი მოგიცია, ან უფრო სწორად, შენში არაფერია ისეთი, რაც შეიძლება მომეცე. შენ კარგი, კეთილი და ლამაზი ხარ, მაგრამ გინდ შენთან მიცხოვრია და გინდა ჰაერის ნაგლეჯთან." ამას მოჰყვება მურაკამის მხატვრული უცნაურობის კლასიკური მაგალითი: კომურას დასახლიდან მიაქვს პატარა ყუთი და მას ვიღაც უცნობს გადასცემს, და გადასცემს თუ არა, იწყებს ფიქრს იმაზე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ კოლოფში. უეცრად საიდუმლოებით მოცული ხდება ყველაფერი და ამ საიდუმლოს ტრაგიკული

დასასრული აქვს. ჯადოსნური ყუთი კომურას სიმბოლოა, აქ ჩაკეტულია კომურას სული, რომელიც პატრონმა დაუფიქრებლად დაუთმო სხვას, თუმცა ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყუთი ცარიელი იყო.

მურაკამის გმირებს სული გამოცარიელებული აქვთ. მიწისძვრა მხოლოდ ბიძგია, რომელიც ამ სიცარიელეს წარმოაჩენს, ჯაჭვი, რომელზეც მიბმულია ექვსივე მოთხრობა. მურაკამი არც აქ დალატობს ფოლკლორულსა და მითოლოგიურ ნიაღვრებს, წიგნში მკითხველი უამრავ ზღაპრულ მოტივს შეხვდება: დათვის, გვე-



ლის, ბაყაყის, ჯადოსნური ყუთის მოტივები. თქვენ უნდა შეცვალოთ თქვენი ცხოვრება, თუ ამას საერთოდ ცხოვრებას ეძახით, - მიგვანიშნებს ავტორი კრებულის ფინალურ მოთხრობაში "თაფლის კვერი".


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრებული ავბედით 11 სექტემბერამდე დაინერა. მაგრამ ავტორმა, როგორც ჩანს, კარგად იცოდა, რომ წიგნს აშშ-ში დიდი რეზონანსი მოჰყვებოდა. სამყარო, სადაც მურაკამის გმირები ცხოვრობენ, რაღაცით ემსგავსება "ტყუპი კომკეპის" სამყაროს, რომელიც ჩვეულებრივად არის და მოჩვენებითიც, ტრივიალურიც და რაღაცის მომასწავებელიც. კრებულს იაპონურად ასეთი სახელწოდება ჰქონდა: "ყველა ღვთისშვილს შეუძლია ცეკვა", მაგრამ მურაკამიმ ინგლისური თარგმანისათვის კრებულის სათური შეცვალა.

შეიშა პინი, რჩეული პროზა Finders Keepers: Selected Prose 1971-2001 Seamus Heaney Faber and Faber J20, pp.426, April 2002

ლექსში "ბარვა" (1964) შეიშას პინი წერს:

"ჩემს საჩვენებელ თითსა და ცერს შორის სქელი კალამი ისვენებს, მე დაგებარავ ამ კალამით."

შეიშას პინის ნათელი, მიმზიდველი პროზა ორი თვალსაზრისით არის საინტერესო, როგორც პოეტის და როგორც პიროვნების გამოვლენის თვალსაზრისით. ამ წიგნში იპოვით პასუხს კითხვებზე: როგორ უნდა იცხოვროს და წეროს პოეტმა? რა აკავშირებს შემოქმედს თავის შინაგან ხმასთან, საცხოვრისთან, ლიტერატურულ



მემკვიდრეობასთან და იმ სამყაროსთან, რომელშიც ის ცხოვრობს?

ამ წიგნის კითხვის დროს მკითხველი მიხედება, როგორ იცვლება პოეტის მსოფლხედვა. 1975 წელს გამოსულ კრებულში "ჩრდილოეთი" პინის პიროვნება გაორებულია. პოეტის ერთი "მე" ძველ სტილს არ ღალატობს და პიროვნულ გრძნობებზე გვესაუბრება, მეორე "მე" კი ნაკლებად მრავალსიტყვაობს საზოგადოებრივი მოვლენების აღწერისას.


საყურადღებოა ხელობისა (craft) და ტექნიკის (technique) პინისეული დაპირისპირება: ხელობა

შექმნის უნარს გულისხმობს, ტექნიკა კი სიტყვების, მეტრის, რიტმის გარდა პოეტის მრწამსსაც მოიცავს. რჩეული მოიცავს პინის ოქსფორდში წაკითხულ ლექციებს, ნარკვევებს ლიტერატურულ პროცესებზე და სხვა.

პინის რჩეული თხზულებების გაცნობისას ერთგვარად მწერლის პიროვნებაც იკვეთება: მოკრძალებული, კეთილსინდისიერი და სკრუპულოზური ხელოვანი, რომლის არტისტულ გადახვევებს არასოდეს დაურღვევიათ მისი, როგორც შემოქმედის, მთლიანობა.

გაო სინძიანი, ერთი კაცის ბიბლია Gao Xingjian, One Man's Bible Translated by Mabel Lee, HarperCollins Publishers, September 2002.

გაო სინძიანი ორი დიდი რომანის ავტორია: "სულის მთა" (რომელშიც მან 2000 წელს ნობელის პრემია მიიღო) და "ერთი კაცის ბიბლია", რომელიც 1999 წელს დაიბეჭდა ტაივანში, ამასწინათ ითარგმნა ინგლისურ ენაზე და რომელსაც დასავლეთში კარგად იცნობენ თანამედროვე ჩინური ლიტერატური მკვლევარები.



"ერთი კაცის ბიბლია" მწერლის ცხოვრების სარკეა. ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური მემუარი, ცხოვრება ადამიანისა, რომელმაც გაუძლო კულტურულ რევოლუციას. რომანი გვიამბობს, თუ რა ხდებოდა ჩინეთში 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში, როცა მთელ ქვეყანაში პოლიტიკური კლასტროფობია და პარანოია სუფევდა, როცა - შეილები ასმენდნენ მშობლებს, მეზობლებს - მეზობლებს, მწერლები წვავდნენ თავიანთ წიგნებს, მხატვრები - ტილოებს, როცა რევოლუცია ანადგურებდა ყველაფერს.

წარსულის გახსენებამ საგრძნობლად შეცვალა მწერლის ცხოვრება. "შენი გული ახლა უკვე მშვიდადაა, შენში ამბოხი ჩაქრა," - ეუბნება სინძიანი საკუთარ თავს: "თუ გინდა, განზე გადავ და შენს "მეს" მოუსმინო, უნდა ეცადო, რომ შენი წარსული მხატვრულ ლიტერატურად გადაიქცეს; მაშინ დააკვირდები შენს "მეს" - გმირს, რომელსაც ამოუცნობი თვისებები აქვს," - დაასკვნის მწერალი.

გაო სინძიანის ახალ რომანში მწერლის "მეს" განსაზღვრისათვის გამოყენებულ მრავალრიცხოვან ნაცვალსახელებს შორის ძირითადია ორი: შენ-მთხრობელი და ის-ამბის გმირი. სწორედ ამ

ნაცვალსახელების მეშვეობით ცდილობს მწერალი განასხვავოს, ვინ იყო ის წარსულში და ვინ არის ახლა.

"ერთი კაცის ბიბლია" გაო სინძიანის მიერ ღმერთის ძიებაცაა. მწერალი ღმერთს საკუთარი თავის შეცნობაში ხედავს, ადამიანი მხოლოდ მაშინ არის თავისუფალი, როცა ის საკუთარ თავს შეიცნობს.

"ერთი კაცის ბიბლიის" ინგლისური თარგმანი (როგორც კრიტიკოსები ამბობენ, ბრწყინვალე თარგმანი) მიებეღა ლის ეკუთვნის.

სტივენ კინგი, "ბუიკ-8-დან" Stephen King, From a Buick 8, Simon & Schuster, September 2002

სამინელებათა დიდოსტატის სკეპტიკური მონათხრობი - ასე წარმოადგენენ კრიტიკოსები სტივენ კინგის ახალ რომანს უცნაურ და საბედისწერო ავტომანქანაზე - "ბუიკ-8"-ზე, პოლიციელთა ჯგუფზე და კიდევ იმაზე, რომ სამყაროს შეცნობა შეუძლებელია.

სტივენ კინგის ახალი რომანის კითხვისას მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მწერალს მოზებურად მონსტრებსა და სხვა საზარელ არსებებზე წერა, რადგან სულაც არ არის საჭირო რამე გამოიგონო, ყოველდღიურ ცხოვრებაში ისედაც უამრავი საშინელება ხდება. ახალი რომანი, მართალია, ე.წ. საშინელებათა რომანია, მაგრამ, ამავე დროს, ეს ნაწარმოები სცილდება ამ ჟანრის ფარგლებს. ავტორმა ზუსტად იცის, რა სიურპრიზს ელის ამჯერად მისგან მკითხველი.

თავად ავტორი ახალ ნაწარმოებს ასე წარმოგვიდგენს: "ეს ერთგვარი მედიტაციაა, შეცნობა იმისა, რომ ბუნებაში უამრავი რამ გაუშიფრავი რჩება".

მისტერიული ბუიკის ამბავს უკავშირებენ 11 სექტემბრის მოვლენებსაც და სტივენ კინგის ავტობიოგრაფიასაც. რომანი ბე-



რდა კაცის გადარჩენას. მაგრამ - ამაოდ. პოეტმა ზღვის ტალღებს სამუდამოდ შეაფარა თავი. პარტ კრეინის (1899-1932) ბიოგრაფია პოეტის სიკვდილის შემდეგ, 70 წლის განმავლობაში, მეოთხედ გამოქვეყნდა.

ნიგნი მოგვითხრობს არა მარტო კრეინის მძიმე ცხოვრებაზე, არამედ მის შემოქმედებაზეც. ავტორი მთლიანად არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ კრეინი ამერიკელი რემზო ან კიტსია. კრეინს აკლია რემზოს მტკიცე განსჯის უნარი, და თვითგადარჩენის ინსტინქტი, მაგრამ კიტსის მსგავსად თავის თავი გულწრფელად მიუძღვნა პოეზიას. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, პოეტის მძიმე ცხოვრება საერთოდ არ აისახება მის პოეზიაში.

კრეინმა მკითხველს დაუტოვა უმშვენიერესი და გულწრფელი წერილები, უფრო სწორად წერილი-ნოველები, რომლებიც რაღაცით სკოტ-ფიცჯერალდის ნოველებსაც ემსგავსება.

კრიტიკოსები მას ჰომოფობიითა და "არასრულფასოვნების კომპლექსით" შეპყრობილს უწოდებდნენ. კრეინი ამ ბრალდებას მხოლოდ ბოძავს უწოდებდა, მაგრამ დადგა დრო და მან მთლიანად ეჭვქვეშ დააყენა თავისი იდეალები. 1931 წელს, მეხიკოში რომ ჩავიდა, საკუთარი თავის მიმართ საშინელი ზიზღით იყო შეპყრობილი, ეს ანგრევდა მის არსებას. იმ წელს ერთადერთი ლექსი დაწერა, "გატეხილი ციხე-სიმაგრე", სადაც წერდა, რომ გულს ვეღარაფერს უდებდა:

პარტ კრეინი, ცხოვრება Hart Crane, A Life By Clive Fisher 384 pp., Yale University Press, March 2002.

1932 წელს კარიბის ზღვაში, ჰავანის ჩრდილო-აღმოსავლეთით გემი მიაპობდა ტალღებს, რომლის გემბანზე ალკოჰოლიზმისაგან გატეხილი პოეტი პარტ კრეინი იმყოფებოდა. მას თან ახლდა მეგობარი ქალი - პეგი კოული, ერთ-ერთი იმ ქალთაგანი, რომელიც დაჟინებით ცდილობდა ახალგაზ-



რდა კაცის გადარჩენას. მაგრამ - ამაოდ. პოეტმა ზღვის ტალღებს სამუდამოდ შეაფარა თავი.

პარტ კრეინის (1899-1932) ბიოგრაფია პოეტის სიკვდილის შემდეგ, 70 წლის განმავლობაში, მეოთხედ გამოქვეყნდა.

ნიგნი მოგვითხრობს არა მარტო კრეინის მძიმე ცხოვრებაზე, არამედ მის შემოქმედებაზეც. ავტორი მთლიანად არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ კრეინი ამერიკელი რემზო ან კიტსია. კრეინს აკლია რემზოს მტკიცე განსჯის უნარი, და თვითგადარჩენის ინსტინქტი, მაგრამ კიტსის მსგავსად თავის თავი გულწრფელად მიუძღვნა პოეზიას. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, პოეტის მძიმე ცხოვრება საერთოდ არ აისახება მის პოეზიაში.

კრეინმა მკითხველს დაუტოვა უმშვენიერესი და გულწრფელი წერილები, უფრო სწორად წერილი-ნოველები, რომლებიც რაღაცით სკოტ-ფიცჯერალდის ნოველებსაც ემსგავსება.

კრიტიკოსები მას ჰომოფობიითა და "არასრულფასოვნების კომპლექსით" შეპყრობილს უწოდებდნენ. კრეინი ამ ბრალდებას მხოლოდ ბოძავს უწოდებდა, მაგრამ დადგა დრო და მან მთლიანად ეჭვქვეშ დააყენა თავისი იდეალები. 1931 წელს, მეხიკოში რომ ჩავიდა, საკუთარი თავის მიმართ საშინელი ზიზღით იყო შეპყრობილი, ეს ანგრევდა მის არსებას. იმ წელს ერთადერთი ლექსი დაწერა, "გატეხილი ციხე-სიმაგრე", სადაც წერდა, რომ გულს ვეღარაფერს უდებდა:

ან კვალში უნდა მიჰყოლოდა სიყვარულის ოცნებას ან დიდხანს მდგარიყო ქარში. ერთი თვის შემდეგ გადაწყვიტა, რომ არჩევანი ალარ ჰქონდა.


ელენ ფეინშტაინი პოეტის ცხოვრება Ted Hughes: The Life of a Poet Elaine Feinstein Weidenfeld & Nicholson, pp352, July 2002

"პოეტის ცხოვრება" - ეს არის პირველი ბიოგრაფია მწერლისა, რომელმაც შეცვალა ინგლისური ლიტერატურის სახე. როდესაც ჰიუზის პოეზიას (ისევე როგორც მისი მეუღლის, სილვია პლათის ნაწარმოებს) კითხულობ, მის ცხოვრებასაც უნდა იცნობდე. ეს იყო ამ წიგნის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი.

პოეტს, ბიოგრაფსა და მთარგმნელს, ელენ ფეინშტაინს, რომელიც ტედ ჰიუზთან ერთად სწავლობდა კემბრიჯში, ჰიუზის ბიოგრაფიის დაწერის იდეა სამი წლის წინ დაეგზავნა. ჰიუზი მისთვის თბილი და კეთილშობილი ადამიანი იყო და არა ლეგენდიდან გადმოსული თვალანთებული მონსტრი. ფეინშტაინმა ბიოგრაფიული რომანისათვის დიდადი მასალა მოაგროვა, პირადი წერილები, ინტერვიუები ჰიუზის ნაცნობ-მეგობრებთან. თუმცა, როგორც ავტორი აღნიშნავს, ბევრმა რესპონდენტმა თავისი თავი არ დაასახელა, იყვნენ ისეთებიც, ვინც დახმარება არ მოისურვა.

მწერალი ჯერ ჰიუზის მშობლებს გვაცნობს, ამას მოსდევს ჰიუზის ბავშვობა, კემბრიჯში გატარებული "სიცარიელის წლები", რამაც კინაღამ ჩაკლა ჰიუზის პოეტური სული.

რომანი ჰიუზს ორსახოვან ადამიანად წარმოგვიდგენს: მონსტრი და კეთილი გოლიათი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრიტიკოსების ერთი ნაწილი ამ რომანს უარყოფითი რეცენზიებით შეხვდა: ავტორი რაღაცაზე ფატალურად არის მიჯაჭვული, ის ან ალფრთო-



ვანებულება ჰიუზის პიროვნებით, ან ძალიან აღელვებულია იმ ტრაგედიით, რაც მწერლის გარშემო დატრიალდა, ან აქ სულ სხვა მიზეზია. ისინი აღნიშნავენ, რომ ჰიუზის ბიოგრაფია უფრო თამამად უნდა დაწერილიყო, ავტორმა ვერ მოახერხა ქალაქზე გაცეცხლებინა ადამიანი მთელი თავისი ტრაგედიით. ფეინშტაინი არ ცდილობს ჰიუზის ლეგენდის დამსხვრევას. წიგნის ნაკითხვის შემდეგ სიტყვები - სიტყვებად, ტედისა და სილვიას მითი კი მითად რჩება.

მომამზადა თამარ სუხიშვილი

კვლევითი სამი კვირისა, შედეგით!

კავკასიური ნიგნის ბაზრობა რეალური პერსპექტივაა

ნანა კობახიძე

მომავალ წელს გამოცემლობა "აზრს" დაფუძნებიდან 10 წელი უსრულდება. ამ პერიოდის განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი სერიოზული და საინტერესო გამომცემლობა, რომლის მთავარი მიმართულება ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორების მოძიება და გამოცემაა. დღესდღეობით "აზრს" გამომცემელი მერაბ ქათამაძე ხელმძღვანელობს, რომელიც ამავე დროს ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარეა. ბატონ მერაბს გამომცემლობაში შევხვებით და ვესაუბრებით.

თავდაპირველად გამომცემლობის შექმნის ისტორიით და ვინტერესდები. თურმე განსაკუთრებული და მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. 1993 წლის შემოდგომაზე მერაბ ქათამაძე და მისი მეგობრები შეიკრიბნენ და დააფუძნეს გამომცემლობა. დაარქვეს "აზრი." მერაბ ქათამაძისა და მისი მეგობრების გადამწყვეტილებას პოლიტიკურმა ვითარებამაც შეუწყო ხელი. სწორედ იმ პერიოდში მთავრდება საბჭოური მიდგომა საგამომცემლო საქმიანობისადმი. ანუ, გამომცემელს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს, ვინ გამოსცეს, რა ტირაჟით და როგორ გაავრცელოს. პირველი ნიგნი მამუკა ხანთაძემ მოამზადა. "საერთაშორისო ორგანიზაციები" – ასე ერქვა მას და მოიცავდა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ქართულად თარგმნილ წესდებს. დღეს ასეთი დოკუმენტაცია უამრავია, მაშინ კი სიახლე იყო და ნიგნი პოპულარობით საოცრებლობდა. შემდეგ მხატვრული ლიტერატურით დაინტერესდნენ, გამოსცეს **დათო ტურაშვილის, ირაკლი კაკაბაძის, რატი ამალაშვილის, ჯაბა იოსელიანის, დავით ქართველიშვილის** ნაწარმოებები. ჯაბა იოსელიანის გარდა, მათ მიერ გამოცემული ყველა ნიგნი სადებიუტო იყო. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ რისკს უკავშირდებოდა, განსაკუთრებით, საქართველოში, სადაც დღეს ცნობილი ავტორების ნაწარმოებებიც არ იყიდება.

მერაბ ქათამაძე: "რა თქმა უნდა, ცნობილი სახელები გამომცემლისთვის მომგებიანია, რადგან ეს ნიშნავს, რომ გეყოლება მკითხველი, აქედან გამომდინარე – მყიდველიც. დებიუტანტის შემთხვევაში რისკის ფაქტორი იზრდება. მაგრამ ვილაცამ ხომ უნდა იზრუნოს მათზეც. ზოგიერთი ძველი გამომცემლობა კი უთმობდა დებიუტანტებს გარკვეულ ყურადღებას, მაგრამ ამ გამომცემლებს საკუთარი პრობლემები ჰქონდათ, თანაც, უკვე ჰყავდათ ტრადიციული ავტორები. აუცილებელი იყო შექმნილიყო ახალი ტიპის გამომცემლობა, რომელიც ორიენტირს ახალბედა ავტორებზე აიღებდა. ჩვენც ბევრი არ გვიფერია." ავტორები

დიდხანს არ უძებნიათ. გამოსცეს იმათი ნიგნები, ვინც უკვე მოექცა საზოგადოების თვალთახედვის არეალში – აქტიურობდა, იბეჭდებოდა. დღეს "წიხი" უფრო მიიმეო. ახალ ავტორთა ნაწარმოებებს ჯერ გამომცემლები კითხულობენ, შემდეგ – რედაქტორები. გარდა ამისა, გამომცემლობას აქვს გარკვეული პრიორიტეტები, რომელთაც წარმოდგენილი ნაწარმოები უნდა შეესაბამებოდეს. ისინი ნაკლებად გამოსცემენ პოეზიას, რადგან ახალ ავტორთა პოეტური კრებულები არა მხოლოდ საქართველოში, დასავლეთშიც მცირე ტირაჟით იბეჭდება და ძნელად იყიდება. გამომცემლობა "აზრის" პრიორიტეტია მხატვრული ლიტერატურა და ბელეტრისტიკა. ამ ზაფხულს მერაბ ქათამაძემ სამი ახალი ავტორის ნაწარმოები წაიკითხა. მათ ვინაობას არ ამხელს, მაგრამ გვაიმედებს, რომ მათ "ფონდს" მალე ახალი გამოცემები შეემატება. უახლოეს მომავალში კი ირაკლი კაკაბაძის მეორე ნიგნის პრეზენტაციას უნდა ველოდეთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მერაბ ქათამაძე ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის პრეზიდენტი. რა ორგანიზაციაა ეს და რას საქმიანობს კონკრეტულად? საზოგადოების ისტორია 1996 წლიდან იწყება. იმ პერიოდში იგი დაფუძნდა, როგორც საგამომცემლო საქმიანობით დაინტერესებულ ადამიანთა გაერთიანება. 1998 წელს მას გამავრცელებლებიც შეუერთდნენ. ასოციაცია მათი საერთო ინტერესების გამოხატველი და დამცველია. გარდა ამისა, იგი მონაწილეობს საერთაშორისო ნიგნის ბაზრობებში. რამდენიმე დღის წინათ გამომცემლები **მერაბ ქათამაძე, ბაკურ სულაკაური და ლაშა ბერაია** ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე გაემგზავრნენ, რომელიც 9-დან 14 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება. მასში მსოფლიოს ყველა ქვეყნის წამყვანი გამომცემლობები მონაწილეობენ. ფრანკფურტში გამომცემლები უმთავრესად, საავტორო უფლებების შესაძენად ჩადიან. მოლაპარაკებები წინასწარ მიმდინარეობს, შეთანხმება მიღწეულია, ჩადიან მხოლოდ ხელშეკრულების გასაფორმებლად. მათი სამუშაო პროგრამა ძალზე გადატვირთულია. ყოველდღე უამრავი პრეზენტაცია, შეხვედრა და სემინარია. რით არის საინტერესო ქართველი გამომცემლებისთვის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობა? "რა თქმა უნდა, სასაცილოა იმაზე ფიქრიც კი, რომ ვინმე ქართველი გამომცემლების საავტორო უფლებებს შეიძენს" – ამბობს მერაბ ქათამაძე – "იქ ჩასვლა უზირველესად ჩვენთვის არის საინტერესო. ბაზრობა იმდენად მასშტაბურია, რომ მისი უბრალოდ დათვალიერებაც კი უამრავ ახალ იდეას ჰბადებს. იქვე არიან ადამიანები, ვისგანაც, სურვილის შემთხვევაში შეგიძლია გამოცემის უფლება შეიძინო. რამდენიმე

ასეთი შესყიდვა უკვე განხორციელდა: ბაკურ სულაკაურმა **საბავშვო ენციკლოპედიები** გამოსცა, "დიოგენემ" – **"ალი და ნინო"**, ჩვენ – **პატრიკ ზიუსკინდი...** შეიძლება ვინმე გამომჩიეს. მთავარია, რომ საქართველოში

სექტორში მიმდინარე პროცესებს. დღის წესრიგშია სამი საკითხი: 1. ნიგნის ბაზრობები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. 2. დასავლური პერსპექტივები. 3. რეგიონული ბაზრობების გამართვის პერსპექტივები.



მერაბ ქათამაძე

უკვე ჩნდება საავტორო უფლებების შესყიდვის, აქედან გამომდინარე, მათი დაცვის პრეცედენტები, რაც უკვე მისასაღებელია. საბოლოოდ, ყველაფერი იქით მიდის, რომ ეს ურთიერთობები დაიხვეწოს. დღეს მეტნაკლებად სერიოზული გამომცემლისთვისაც კი უხერხულია იმის თქმა, რომ არ იცნობს კანონს საავტორო უფლებების შესახებ."

მერაბ ქათამაძის ფრანკფურტში გამგზავრება კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს უკავშირდება. ევროსაბჭოს ექსპერტმა საგამომცემლო საკითხებში **გუეგორჟ ბოგუტამ** იგი მიიწვია სემინარზე, რომელზეც განიხილავენ ბოლო 10 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპის ნიგნის

კაცმა რომ თქვას, რა საჭიროა ეს ჩამონათვალი. რაში აინტერესებს ქართველ მკითხველს, რა საკითხებს განიხილავენ ფრანკფურტში გამართულ სემინარზე. თუმცა, ახლავ დარწმუნებით, რომ ისინი არა მარტო საინტერესო, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანიც არის, განსაკუთრებით კი მისი მესამე პუნქტი.

მოგეხსენებათ, ნიგნის გამომცემელთა ასოციაციამ 1997 წელს თბილისის ნიგნის ბაზრობას ჩაუყარა საფუძველი. წელს იგი მეხუთედ გაიმართა და მასში რამდენიმე სხვადასხვა ქვეყნის გამომცემლობები მონაწილეობდნენ, მათ შორის, ბაქოელებიც. აზერბაიჯანელ გამომცემელთა

ასოციაცია "ნაშირის" პრეზიდენტმა ბოლო ბაზრობაზე გაკვირვებით აღნიშნა, რომ სომხეთთან და საქართველოსთან ერთად ისინი კავკასიის ნიგნის ბაზრობის გამართვას ვარაუდობენ. მერაბ ქათამაძის თქმით, თბილისის მეხუთე ბაზრობის შემდეგ სამი ქვეყნის გამომცემლები ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობდნენ. დღეს კავკასიური ნიგნის ბაზრობის პროექტი უკვე რეალურად არსებობს. პროექტის თანახმად, ბაზრობა ყოველწლიურად, სამივე ქვეყნის დედაქალაქში მონაცვლეობით გაიმართება. თუმცა, მას ჯერჯერობით თბილისი უმასპინძლებს, რადგან სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გამწვავებული ურთიერთობის გამო ორივე ქვეყნის წარმომადგენლები თავს იკავებენ ერთმანეთთან ჩასვლაზე. კავკასიის ნიგნის ბაზრობის შექმნის იდეა საინტერესოა ერთი თვალსაზრისითაც. ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე განიხილავენ საკითხს რეგიონული ნიგნის ბაზრობების დიდ ბაზრობებთან მიერთების შესახებ. ანუ, იმ შემთხვევაში, თუ ჩამოყალიბდება საერთოკავკასიური ნიგნის ბაზარი, რეგიონს ეძლევა დიდი შანსი, გავიდეს საერთაშორისო ასპარეზზე და მოექცეს ცნობილი ნიგნის ბაზრობების ყურადღების ცენტში. "მარტო საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი დასავლეთისთვის ძალიან პატარა ბაზარია, მათ მთლიანად კავკასია აინტერესებთ. თუ ჩვენ შევძლებთ რეგიონული პროექტის განხორციელებას, ზემოთხსენებული პერსპექტივა რეალურად იქცევა" – იმედოვნებს მერაბ ქათამაძე. მისი თქმით, პროექტის განხორციელება, ახლა დამფინანსებლებზეა დამოკიდებული. ჰოდა, სწორედ მათ მივმართავთ ერთი ცნობილი ლოზუნგის პერიფრაზით: "ქველმოქმედებო სამი ქვეყნისა, შეერთდიო!"

გაზთი 24 **საბანი**

ჩვენს გაზთში საგამომცემლო პროდუქციის რეკლამის განთავსების მსარგებლად, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: 202424, 200024.

ჩვენს რედაქციასთან ნიგნის მოგზაობაში მისაღებად ვაჭა-ფაშაველას 45, 80-14 სართული.